

Handwritten text in blue ink, possibly a signature or name, located in the upper left quadrant of the page.


Large, stylized red scribble or signature, possibly representing the name 'S. S. S.', located in the center of the page.

35

—  
I g. J. J. J.  
—



Handwritten text at the top of the page, possibly a title or header, written in a cursive script.



წიგნი

სიბრძნე სიფრუვისა

[Handwritten text in brackets, possibly a title or subtitle]

Handwritten text, possibly a signature or name, located in the bottom left area.

Handwritten signature or initials in the bottom right area.

1939 22/11

Handwritten signature or initials at the top of the page.

წიგნი

სიბრძნე სიცრუებისა

Horizontal line separator.

38276

ნათქვამი საბა სულხან აბაგოშვილისაგან,  
უამსა სიჭაბუკისა მისისა.

Decorative horizontal line with a central ornament.



სანკტპეტერბურღს  
სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისასა.  
1859 წელსა.

**ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ,**

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ  
Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ.  
С.-Петербургъ, 30-го Ноября 1858 года.

Ценсоръ *А. Фрейгангъ.*

1. 20

## წიგნი სიბრძნე სიტყუისა.

იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არა-  
 ფისგან მოიგონებინა, რომლისა სიკეთისა და სიქვე-  
 ლისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულისა  
 მისსა, რომე ზღვისა ათასის თავად არ აღერიცხოდა:  
 სიფიცსე და უწყალოება ჯაფრიანი გულისაგან ღვთის  
 შიშის ნიაფით გაექატებინა, სიუხუე მისის ნოტიოს  
 ღრებლისაგან უმრავლესად გაუგრივა, და ეოველთა  
 კაცთა ზედა საბოძარი ცათა წვიმათაგან გარდაქმა-  
 ტებინა. მისნი საქმენი და ზარი ესრეთ განთენილ-  
 იყო ზინსა ეოვლისა ქვეყანისსა, მეხის ტეხის უსა-  
 ზარლესად მიანდათ, მისნი სიტუბო და აღერსნი  
 ესრეთ შეეტუბოთ, ჩხვილთა წელთაებრ სძისა და ძუ-  
 ძუსა უსაყვარლესად მიესიდათ. და იყო სახელი დი-  
 დისა მის მეფისა მადლისა ფონეს, და ჭევა ვეზირი  
 ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ-იყო,  
 ჭკუითა ხმელეთთა სიგრძე და განი სრულად გაე-  
 ზომნა, მეტნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწვე-  
 ნულ-იყო, ჭაერთა და ვარსკვლავთ საქმენი გულისა  
 სიტუვათა იფიცართა გამოეწერა. ესეთი სიტუვის სი-



ტაბო ჭქონდა მსეტთა კაცთა მსგავსად მოაქტეკვდის, ტანთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცთა-ებრ აუბნებდის, და იყო სასული ვეზირისა მის სედრქაქ. დიდად უეფარდა მეფესა ვეზირი იგი და არ იყო გულისა მეფისასა სრუნვა, გინა შეჭირვება უძეობისა-კიდე რომ შვილი არ ესვა. დღესა ერთსა გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა სედა, რომ ევედრონ ღმერთსა ძე ბოძებისა მისისათვის. და იყო საჭურვისი მეფისა გულჩქარი და ფიცხელი, სეფეთ-უხუცესი იყო და გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რუქა, და თქვა „არა რომელთა მეფეთაგანსა გარდაუგია სალარო ესე ოდენი.“

თქვა არაკი სედრქაქ: იყო მეფე ხორასანს დიდებული, კეთილი, გონიერი, უხვი და მოწყალე. დღესა ერთსა გახსნა სამნი სალარონი და უხმო ყოველსა საბრძანებელსა, რათა ყოველმა დიდმა და მცირემან, დიდებულმან, გინა გლახამან, ათორმეტს უამს, რაც კიღოს, წაიღოს. და წარიღეს ყოველთა, და ვერ დაასრულეს სამნი იგი სალარონი. მას დღეს ნადიმი გარდინადა, აფიცა ვეზირთა თვისთა, თუცა რომელთა ასმოდეს, ანუ ეხილოს მისი მსგავსი უხვი მეფე. ექვსთ ვეზირთ ჭფუცეს უსმენლობისათვის მსგავსისა მი სისა და უმცროს ვეზირს გაეცინა. ჭკითხა მეფემან. „რას მიხეზისათვის იცინიო.“ მას ფიცი ჭსთსოვა მოუკლავისათვის და მეფემან თხავი თვისი ჭფიცა. მას ვეზირს რა გული შეუჯერდა, მოახსენა: „ჩინეთის ქვეყანას ერთი ურია არის, სასულად მადლქაზ ეწოდება და მისი მოყმე არის დიდებული გინ-

შე; მისებრივე უხვი არც უწინარეს ყოფილა, და არც დღეის წაღმართ იქნების.“ ეწეისა მეფესა, მაგრამ ვეზირი იგი ფიცისათვის ვერ მოკლა და პატიმარაჰყო, და თვით სასეფო სამოსელი განიძარცვა, სხვა შეიმოსა და წარვიდა მის კაცის სანახავად; მუნ მივიდა, სადა იგი ესახლა. თურმე წესი იყო კაცისა მის, სადაც უცხოზ ნახევდის, თავისას მიიყვანდის, აბანის, შემოსის გასვგენის, საბოძვარი მისცის, განუტევის. დღესა ერთსა ვიდოდა ქალაქთა მათ გარემოს და სხვა შეიგე ესე სახითა გლახაკითა, წაიყვანა და რომელიმე სხვათათვის ეწესა, ჰყო იგი. რა შემოსა, ნახა, დიდად საბატო იყო; ჰკითხა სადაურობა, ვინაობა და ყოველივე აამბობინა. ოდესჰ სტნა შეფობა მისი, დაფარდა მიწასა, და უღირსად დადგა თავი თვისი, და ევედრებოდა უცნაურობისათვის: „არ ვიცოდოი,“ და შეიყვანა სახლსა ეგეთსა, რომ მას მეფესა მის სახლის მსგავსი არ ედგა, უცხოდ და უცხოდ მორთული, ანუ საფენი, ანუ ფარდაგი ყოველივე სტავრა იყო. ნადიმი გარდაინადა, ჭურჭელი ყოველივე შეწყობილი თვალი იყო, ყოველივე უძღვნა, ცხრა დღე განუსვენა, დღე ყოველ უმჯობესსა სახლსა დასმიდის, უმჯობესი და უძვირფასესი ჭურჭელი მოიღის, უმხიარულე ნადიმი დაუდვის და ყოველივე უძღვნის მას. უკვირდა მეფესა დიდება და უხვობა მის კაცისა, მეცხრესა დღესა ერთსა ასეთსა სახლსა აწვია, რომ დიდად უცხო იყო, და არცა მისი ქმნულუბა ითქმის, საფენი და ფარდაგი. და ჭურჭელი ყველა მთელი თვალი იყო გამოთლილი, ყვავილნი იყვნეს და ხენი თვალი-

სანი შეიკრებულნი მსგავსად, შეკენიერნი, და ყო-  
ველივე უძღვნა. სამნი ასეთნი მგოსანნი ქალნი უ-  
ძღვნა, ვერც თვალი უკეთეს ნახევდა და ვერც ყური  
უამეს ისმენდა. წამოვიდა მეფე, ანა წამოიღორა  
განძობანი, ერთი აღმასის თასი და ერთი იაგუნ-  
დს სწდე, და ერთი ყვავილი თვალისა, და სამნი  
მგოსანნი ქალნი; მაღლი უბრძანა მსპინძელსა, და  
„დვთის წყალობით მეც შემოგზღოვო“. წამოვიდა,  
მოვიდა თვისსა ქალაქსა, ვეზირი იგი პატრიმარი პა-  
ტიოსანაჲყო და ილხენდა. მის კაცის პატრონი იგი  
ურია მისანი იყო, ჭსტნა ყოველი იგი ყოფილი, გა-  
წერა კაცსა მას ზედა, შეიპურა, აილაფა იგი, მე-  
სრმლეს მისცა სიკვდილად. მათ სიკვდილად წაიყუა-  
ნეს; ევედრა მკვლელთა მათ მოუკლავსა, და სა-  
მხრეს შინა თვალი ძვირფასისა სტანებოდა, იგი  
მათ მისცა, მით იყიდა სისხლი თვისი. მათ კაცთა  
უტრე ჭრქვეს. „პატრონი ჩვენი თვითვე იტი, რომ მო-  
გვი არის, და თუმცა ხმელთა ვლიდე, სამისნოთი  
სტნობს, და შენ წილ ჩვენ დაგვხრცს. აწ ამას გი-  
წამო.“ კიდობანს ჩასვეს და მკვდრის აკლდამათა  
ჩასვეს. ურიაჲ სამისნო თვისი გახსნა, ხმელეთსედ  
აღრსად იყო, დაიჯერა მოკვლა მისი მას უამს მზა-  
რანსი აღდგეს, რომე აღარ დაუტევეს სახლნი, გინა  
საფლავნი დაუთხრელნი, მოიწივნეს, სადაცა იყო  
საფლავი იგი, დათხარეს და პოვეს კიდობანი, და  
გამოიღეს, ნახეს, მუნ შიგ კაცი იჯდა, და განუტე-  
ვეს, წავიდა კაცი იგი, მოვლო მრავალი ქვეყანა და  
უცნაურად მივიდა ქალაქსა მის მეფისასა. მეფე მა-

ღალთა ჩარდახთა ჯდა ნადიმად, და მეოხსნნი იგი იმღერდეს. ერთმან მათგანმან იცნა პატრონი თვისი ქვე გაფლილი, ატირდა და ჩანგი ხელთაგან გაფარდა. ჭკითხა შეუქმან. „რა დაგემთხვიაო.“ მან მოახსენა ნახული თვისი. მონახეს კაცი იგი და ჭპოვეს, აბანეს, შემოსეს, მოასვენეს. მეორესა დღესა შეჯდა მეუვე ცხენსა და წარვიდა, კაცი იგი თან წაიყვანა. პატრონი კაცისა მის ურია მოკლა, და სანბრძანებელი ურიისა მას კაცსა მისცა, ესრეთ შეზღო. ესე არაკი ამისთვის მოგანსენე, ვერც ასეთსა გასცემს, რომ სხვათ არ გაეტეს, და ვერც ასეთს საქმეს იქმს, რომ სხვათ არ ექმნას, და არც კარგს საქმეს ღმერთი დაუკარგავს. რუქავ, შენგან მიკვირს ეგეთი საუბარი.

გამოხდეს უამი რამდონიშე, შეიწყალა ღმერთმან და მისცა ძე ესეთი, რომ სინათლითა მზე მეშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელს მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისს გამკამებას გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლის მყარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ღერწმით შემოესარა, ვარდი და სამზახი ერთმანერთში აეყვავებინა; სახელად ჯუმბურ უწოდეს. რა მოიხარდა, გამოიყვანა მეუქმან, ვეზირს სედრქას აჩვენა და სანპატრონოთა თვისთა ეოგელთ ახილვა. ვეზირმა დალოცა და მოახსენა. „მეუვეო ღმერთმან გიტოცხლოს, და ბედნიერმცა არის ძე ესე შენი, და კურთხეულ ამიერთგან უკუნისამდე, და მიეტეს ამის გულისხმიერობა ვირისა, ერთგულება ძალისა, და ძალი ჭიანჭველისა.“ ესმა რა ესე რუქა საჭურისსა, აღ-

შეოთდა დაუთხრა ვეზირსა. „რათ შიილე წყევა ძეს  
სედა მეფისსა? ვეზირი გონიერი, წყნარი, და სიტყვა  
მარჯვე ჭნამს, ამაღ რომე ხელმწიფესთან შეოფესა  
სუთნი საქმენი უნდა ჭსჭირდეს, პირველი სიტყვა უნდა  
ტკბილი ჭქონდეს; მეორე, გამწყრალი უნდა დაა-  
წყნაროს, ანათე მხარული გამწყრალოს; მესამე,  
პირიდან ავი სიტყვა და ცუდი არ წაიციდინოს; მეოთხე,  
სიტყვის თქმის უამი იცოდეს: მეხუთე, რაც თქვას.  
ყოველს კაცს მოაწონოს.“ შესედა სერდაქ და რქვა,  
„შენ ყოველს მართალს იტყვი, მაგრამ მე ძე მეფისა  
არ დამიწყველია, თუცა გნებავს ადრე სცნობ: ვირი  
ერთსა უყესა ტალახსა შინა გაატარე, რათა დაეფლას,  
მერმე გსა იგი გაახმე. თუცა ვირი გსასა მას სედას  
გაატარო, უგუნურცა არს. ძალი კაცისა გლახაკისა  
მკლე და დიდად უსუქარი მოიყვანე და მდიდარს კაცს  
მიახარე, რათა გაასუქოს, მერმე ორთავე უხრინ,  
თუცა პირველი დამამკლობელი დაუტეოს, და რომ-  
ელმან გაასუქა მას გაჭყვეს, ორგულ არს. ჯინჭველსა  
შეიზყარ და ერთსა ჭიქასა ათორმეტნი დღენი დაა-  
ყოფინე მშიერსა, და მერმე გამოუტევე, იუცა თვი-  
სისა სომისაკან ოთხი წილი არ აიღოს წადებად,  
უსურურ არს, და მე სიტყვა მცდარიო, თვარა რად  
გამკიცხეო.“ მოასხნეს სამნივე, დაჭყვეს ეგრეთვე, და  
ყოველივე თქმულებრ იყო. ისრებდა მეფე ვეზირისა  
სიტყვასა, და ძისა თვისისა სიკეთესა სედა.

დამესა ერთსა ეხვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვე-  
ნიერი, მსკავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, საყვარლად  
სახილველი. უთხრა მეფესა. „დმერომა გიდღეგრძე-

ლას ძე ეგე შენი, და თუმცა მე არ მომხბარებ, ნებს შენდა, ვერვინ გასწვართოს; თუ მე მეძებო, მზოვო, თუარა შენვე ინანდე.“ სხე თვისი ეტრატსა ზედან გამაწერილი ხელთ მისცადა უთხრა „მეძებდა მზოვო თავმან შენმანო.“ და თვით წავიდა. გაეღვიძა მეფესა და ნახა, ხელთ ეტრატი ჰქონდა, სხვა არავინ იყო მისთანა; რა იგი ჰბოუი ველარა ნახა, ეგრე შეწუხდა, ვით ძე იგი მოჰკდომოდა, და დიდი ურფა შეექმნა. შევიდა სედრას, ნახა მეფე საგებელსა ზედა მწოლი და დიდად დაღრეჯილი: მოახსენა. „მეფეო, მრავალნი უამნი არიან, მე ჩრდილთა თქვენთა ქვეშე ვიმყოფები, ესრეთ შეჭირვებული არ მინახავარ, სწულებსა ღმერთმა მოგარიდოს.“ უბრძანა მეფემან: არა სწუელ ვარ, სიზმარი მეხმანა და მით დამიღრეჯიაო. ჯერეთ ვეზირმა ზმანება არა ჰკითხა და მოახსენა არაკი:

გლასა ვინმე იყო უზოვარი ყოვლისაგან ნივთისა, ეზმანა მას, სამეოცი ცხოვარი ჰყვა და ენება განუიდა. მოვიდა კაცი ერთი და მისცა თითოსათვის ხუთხუთი კელმანური; ცხოვარისა ჰატრონმან ექვს ექვსი სთხოვა, შეცილებსა ზედა გაეღვიძა კაცსა მას და სინანული იწყო, თვალი ეგრვითვე დაიხუჭნა, და ხელი მიუღო ვაჭარსა, და უთხრა: ორი კელმანური მომეც, მოგცეო. ანუ ვინ მისცემდა ვეცხლსა, ანუ ვისდა მიჭყიდა; ესრეთ არს ყოველივე ზმანება. მეფეო, რათ შეწუხებულ ხარ ეშმაკურს საქმეზედაო. უბრძანა მეფემან, არა ეგრეთ არს სიზმარი ჩემიო, უთხრა ყოველივე და ეტრატი ხელთ მისცა. გაუგვირდა სიკეთე სხვისა მისისა და ეგრე მოახსენა. „თუცა თვით

არ მოვიდეს კაცი იგი, ჰოვან მისი ძნელია, ამაღრომე  
თემი მისი არ ვიცით, სახელი თვისი არ უთქვამს,  
რით უნდა ვიპოვოთ. ქარი ხელითა არ დაიჭირვის და  
თვალს წარმადი ვერ მიეწევს, რაც ბედი აქვს კაცსა  
ღვთისაგან, ის დაემართების “

თქვა არაჰი: ერთი დიდი ვაჭარი იყო, ეგრემი  
განძი შეჭყარა სალაროთა, რიცხვი არ იცოდა, სი-  
ბერემდე არა სვა, არა ჰქმა, არცარა შეიმოსა. მერმე  
თქვა: ეგოდენი შემოკრებიან, აწ დაფუდები, ვილხენ,  
ვინარებ, ხარჯვას დაუწყებო. მივიდა ერთსა სალა-  
როსთანა, დაკლექილი ვერ გააღო, გაწერა და გი-  
ნება დაიწყო. სალაროდამ სმა გამოვიდა, რომელი  
ალებ კაცსა, რა საქმე გაქვსო. მან მდიდანმან უთხრა  
სახელი თვისი, ჩემიაო და დახარჯვა მსებაფსო. მუ-  
ნით ესრე ესმა, თუცა შენი იყო, დღეს აქამდე არც  
შენ იხმარე, და არც ცოლშვილს ახმარე, ესე ყოველი  
ხურო ნაწარსი არისო. იწინა მან კაცმან და აგრე  
თქვა, ესეთსა საქმესა ვიქმ, ჩემთვის და მისთვის  
სწორად დაგკარგაო. აილო ვალი, მოალებინა მრავა-  
ლი ძელი, გამოასვრეტინა, ყოველივე საუნჯე შიგ  
ჩაჭყარა, და პირი გადაუჭედა, და შაიდის მდინარეს ჩაჭ-  
ყარა. იგი ხურო თურმე ბაღდადელი იყო, შაიდი  
სადაც ჩადის. დილას განთიად ხურო იქ მდინარის  
კიდესა განვიდა, ნუ თუ ტივი მოაქვნიდეს ვისმეო,  
ნახა, მოაქვს მდინარეს უძრავი ძელი უკაცურად მის-  
ცა ფასი მცურავთა, შეგსავნა და გამოათრევს ხე  
იგი კაცსა ზედან ხუროსასა. კაცი იგი ნამდიდრევი  
შეუდგა კვალს ძელისასა, ვისი ბედი იყო, ვსცნაო.

მოვიდა, ნახა კარსა ზედან ხუროსსა. ჰკითხა, ვინა-  
ხარო. მან უთხრა, მე ნახარო ხურო ვარო. აილე ერთი  
კეტი და ეს ძელი შინ სანლში შევიღოთო; რა შეი-  
ღეს, უთხრა, ესო ჰკარო ხესა ამას, რა ძესო. რა ძე-  
ლი შესეთქა, თვალი პატიოსანი და მარგალიტი გარდ-  
მოსცვივდეს. იამა ხუროსა და მან კაცმან აგრე უთხრა:  
ამას რომელსა ხედავ, ყოველივე ძელი ასრე არის; ეს  
ხეში იყო, ღმერთმან მე წამართო და შენ მოგცაო.  
ჰრქვა ხურომან: ღმერთმან შენვე მოგცესო, ეგრევე  
წარიღეო. ნამდიდრეემა არ ინება. ნახევარი და ნაო-  
თხალი შინც წაიღეო, მან არცერთი ფული არ წა-  
მოიღო. ხურო ევეღრა, სავი პური საგზლად შინც  
წაიღეო; ნება დართო. შევიდა, ცოლს უთხრა: სავი  
დიდი პური გამოაცხე და შიგ პატიოსანი და კარგი  
თვლები ჩადეე, ეგები ამ კაცმა წაიღოს, ცოლ-შვილი  
მშიერი არ დაეხლცოს. ადრე უსმინა ცოლმან, პურ-  
ნი არდაგს გაუხვივნა, მისცა და წარიღო. კაცმან მი-  
მაფალმან ნახა, უდაბნოსა ხარკა ერთი დგას თხის  
ბაღისა, მივიდა, ნახა გლახაკი არაბთაგანი იყო,  
ცოლი ყრმისა ზედან დასწოლოდა, სხვა მუცობელნი,  
აკართა ადგილთა წასრულ იყვნენ და იგი ვერ გაჭ-  
ყოლოდა, არა რა აქენდა არცა ქვეშაგებელი, არცა  
ყრმის შესახვეველი. იმან კაცმან სიგლახაკისათვის  
შეიწყალნა, და პურნი იგი მისცნა, და უთხრა, წარ-  
ვედ ბაღდადადს ხურო ნახარახას, ეს უძღვენ, იგი კაცი  
ღვთის მოშიში არის, აკვანსა და სხვეველს მოგცემს.  
ნამდიდრე ი იგი წავიდა, და არაბმან პური ხუროსავე  
მიუტანა, და მან ყოველივე სათხოვარი მისცა. და



მოვიდა სურს იგი, უთხრა ცოლსა არაკი: კაცი ერთი მდინარის კიდეს იჯდა და ცხრილი ხელთა ეჭირა, ხაყვის ცხრილი წყალთა და რა აივისის, თქვის, ვისაც ღმერთი მისცემს, ესე მისცემს; ამოიღის ცხრილი და, რა წყალი გაედინის, თქვის, ვისაც წაართმევს ესრეთ წაართმევსო. ღმერთმან ბედი კარსედ გვიწვიანაო. შეფეო, თუ ღმერთს კაცი იგი შესთვის უნდა, კართავე შენთა მოიყვანს, თორემ ზოვნა ძნელი არის. თქვა რუქამ, წვიმა არ არის და თოვლი, რომ კართა ჩვენთა მოვიდეს; თუცა ჩვენ არვიცით ალაგი მისი, მან რა იცის თემი ჩვენი; კაცი გავგზავნოთ, ზოვნას ვეცადნეთ. რომელს კაცს ჩანდებია პირში საჭმელი უხელოდ, რომელს შემოსია სამოსელი გაურჯელად? თქვა არაკი რუქამ: მტურავი ერთი მოაქვნიდა წყალსა, თქვა, ღმერთო, მიშველეო; მეორემ ამხანაგმა უთხრა, ხელი გაიქნიეო, გახვალ და ნაშველი იქნებიო. მოვნახოთ და ვზოვოთ. თქვა არაკი: იყო დიდ ვაჭარი ერთი, რომელი ღმერთსა არა ესვიდა, გასცა ყოველი თვისი მონაგები და ჰური იყიდა, მომავალს წელს უურსო დაძვირდებაო, ერთს სამოთხად გაყიდიო. მომავალს წელს უმრავლესი მოვიდა და კვალად იყიდა იაფად, ჭკონებდა სხვას წელს ძვირად გასყიდვასა. ყოველსა წელსა უმრავლესი და უმრავლესი მოვიდა, დაღვა ყოველი ჰური მისი და განქარდა ყოველი მონაგები მისი, აღარა დარჩა რა. გამოუღო ცოლსა თვისსა სამკაული, რაცა აქენდა, და წარვიდა საფრანგეთს, განყიდა, ივაჭრა, ეგოდენი ქონება შექყარა, რიცხვი არ ეკებოდა. შინ

აღარ მიიქცა სინარბით, ჩაჯდა სომალდსა, ჭკონებდა უფრო სარგებელსა ვიქო, ზღვა აუღელდა და დაამსხვრია გემი და ქონება დაენთქა, და თვით ერთს ფიცარზედ შეჩნა, და ტალღამ ნაპირს გააგდო, და დიდად შეწუნებული ერთ ქალაქს მივიდა. ჭპოვა პატრონი მის ადგილისა და ესე ყოველი თავისი გარდასავალი უამბო. მან მეპატრონემან ესრე უთხრა: რადგან მდიდარი ესრეთ დაფარდნილხარ, აქ იყავ, ერთს წელს მამულისა ჩემისა მოურაობას მოგცემო, და მეტი ქონებისა ჩემისა მოგცემო, და ისევ მრავალს შეიკრებო. და დადგა მოურაავად, პირველადვე პური და ბრინჯი მოიპარა, არამც ცოტა შეგოსო; გასრულებსა წლისასა მრავალი ქონება ჭხვდა, თქვა, ავად მიქნია, თავის ბელლიდამ ამოღება იწყო, და პატრონის ბელელთა ჩაყრა, რომელი ნაპარავი ჭქონოდა. ნახეს კაცთა მათ კაცი იგი, დამე პატრონის ბელელთა მავალი, მპარავი ეგონათ, აუწყეს პატრონისა, გაუწყრა, გამოუღო ყოველივე მონაგები და განაძო. წარვიდა მტირალი, მივიდა ზღვის პირსა, ნახა ნავი მომავალი, ათნი ვაჭარნი მსხდარნი, მათცა აუწყა საქმენი თავისნი, და მათ თვითომან თითო ძვიროფასი თვალი მისცნეს, და განუტყვენეს. სუთი თვალი ძონძითა ბარკალთა დაიკრა და სუთი პირსა ჩაიდვა. სვლასა შინა მეკობრენი შეჩვდენ სამნი, გაელაპარაკნენ და მან ხმა არ გასცა, პირთ თვლები ეღვა; მეკობრეთ უტყვი ეგონათ. ერთმან თქვა, გაუძარცოთ; მეორემ თქვა, რა წავართოთ; მესამემ თქვა, არაკად თქმულა, თორმეტნი შიშველს პერანგს ხდიდნენო.

და ვერ გახადესო. ამ სიტუფასა სეჲდან მას გაცს გაე-  
ტინა და ოწი თჳალი ჰირით გამოაგდო, ყბა შეუ-  
პერეს და სამი იგი თჳალიც ამოუღეს, და ხუთი იგი  
ვერ ჰპოვეს, რომელი ძონძთა გამოეკრა. წაჲიდნენ  
მეკობრენი ქალაქად, გასყიდჳა ენებათ თჳალთა მათ,  
დახვდათ მეფისა ვაჰარნი, ჰსტნეს მათი მჰარაობა,  
თჳალნი წაუხვნეს სამეიგოდ და კაცნი სიკვდილსა შეა-  
ბნეს. აწ ესეც მიჲიდა მას ქალაქსა, თჳალნი გამოიღო  
განსყიდჳად. ჰპოვეს ესეც მათ ეატოა და მასცა  
თჳალნი წაუხვნეს, მოკვლად წარყვანეს. ძოდან რომ-  
მელთა ვაჰართა მოეცათ იგი, ვაჰართა მათ უთხრა,  
რომელნი თჳალნი თქვენ მომეცით ათნი, ხუთნი მე-  
კობართ წამიხვნეს და ხუთი ამათა, აწ მოკვლაცა  
ხემი ნებავთ. მათ ვაჰართ ფიცი უთხრეს მათგან მი-  
ცემულობისათვის, აღარ მოაკვლევინეს და მეფესა  
ყოველივე აუწყეს. ბრძანა მეფემან, რადგან ეგო-  
დენნი ჰირნი უნახავს, აწ ხემთა სალაროთა უხუტე-  
სად დაჲადგენ, უმრავლესსა შეიკრებსო; მიაბარეს  
სალარო. დღესა ერთსა კლიტე წაუხდა, ოწი ფუღი  
არ გაიშეტა, რათა მჰედელს გაეკეთებინა, თვით ქვა  
აიღო, კედელსედან მიაღჳა, ქვა ჰკრა, თუწმე კედელი  
ცალჰირი აკურთ იყო, დაიქცა და მეფის ჰხალბოთა  
სახლი გამოჩნდა. მოჲიდნენ საჰურისნი, მოახსენეს  
მეფესა, შეიპერეს კაცი იგი და ოწნივე თჳალნი აღ-  
მოხადეს. ესე არაკი ამისთვის მოგახსენე, თუღმერთი  
კაცს არ მისცემს, თვისის ცდით არ ღონე არ დაი-  
დგების და ცუდი შრომა შეჩხების, ღმერთს უნდა  
სთხოვოს.

უბრძანა მეფემან ვეზირს: „ეველს კეთილად იტყვი ბრძანისა გონებისა თქვენისა მსგავსსა, შენდა რუქს სუბარჩი არ დაგელევათ, აწე უბრძანე სპათა ამხედრება და მეც აღვჟღე ტაიჭსა, მივიდეთ ადგილსა კეთილსა და ამოსა, ვინადიროთ და მსგევესი ერთი მუნ დავჭყოთ.“ ოდეს სცნეს ჭაბუკთა ნადირობად გასულა მეფისა, ეგოდენი ჯარი შეიყარა, მიწას ემძიმებოდა, და მოხუცებულნი ყრმათაჲრ ხლდებოდენ. გვემტადირსაო სსახლესა მეფისასა სვლა, და ყრმანი ხანდაზმულებრ იქცეოდენ, თუმცა მეფისა ბრძანება გვეწიოსო, ესრეთ შეფრთინვა იყო. დაჭყვეს რვა დღენი, ნადირი ურიცხვი მოსწვევიდეს. შემოიქცა და მოვიდა ადგილსა ერთსა კვიპაროსი იდგა შვენიერი, ძირს წყარონი დიოდეს, გოდენი ყვავილითა შემკულნი, მნახავს სევდანი გაქცეოდეს. ხის ძირს ჭაბუკი მძინარე, თან აკაზმული ცხენი მზმარი, მოუწოდეს ჭაბუკსა მას, მოვიდა და ნახა მეფემან, ფუცა, მსგავსი მის ეტრატისა სსახისა არისო. ყოველს კაცს უკვირდა სიკეთე მისი. წამოდგა ჭაბუკი, მეფე დალოცა, დიდი ქება შეასხა, ხელს აკოცა. აღსვა ცხენსა და წარიყვანა თანა, ჭკითხა სადა-ურობა და სად მიმავალობა, მოახსენა მან, მე აქა იქი სვლით გავზრდილვარ. რქვა რუქამ ლეონს, თავმან მეფისამან დიდად ბედუკუღმართი ხარო. შემოხედა ლეონ და სცნა საჭურისობა მისი, უთხრა, მართალსა იტყვი, თუცა ბედკეთილი ვყოფილიყავ, დღეს შენ არა განხევიდო. თქვა არაგი: იყო დიდებული ქალაქსა ჭალაბისასა და ჭყვა საჭურისი ერთი, დიდად გულითადი იყო. და

ერთი სხვა მონა იყო მის კაცისა, სახითა და ტანითა მზგავსი მის საჭურისისა, დიდად მოყვარენი იყვნენ ორნივე ერთმანერთისა; შეკრეს პირი. საჭურისი შეადგა ცოლსა თავის ჰატრონისასა, მე ვიცი უფალსა ჩემსა ნებავეს განტევენა შენი და შეერთვა სხვისა, თავს ეწიე. ცნობა სურსთა დიაცი, აცთუნა და გამოუცვალა სიყვარული სიძუდილად. უთხრა ქალმან მან, რადგან ჩემი ეგეთი კეთილის მდომი ხარ, თუცა ქმარი მიტევენს, რა მიჯობს, მითხარ, რა ვჭყო. ჭრქვა საჭურისმა, მე ასეთი წამალი მოგცე, თქრთა სცხო, წამსავ მოგვდეს, და ესე მოყვასი ჩემი, შევნიერე და და კეთილი კაცი და იგი შეერთე, და იყოს ნებისა შენისა. ჭსტდა ქალი იგი, მოკლა ქმარი თვისი, და იგი კაცი მის წილ შეერთო, და ყოველი მონატევი მისი მას მისცა. ესე არაკი ამისთვის მოგახსენე, ყოველი მზგავსი შენი უარესსა იქმს, ამისთვის რომ არ ეშინის ღვთისა, და არც რცხვენის კაცთა. უთხრა ვეზირმა ლეონს, დია მინარის სიტყვატკბილობა შენი, და მომწონს სრდილობანი და ქცევანი შენნი, აწ მოვედ, მეფეს ემსახურე და იყო თავი ვეზირთა და უხუცესი ჩემი, და მეფემან ძმურად ჰატევი გცეს. ჭრქვა ლეონ სედრქა ვეზირსა: ვითა მამა საყვარელსა შეილსა მასწავლი, ეგრეთცა ვჭყო, შენ მისმინე სიტყვა ესე.

თქვა არაკი: მამის მამა ჩემი, მასმიან, ინდოთ მეფის ხუთთა ვეზირთა უხუცესი ყოფილა. იგი უხუცესი ვეზირი მეფეს დიდად უყვარდა, თავსაცა თვისსა ერჩია. იგი ოთხნი ვეზირნი აუბტერდნენ, თქვეს:

რამცა უყოთ ამას, რომე მეფე მის სიტყვასა ზედან  
ჭსდგას, და მოჩილი მისის სიტყვისა და რჩევისა  
ჩვენ არას გვეითხავს. შეკრეს ჰირი, მოვიდა განთიად  
ერთი მეფესთან და მოახსენა, წუხელის შესმანა მე  
დიდი მეფე, ინდოთა მპყრობელი, მამა თქვენი, მი-  
ბრძანა მოხსენება თქვენი, დიდი ვეზირი იხმო, ცო-  
ტა საქმე მიძრა, დავასრულა და მალე გარემცავაქ-  
ცო. მოვიდა მეორე და მანც მოახსენა იგივე ზმა-  
ნება, და უცხოს და შევნიერს ადგილს ნახვა მამისა  
მისისა, დათხოვნა ვეზირისა და ეტრეთვე გამოშვება.  
შესამეძან და მეოთხემან იგივე სიტყვა მოახსენეს;  
თვით დაემტკიცათ ჰირი და სიტყვა. გაჭკვირდა მეფე  
და სიქიშვე მათი ვერ აგრძანა, თქვა, თუმცა ერთსა  
ეთქვა, ტყუილიმცა იყო, აწ ყოველთა ერთი ჩვენება  
უნახავსო, მართალ არს უცილოდ. უხმო ბერს ვე-  
სირს და ყოველივე უთხრა. შეიგნა ვეზირმა, ყოვე-  
ლივე სრიკი იყო; მაგრამ რას იქმოდა, ესე თქვა,  
უარეს ვყოფო. ეს მოახსენა, შეიგნა მათ თქვენსა ამას  
ვევედრები, ჩემს დასაწვავად ხარნი ანუ მუშა არ და-  
შვრეს, ბედნიერს მეფეს ცოდვილი არ შევეყარო,  
ორმოცი დღე მატადე, შეშა და ნივთები მოვამზადო,  
ფასი ჩემი მივსცე და სიხარულით დიდ მეფესთან  
წაიდე. ატადეს ორმოცი დღე, გახადო ოთხი გული-  
თადი მონა, მოახსენეს ორნი მთხრელნი მიწისანი, ვე-  
სირის სახლიდამ გარეთ ასპარესამდინ გახფრიტეს  
ქალაქი, და ასპარესში ხვრელი რომ გაიღეს, ზე შეშა  
დაადგეს მრავალი, მსგავსი ბორცვისა, ბანი ზე ჩასა-  
ძრომელი უქმნეს. რა გასრულდა ორმოცი დღე, მო-

ვიდა ვეზირი მეფესთან, მოახსენა, მოხრძანდეს მეფე, იხილოს დაწვა მოწიის თვისისა, რომელი მამაშენთან მივა. გამოვიდა მეფე და ყოველი ერი ჭვრეტად მისა, აღხდა ვეზირი ზედან შეშასა, შემოაყარეს ნაძეძი, დაასხეს ნაფთი და აღდუღდეს ცეცხლი. რა გვამლი ამაღლდა, ვეზირი ხვრელს ჩაჟდა, ნახვრეტი გაიანა ქვეშე ქალაქისა, ხვრელი ნაცრმის ამოავსო. ვეზირმან შინ ოცი დღე დაჰყო მალვით, და მეორეთ შეიმოსა თეთრი, ანგანი ხელთ აიღო, და განთიად მეფის კარს მივიდა. აცნობეს მოსვლა მისი მეფესა, ზე აიჭრა, გარდმოხდა, ხელს მოეჭიდა, აგოცებდა და მუნით მოსვლას ჰგონებდა, ჰკითხა ამბავი მამისა თვისისა, მისვლა მოსვლა მისი. ვეზირმა სსმოთის ამბავი მოახსენა და მრავალი ტყუფილი მოახსენა, რომ მართალს ამჯობინა, და მეძმე ეს მოახსენა, რაც ჩემთან ესაქმებოდა, ყველა აღვასრულე, აწეკე ოთხნი ვეზირნი იხმო და მაგათაც მალე გაახლებს, ცოტა საქმე აქვს. სიზმარს დაუჟერეს, ცხადად მოსულს ვინ არ დაუჟერებდა; მოახსენ ვეზირები, უბრძანა წარსვლა მეფემან, მათ ამ გვარი სრიკი არ იცოდეს, ჩაყარეს ცეცხლში და დაიწვნეს, თვისნი ნაქმარნი მათვე გარდაჰხდათ. ეს ამისთვის მოგახსენე, მამო სედრეკ, ყოველი კაცი ხარბია, ბოლოს დროს არამც გამიმტერდნენ და მისრიკონ რამე. იამა მეფეს ესრეთი სიტყვა-ტკბილობა მისი და უხაროდა. უბრძანა მეფემ, თუმცა დამემორჩილო და წამომეფე მეფობისა ჩემისა კიდე რომელიცა მთხოფო, მოგცეოქვამ რუქამ არაკი: კაცი ვინმე იყო ყოფლის ბო-

როტის მოქმედი, რა ბოროტისაგან მოიტყდი, დაიწიის ლოცვა და ტირილი, დიდად მლოცავი იყო. ანგელოზი მოვიდა და უთხრა კაცსა მას, აჲ ნაქმართა შენთათვის სამოთხე არ მოგცა უფალმა, და რადგან ასეთი მლოცავი ხარ, სამოთხეს გარდა რასაც ითხოვ, მოგცემო. მან კაცმა ასე უთხრა: თუმცა სამოთხე არ მომეცემის და სხვას სათხოვარს აღმისრულებთ, ესრეთ დიდი შემქმნას, ჩემს მეტი ჯოჯოხეთში ვერაფერს დაეტიოს. ეს ვეღარ უყო დამკრთმან და ისევე სამოთხე მისცა. მის კაცებერ ეგე ეგეთის გრძნეზის მოქმედა, ესრეთს რასმე გვითხრობს, მისი ქმნა არ ეგებოდეს და მეფობავე შენი მიიღოს. გაცინა ლეონს და თქვა არაკი: ერთი ბერი უკბილო კაცი და ერთი ცოტად ყმა ერთად სხდეს და საჭმელს სჭამდეს. ორთავ ტირილი იწყეს; ჰკითხეს ბერსა, რად სტირიო. თქვა ბერმან, მე კბილი არა მაქვსო და ცოხნა არ ძალ მიცს, ამან ყრმამან სულ შეჭამა და მე მშიერი დაფრხი. ყრმასა ჰკითხეს, შენ რად სტირიო; მან აგრე უთხრა, მე მანამ გამოფცოხნიდე, ეს მთლივ შთანთქამს და მე მშიერი დაფრხიო. მათი რომელი მართალი იყო, ყველამ იცოდეს. მაგრამ ერთმანერთს აბრალებდენ. აწ მის მსგავსად ჩვენც ყოველნი გვხედვენ, ვინ ავი ვართ და ვინ კარგნი, და შეივეც სცნობს ღვთით. უბრძანა შეივემან, რასათვის ძინად გიხნს ყოფა ჩემთანა? მოახსენა ლეონ შეივესა: მთას მეოფი კაცი და წამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორება, თუ ახლოს ჰქნის, სიცხე სწყავს, და თუ შორს წავა, ყინვა დაჩრავს. შეივესთან მეოფის კაცს



ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს: ერთი, რომ ორის თვალისაგან ასეთი მსედველი იყოს, რომ ასის თვალისაგან უმეტეს ხედვიდეს, და მეორე თვალი ბრმისაგან უბრმე იყოს; მეორე, აგრე ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიფრუოს; მესამე, გული ფუნდრუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს; მეოთხე, რომელიც აზვარგ იყოს გაგონილი, არა თქვას; მესხუთე, ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს.

თქვა არაკი: ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვეზირსა, წადი ასეთი საჭმელი მომიტანე, რომ ხმელეთზე მის უტკბესი არ იყოსო და არც ზღვასა შინა იპოუბოდესო. წავიდა ვეზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა, მოეწონა. მეორეთ უბრძანა, წადი ასეთი მომიტანე, ქვეყანაზე მის უმწარესი არა იყოს რა. წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა. უბრძანა მეფემან, მწარე ვითხოვეო, ენა მომიტანეო და ტკბილი ვითხოვეო, კიდევ ენაო. მოახსენა ვეზირმან, თავმან შენმან, არცა რა ენის უტკბოსი იქნებოსო და არცა რა ენის უმწარესიო ჰიქნასა ყოფლისა ქვეყანისსა. აწ, მეოვეო, ხელმწიფეთ წინ მდგომი კაცი სანთელი არის, თავსა თვისსა დასწვავს და სხვას განუხათლებს; მეფის საფარველს კაცს სხვანი სძულაბენ და ხრიკით მასცა შეაძულებენ.

თქვა არაკი: კაცი ვინმე იყო აზნაური ქვეყანასა ბეჩისასა, ჰყვა ვაჟი შვილი ერთი, შემკული ყოფლითა სიკეთითა და დიდად შეენიერი იყო. უთხრა მამასა მისსა: მნებავს მსახურ ყოფა დუქასი, წარმიყვანე და

შემაჯედრე. უთხრა მამამან: ორს მცნებას გასწავლი, მეფეუცე, ღაიმაჩხო, და ნებას აღვისრულებ. შეჭევიცა ძემან მისმან, ყოველი მცნება შენი ვჭყო. ამცნო, ჰატრონისა შენისა სახლსა ცუდს ნუწას იქ, და მეორე, თუმცა რეკა გესმას, ტაძრად მივედ, დიდიცა საშუერი საქმე გქონდეს, ლოცვის დასრულებამდინ ნუ წახვალ. და ამცნო ესე: წარიყვანა და მთართო დუკასა, ჰატრონსა ბეჩისასა. ესრეთ კეთილ-მსახურ იქმნა და შეაყვანა თავი თვისი, იგი ძეთა თვისთა ერივთა და ყოველივე საქმე მისი სელთა მისცა. საქმესა რასა შეუკდა შეასმინა ცოლმან ყრმა იგი. გამოვიდა დუკა გარისხებული, დიღას უბრძანა მეხრმლესა, დღეს რომ პირველად გამოგვსაფნო შენთანა, რომ გითხრას, რა ჭქენი ბრძანებულიო, მას თავი მოჭკვეთო, და მეორედ რომელი გამოგვსაფნო შენთანა, მას მიეტ თავი მისი და გამოგვსაფნე. უბრძანა ყრმასა მას უბრალესა, წადი, კაცსა მას უთხარი, რა უფო ბრძანებული. წავიდა ყრმა იგი და მიმავალსა ესმა რეკა, მოაგონდა მცნება მამისა, მიიქცა, ლოცვის დასრულებამდე დაეყოფნა. მეორე გაგვსაფნა ყრმა იგი შემტოდე, მივიდა პირველად იგი, უთხრა კაცსა მას, რა ჭყავ ბრძანებულიო; შეიპრა, და თავი მოჭკვეთა, და დადვა მუნ. დასრულებასა ლოცვისასა წარვიდა ესეცა, მივიდა კაცსა მას თანა, მოსცა მან კაცმან თავი იგი და მოართვა დუკასა. რა ნახა დუკამ, დიდად გაჭკვირდა და უთხრა, აქამომდე სად დაეყოფნეო. მოახსენა მან ყრმამან, მამასა როგორც ესწავლებინა, ანუ როგორ ფიცი მიეტა ტაძრად დაეყოფნებისა. მეორეთ

აფიცა ლუკამან და ყოველივე ნახული ათქმევინა, რა უბრალოება შეიტყო, სწორ თავისა თვისისა ჭყო. მეფეო, ჰატრონსა თუცა მოხა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბესლიოს; მეფის კართა მდგომნი მრავალს ვნებსა იქმონენ და სრიკით აცთუნებენ, რათა შეაძგონ იგი. უბრძანა მეფემან: რა გინდ ბევრი ჰსთქვა, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუტია, ახანისანი შენი, რომელი შენვე მომეც ძილსა შინა. ნახს სხე თავისი, თაყვანის-სტა მეფესა, დამოწმილდა, წამოჭყვა, წამოვიდნენ. მოვიდნენ ქალაქსა მეფისსა, დაიდგეს ნადიმი, განისვენეს. ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლის აღსა მსგავსისა მზისა შუქით დაიხია, მისნი ელვარე მოციქული სმელეთს გამოგზავნა, მეფემან ლეონ მიიყვანა და ქე თვისი საყვარელი ჟუმბერ მოსტა ხელთა; უთხრა, ეგე ღვთისათვის და შენდა შემომივედრებიაო. მოახსენა, დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა, მე მოხა ვარ შენი და დაგემონო, ძისა შენისა. გაწვრთნა არ ძალმძის; მე მითცა ველოდი მტერთაგან ჩემს შესმენასა წინაშე მეუბნისა თქვენისა, აწ ამით უდიდე შემტოდე ვიპოები.

თქვა არაგი: მეივე იყო ლავდიკისა ცალთვალი, ჭყვანდა მხატვარი ხელოვანი და მიხეცს ექებდა მის მხატვრისსა. უბრძანა, შინდა ჩემი სხე დამიხატო. თქვა გულსა შინა მხატვარმან, აჭ მოვიდა დღე აღსრულებისა ჩემისაო, თუ ბრმა დაფხატო, მომკლავს, ვით მკადრეო, თუცა ორთავალი, მომკვეთს თავს, როდის არს მსგავსი ჩემიო. მოიპოვა ეს ღონე: დახატა

ირეში და მეფეს ხელთ თოფი მისცა, ბრმა თაკალი დაუხუჭა და მიაწოთ მეფეს; ამ საქმით მღვწევი ვერა ჰპოვა და მოაწა მხატვარი იგი. აწ ვხედავ, მიწევი ჩემი ეს არს, აწვე მომკლავ, ვინ დაგიშლის, ან ვინ დაგბომბს. უბრძანა მეფემან, არა ნდომითა ჩემითა არის, ბედთაგან მოცემული ხარო. მოახსენა ლეონ, ხელით წერილი მომეტ ფიცის, ვიწვე ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო, და აგრე ვიქო. მისცა მეფემან ხელით წერილი ფიცისა, წაიღო ლეონ საფიცარი იგი, შექტდა ოქროთა და დაიდვა თავსა ზედან, აღაშენა სხელი და დაჯდა მუნ. დაუწყო ზრდა ჯუმბერს, და სწავლიდა დღე და ღამე, და მეფის წინაშე აღარ მიიყვანა ის სმირად. ნადიმად დაჯდა ლეონ, სამდღე და ღამე წართვით სვა, ჯუმბერ მწდეთ დაიყენა, არც ასვა და არცარა აჭამა, იქესე დგომით და შიმშილით ესრეთ უღონო იქმნა, ქვედაეცა და შეწუხდა, და მეწვე უბრძანა დაჯდომა და ჭამა ჰურთა. რუქა დიდად მტერი იყო ლეონისა, მან სცნა ესე.

თქვა არაკი: ერთი მკერვალი იყო დია ქურდი, რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის. ღამესა ერთსა ნახა სიზმარი, პირთა ხე ამოსლოდა, ყოველი ნაპარავი ნაჭერი ზედ ეკიდა რტოთა. გაეღვიძა, შეშინდა, შვილს უთხრა, როდესაც შემატეო მაკრატელთ ტარებასა შიგან პარვა, ხე მომაგონეო. ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროაქსოვილი გამოაჭრევინა, რა პარვა დაიწყო შვილმა ხე მომაგონა; ეწეინა მკერვალსა და მაკრატელი პირში ჩასცა, ეგრე

უთხრას, ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა იმ ხეზე-  
დაო. ამისთანა მეფის ძის ზრდა ვის უნახავს და ან  
ვის ასმია, შიშინილით დაბნედილა და ზედ ღვთისმით  
ფერხის ტერფი დასეთქია; მეფის შესმენას ცდილობ-  
და. სერდაქ ჭკქვას, რუქავ, დიდად მიყვარს-ხარ და თავსა  
ჩემსა მიწვევნი-ხარ, მაგრამ საქმენი შენნი მიგვირხან.

თქვა არაჲ: ორი მოლა იყო ერთს ქალაქიოგან,  
ესრეთ მტერნი იყვნენ, ერთად ვერ მოთავსდინან, არ-  
ცაჲ ერთად სვიან და ჭამიან. ამას ცდილობდენ ერთი  
მეორეს წაესდინა. დღესა ერთსა მოლა დაიჭირეს და-  
ნაშაულობისათვის; მან მტერმა მოლამ თქვა, მე ხომ  
ყოველნი მიცნობთ, მაგისა მტერი ვარ, მაგრამ რას  
ემარლებით, უბრალო არის; გაუშვეს. მერმე მან მო-  
ლამ ასე უთხრა, შენც იცი, როგორი მტერი ვარ  
შენი, მაგრამ ეს ამისთვის გიყავ, მეც ავის მიქნელი არ  
ვეგონო ვისმე; რომ ჩემის სახის მსგავსება გაქვს,  
ამისთვის მოგარჩინე, შენც მოლა ხარ და მეცაო.  
ძმაო რუქავ, შენ რად იტყვი, თუ ამით კაცის სახე  
არა გაქვს, ჰატრონისა შენისა უმჯობესსა და საწყენსა  
რად არ ირჩევ? უთხრა რუქამ, ვეზირო, ჰატრონისა  
ჩემისა უმჯობესი როგორ არ მინდა, მაგრამ კაცი  
ეგე მას ჭგავს.

თქვა არაჲ: ერთი მელა დაცანცალედა, ძველთა-  
გან თურმე ნასოფლარი ეოფილა-იყო. სამღებროს  
ქვეკვი ლილით სახესე ჰირაღია დაწხომილა-იყო სია-  
რულში იქი აქა, თურმე შიგ ჩაჰაქდა, ამობორტყდა,  
ამო იდა, მელა შავად შეღებული შეიქმნა. დაიწყო  
სიაჩული, ერთი მამალი შემოეყარა, ჭკითხა მამალმა,

რად დაგმართებიანო. მელამ უთხრა, ჩემნი დღენი ცოდვას-  
ში დავალაძე, ახლა ჭკუა მოვისმარე, ეს სოფელი გაუშვი,  
ბერად შევდგე, იერუსალიმს მინდა წავიდეთ. მამალმა  
უთხრა, რადგან ცოდვისაგან ხელი ავიღო და ქველის  
საქმეს იმრავლებ, მეც წამიყვანე, მაღლი მოგხედუ-  
ბაო. მელამ წაიყვანა და წავიდნენ. შემოეყარათ ძერა,  
უთხრა მამალსა, რას უტყდენიხარო, ვის მისდეთ. მან  
უთხრა, მელა ბერად შემდგარა და იერუსალემს მივა,  
მეც მივდეთ. მოეწონა ძერასა და იგიც გაჰყვა, შე-  
მოეყარა ოფოფი და იგიც გაყვა. მელა სოროსკენ გაუ-  
ძღვა, თავისი ხეჩხიანი ენა ტკბილად აუბნა და ეგრე  
უთხრა, იერუსალემს უმოძღვროდ კაცს არ მიესვლე-  
ბა, ცოდვის აღსარება უნდა სთქვათო და მოხანული  
წავიდეთო. იგინი დამოწმიდნენ, სოროში შეასხა,  
სამოძღვრო სახლი ეს არისო, და თვით კარისაკენ  
დაუჯდა, და უთხრა: ოროლის ცოდვის შენდობა შე-  
მიძლიანო და მესამეს კი ველარ შეგინდობო. მათ  
მაღლი მოახსენეს, თუმცა ორს ცოდვას შეგვინდობ,  
მესამის შენდობას ვინდა ითხოვსო. მათ თავნი უცოდ-  
ველნი ეგონათ და მელი მიზეზს უძებნიდა. უბრძანა  
პირველს მოწაიფეს მამალს, დმეწომან ქათმის ეივი-  
ლი გათენებისას ბძანაო, შენ ვანშამს უკან რად წაი-  
ცდენ სოლმეთ. მისი შენდობა მოითხოვა, და აღარა  
ვიქო, აღთქმა დაუდო, და მანც შეუხდო. მეწმე ეს  
უბრძანა, ყოველს კაცს თათო ცოლი ჰყავს და შენ  
ათსაც არ დასჯერდები, ვისაც იბრყევებ შენს ამხა-  
ნაგს, მასცა წაართმეთ. მისიც აღთქმა დადო და მანც  
შეუხდო. მესამე უთხრა, მხედარი არა ხარ და მშვილ-

დოსანი, დეზები რად გაკრავსო, შენ ხომ მის ყაჩაღ  
ცნენს ანა მჯდარ-ხარო. მამალი მესამეს ცოდვასე  
რადას იტყოდა, მოსწვიტა თავი და წინ დაიდო.  
უბრძანა ძეკასა, ირომ ავი მგალობელი ხარ, არც  
სტვესა გივარგა და არც ძახილი, მუდამ რად ჭყვიო.  
ძეკამ ალექსა დადვა და მან შეუნდო. მეჩემე უთხრა,  
ღმერთმან შენ სასრდოდ ხელიგი და თავგი მოგცა,  
ერთს ქვრივს დედაკაცს საჩხოდ ერთი ქათამი ეგუ-  
ლების, იმას კრუხათ დასომს, წიწილებს გამოა-  
სხმევენებს, იმ წიწილებს შენ დასტაცებ, ეს რა  
სამართალი არისო, ესეც შეუნდო. მესამე უთხრა,  
ექვს თვე მამლობ და ექვს თვე დედლობ, ეგ  
რა არისო, მოსწვიტა თავი და დაიდვა წინა. სა-  
ნამდისინ მეღი ამ ორისაგან მოიცლიდა, მანამდი  
ოფოფმა ესეთი ხერხები აჩივია, მეღის ოსტატო-  
ბას გარდაამეტა. ოფოფს ჰკითხა მეღამ, სამეფო  
ჯილა ვინ მოგცაო. ოფოფმან უთხრა, სოლომონ  
მეფემ თავისის ხელით დამადგაო. მეღამ უთხრა, მო-  
წამე ვინა გუავსო. ოფოფმა უთხრა, ერთი მსუქანი  
ბატი და ერთი მსუქანი იხვიო. მეღას სინარბით  
და სუნაგობით ჭკუა და მცნება დაეფანტა, ასე თქვა  
გულში, ეს ოფოფი ერთ ლუკმით არ მეყოფის და  
ერთი იხვი და ბატი ერთს კვირასაც მეყოფაო. ბე-  
ვრის ნდომა კაცს ასე წახდენს. მამალი და ძეკა იქავ  
შეუჭმელი დარჩა და თან გაჭყვა. ოფოფმა მეღა ერთს  
ხევში დაწვინა, მონადირე ვინმე დახვდა ქორითა, და  
მეძებრითა, და ძაღლებითა. ოფოფი წინ დაუჯდა,  
სეექვა უნდა ესროლათ, აფრინდა მეღას ახლო დაჯდა.

მიჭყუნენ მონადირენი, მან იმდენი ქმნა, იმ ხევში ჩაიფანა. შექებათ გვალი ნახეს, მელი გაისტუნეს, შწევრებმან, ასე გახადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს, ძლივ დაჩეჩქვილმან სული გარდაარჩინა. ოფოფმა დაუძასა, მელაგ, მოწამე ვერ გიშოვეო. მელამ უთხრა, რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესაც დაეპართებაო. ოფოფმან ჯაფრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალს და ძერას აღარა ეშველარა. ეკ კაცი ის მელა არის და ბევრისაგან ბევრს ადგილს ნაკალი, ასეთს საქმესა იქმს, შენვე თავს შემოიკრა და აღარა გეშველოსრა.

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას წრუნევდა. დღეს ერთსა წავიდა ნადირობად, თვით თოხარისკს ცხენს შეჯდა, ჯუმბერს ხელთ ქორი შემოუსვა, უცხენოთ წინ წაიმძღვარა, სადამოდე არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულსა ადევნა. მეორეს დღეს შწევრები მისცა ხელთა და გორათა არბენინა, ფენსაცმელი გაუტვდა და ფეხი დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო. მესამეს დღეს წინ შიკრიკად გაიმძღვარა, მეტად დაშვრა, მალმალ დაეცემოდის და არ მოეშვა, მანობამდინ არბენინა, სადგომს მიიფანა. ესმა ესეცა რუქას და შეასმინა მეფესა.

თქვა არაკი: ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა, საქებხელად წავიდა, ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო, თურმე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურმე ეზოვნა; მან ხარისა ვერა შეიტყოარა, ასე უთხრა, ვირი შენიაო, საზოფნელი მანც მამეო, ერთმანერთისა ვერა გაიგეს რა. ერთი ცხენოსანი



კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას უჯდა; მივიდნენ იმასთან, ამან ამისი ხარისა უთხრა, იმან იმისი ვიწისა, თურმე ის უიერო ყრუ იყო, ეგონა, ამ ქალს მართევენო. იეტი თქვა, ცოლი მომიკვდაო და ეს იმისი მოახლე არისო, სხვისას ნუ ჰგონებთ. ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა, ყადთან წავიდნენ, ყველამ თავიანთი სანივარი თქვეს. ყადი თურმე სიბერით დაყრუებულ-იყო, რამაზანი იყო, ეს მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მოამბენი ეგონათ, ეს თქვა, რადგან მთვარე უნახავთ, ნაღარა დაუკარითო. ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა. აწ ჩვენც დიდი და ზატარანი ყველანი დაყრუებულნი ვართ, თვარამ რატომ არ გვესმის, ლამისყრმა მოკლასო. უშლიდა ვესირი, არა თქმას ეტყოდა.

თქვა არაკი: ვატი ვინმე იყო სეკანთა ადგილთ მყოფი, რომელსა წალკოტი არ ენახა. შევიდა შიგან, ნახა ყოველივე ხეხილი, მწვანელი, და შეეწონა და ღმერთს მადლი მისცა, და თქვა, ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავათაო, ცოტას ბალახისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო. მინა მოიარა და ნიგოზის ძირში დაეძინა; მოვიდა ყვავი, ზე შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო, მას კაცს შუბლს დაეცა და გაუტყნა. ადგა კაცი იგი და თქვა, ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო, თუ იქ ამისგან უდიდესი ჰბმდა, თავს გამიჭყლეტდაო. ეგება, ის კაცი უკეთ იქ მოდეს და ისრე სჯობდეს, და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს იტყვი.

თქვა არაკი: ერთი ძაღლი და ერთი მამალი და-

ძმობილდნენ, სოფელი ავაშენოთო, ძალღმა უთხრა, როგორ ავაშენოთო. მამაღმა უთხრა, შენ იყიფეო, და მე ვიყიფლებო, და აშენდებო. წავიდნენ ტყეში, ძალღმა ყეფა დაიწყო, დაეძინა, მამალი ხეხედ შეჰდა, ყიფილი დაიწყო. მეღას ხმა ესმა, მოვიდა, მამაღს ჰკითხა, მანდ რასა იქო. მამაღმა უთხრა, სოფელს ვაშენებთო. მეღამ უთხრა, ჩამოდი; სახლის ადგილი მომიზომეო. მამაღმა უთხრა, მამასახლისი მანდ წევსო, გააღვიძე, ეკ მოგიზომსო. მეღი მამლის ხდომით სცდა, ვეღარ გაიგო, ძალღთან მივიდა, წამოდგა ძალი, მეღას კუდი მოსწვიტა. დაკოდილი წავიდა გაგლეჴილი, გოროხე წამოდგა, დაუძახა, მე ხომ ჩემი ჴკუისა დამემართაო და თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო.

შენდა მას ჰირი შეგიკრავოთ, ვიცი, მე წაუხდენელს არ გამიშვებოთ, თუ მეფის ძე კარგად გასარდოთ, მე თურმე არ ვიცირო. შეიქეს ყური მიეგდო და იცინოდა; იცოდა, რომ სერდაქ და რუქა ერთს სიტყვაზე არ იდგნენ, და ლეონს ვეზირის სიტყვა შეეწეოდა. დღეს ერთსა ლეონ გაწერა ცუდად, ჴუმბერ შეიპყრა უბრალოდ და ორმოცდაათი ჴოხი ჴკრა. დიდად გვემა. სცნა რუქამ, მოვიდა გარისსებული, არაკობა აღარ დაიწყო, შეიქეს ეგრე უთხრა, ღმერთს მრავლის ღონის ძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგიფლინა, შენ მიეტ ერთ ღვთის წყრომით აღვსილს კაცს, შეუპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჴქონდა. ეგრე ავათ არის, საღამომდინ სულს ვერა მიატანს, და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენ ჰატროხად. მრავალი

ეკე ვითარსი საუბარსი წარმოქვა, ვითა მტურთ წესისა; რა ღროს დაიტემს, მასინ ეცდება მტურობას. მეიემ ერთობ შეიჭირვა და დიდად განრისხდა. რომ ცეცხლის ალი მისი ჯავრის კვამლს მირიდებდა, მეტის გაშმაგებისგან ძრწოდა. რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა და მრისხანემ მეიემ ვეხირი თვისი გააძო, ლეონს კაცი გაუსიეს და ორევეთ მოიღეს, მოკვლას ლამოდა. აგრე ჰკადრა ლეონ, ვერ მამკლავ მეიეო, ვერა; აჭა საფიტარი შენი, აბა ამ დღისათვის გამოგართვი, ამას ველადი და ვიტადი, მე ეს წინ შედვა; ვერ მამკლავ უსამართლოდ, მოახსენა მეიესა. მეიემ უოხრა რისხვით, მოვედ და ვისამართლოთ. ლეონ მოახსენა, არა, ჯერეთ მოწყალების ქართა მრისხანების ღველოვი გააბნიე და სიტკობს წყლით მისი ალი დაშრიტე, და მეჩმე გეტეოდე. სიტყვას მას ზედა მოვიდა მეიე ცნობასა, დაწყენარდა და დამშიდდა. ლეონ მეოვარ ჟამ დადუმებით დგა, მეჩმე აუბნა თავისი ბუღბუღის უტკბესი ენა, ეოველს კაცს ასე ეგონა, ზირს იადონი უბუღბოსო, ან მერცხალი ჭიკჭიკობსო, თურამ იცოდა, რაღა დღისათვის დაეჭირებოდა. მოახსენა, მეიეო. დიდად ვმადლობ გულისა შენისა სიმდოვრესა და შენსა ეგზომისა სულგრძელეებსა, რაზომ ადგაშეოთა კაცობისა მარცხენაღმა და გაუკითხვად არ მომკალ. აწ ესე ბრძანოს მეოობამან თქვენმან, ძე შენი სამეოოდ გინდა თუ მწყემსად; მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეიეთა. მწყემსი ხამს, ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეოილთა ბაღასთა ამოდ ატაროს, და-

კოდლილი შეუხვიოს და მზარავს არიდოს; ეს თუმცა ვერა ჭყოს, სამწყოსო შეუწუხდეს. ეგრეთვე მეფე ესეთი ჭხამს, გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აწნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი და რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმაჰამა და მიცემა იცოდეს. თუმცა ეგოდენ ხან ფეხსე არ მდგარაიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზე დგომასა ჭირი აქვს. თვით მეფე ჭხის, უნებს აღდგება, უნებს დაჟდება; მათი სამსახური ვითა სცნას, რას მოიჭირებენ მისთვის, დღე ყოველ ზესე დგანან და დაითმენენ. თუმცა შიმშილით არ მომეყარაიყო, რამცა იცის; გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე, საქმელი აკლია, იგი ყველას კეთილსა სვამს და ჭსჭამს არ მოიმშევეს. არაკად თქმულა: მადლარი კაცი მომეყმარს ჰურს უფშენეტდა და ზედ დაჭყუედრიდა, რა ღორულად ჭსჭამო. თუმცა უცხენოდ სვლა არ გამოეცხადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხელთა ჭირნი რითა ჭსცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალოს, იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთასა ჭჳდეს, გინა ეტლთასა ვიდოდეს. არგნის სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალ იყო მონათა ზედა, ებრძანა ასის და ორასის არგნის კვრა, სხვათათვის მეტნი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველი გლახაკთა და უღონოთა ჭირნი მისწავლებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენც, რა არის სასწავლოდ მისა. ნახა მეიკემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი, დიდად მოე-

წონა და შეინანა, რაც ლეონისათვის ავი ექნა, მოეხვია ყელსა და უთხრა: რა ვჭყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან და შვილის სიმწარემან აღმაშფოთა.

თქვა ლეონ არაკი: შირვანს შაჰ იჯდა და ესეთი უსამართლო კაცი უწყალო და მახსარი ქვეყანათა, სადაც მოჩივარი ან გლასა ნახის, წამსავე მოჭკლის. ახრდა ყოველი სამეფო მისი. დღეს ერთსა ნახა მოჩივარი ვინმე და მოკვლა მისი ბრძანა; მან კაცმა თქვა, მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, ამად რომე ყოველთა მფრინველთა ენა ვიციო. იამა შეუესა და აღარ მოაკვლევინა, მართალი ეგონა, ვეზირს მიაბარა, ეგრე უბრძანა, ამისგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო. წაიყვანა ვეზირმა, იცოდა, რომ სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა, კაცი იგი განუტევა. გამოხდა დღენი და ღამეს ერთსა სმად ჯდა შირვან-შაჰ და გაღმათ ორნი ჭოტნი იძახდენ. მოაგონდა კაცი მოქნე, ჰკითხა ვეზირს, ისწავლე ფრინველთ ენაო მის კაცისაგანაო. მან მოახსენა, ვისწავლეო. უბრძანა, იგი ჭოტნი რას უბნობენ. ვეზირმა მოახსენა, ერთს ქალი ჭყავს და მეორე ვაჟისათვის სოხოვს; ქალის ჰატრონი ეუბნება, თუმცა ჩემს ქალს შვიდს ნასოფლარს არ მოართმევ ჰირის სასახავად, არ მოგტემო. ვაჟისა მამა ასე ამბობს, შენს ქალს რომ შვიდი ნასოფლარი მივსცე, ექვსი შვილი სხვა მყავსო. მათს ცოლებს რაღა უყო. ქალის მამამ ეგრე უთხრა, რას ზარობ და დაღონებულ ხარ, თუ შირვან შაჰის დღე გაუგრძელდა, ბევრსა სხვას ახრებსო. ეყენა შაჰის და ეგრე თქვა, მე ეგრე უსამართლო ვარო?

ვეზირმა უკრე მოახსენა, ჭოტნი ახრე იტყვიან. მას სიტყვას ზედანის შაჰი მოწყალე შეიქნა. მათ მსგავსად მანამ ებ თქვენი საჭურისი ცოცხალი არის, ბეფრი ამისთანა დლე გარდამხდებო.

მოახსენა ლეონ არაგი: ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ, იწვია დათვიმან მან კაცი იგი, ლხინი ახვენა, დათვი დაეთხოვა და გამოესალმა. მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის. დიაცმან თქვა, პირ-მეორალს სტუმარს ვერ ვეწყობიო. წავიდა ეს დათვი და მეჩმე ეს კაცი მივიდა და ცუელი თან წაიღო, მით შეშას დაუჭკოდ და წამოვიღებო. მოვიდა დათვი და რაც იმათ ეფერებოდა, იმ გვარად უაღერსა; მეჩმე დათვიმ დაუყინა, თავზე ერთი ცუელი დამკარ და დამკოდეო. მან კაცმა უარი თქვა, დათვი არ მოეშვა, დაუჭკრა ცუელი და თავი გაუტყნა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა. მეორეს თვეს შეიყარნენ, დათვიმ უთხრა, შენ რომ ცუელი დამკარ, ისკი გამიმთელდაო, და შენის ცოლის ენით დასწრილი გუელი არაო. ეჭა, მეფეო, ენით მოკვდება კაცი, სხვით არა; უდღეოდ ენით მკვდარი, ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წყელულს ელხინება. თქვა, არაკად თქმულა, შესს იქით კაცის ისრის კვრამ მუხის ცემას დაადარეო; ჩემთვის ვის რა სტკივა, თუ რა იყო. უბრძანა მეფემ, შეცდენით ერთი საქმე იქნა, ნუღარ გახსოვს.

თქვა მეფემან არაგი: მეფე ვინმე იყო და ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა, რომ მისი პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდის. მეფე ხუთის წლის სავალს ლა-

შქრად მივიდოდა და აფსიტიყვას უთხრა, ერთი კარგი სიტყვა თქვი, რომ მუხნით მოვალ, კახას ჩაგატყუო. აფსიტიყვამ უთხრა, რომ ველარ მოხვდი, ვინლა მომცემს, კარგი სიტყვაც დაუჭკარკოვო. წავიდა მეფე, ორი წელი გამოვიდა, აფსიტიყვამ მეფის უნახაობა ველარ გასძლო და წარვიდა მათდა ნახვად. რა მივიდოდა, მეფემ უწინარეს დანახა, ვეზირს უბრძანა, აჭა უია მერალი მოვარ და ნურას ამბავს ჭკითხვით აფსიტიყვას, შენ ჩემი გომის ამბავი ჭკითხეო. მივიდა და მეფეს წინ მიწას აკოცა. ვეზირმა ჭკითხა, კაცო მანწყინარო, მეფის გომია რასა იქსო. მან უთხრა, მოკვდაო. ვეზირმა ჭკითხა, რა სჭირდაო. მან უთხრა მეფის თეთრი აქლემი მოკვდაო, მისი მძოფრი ჭამაო და მით მოკვდაო. აქლემი რამ მოკვდაო. მან უთხრა, მეფის დედა ამ სოფლით გადიცვალა და იგი ავჭკიდეთ საფლავადინ და მან მოკვდაო. მეფეს გულთცეცხლი მოედვა, ჭკითხა, იგი რამ მოკვდაო. ან რა დაესენაო. ტირილით პირმსე დედოფალმან სანწოთრო დაცალაო და მისმა ნადეულმა მოკვდაო. მეფემ ჭკითხა, მან რა დაესენაო. თქვენნი ძენი და ასულნი უფაფილმან გასწყვიტა, სიმწარეს ველარ გაუძლეს. ჭკითხეს, მამ შენობა აღარა დარჩა რაო. მოახსენა, მე რა იქ ვიყავ. თქვენს სსახლეში ბზესა ჭყრიდენო და აწ არ ვიციო. თურმე მისი სიტყვა სულ ტყუილი იყო და კაცო სანწყენად მოიგონის აწ, ჩემო ლეონ, ამ გვარის კაცის სიტყვა ვერას იქს, თუმცა ბედმან არ უფოს კაცს. არაკად თქმულა ბედი მომეტო და სანახეყო დამთალო.

ლეონ მოახსენა მეივეს წიკი: ბაღდადის ხალიფამ ინადირა და ცხენის ჭენებში დიდებულთ მოსცილდა, ერთი ოდენ ვეზირი იხლა, ღია მოჰივდა. ნახა, უდაბნო ადგილს ერთი შავი კარავი, მივიდნენ, ნახეს, არაბი იყო, სამი თხა ჰყვანდა, სხვა არა ებადარა. მუნ ჩამოხდნენ და საჭმელი მოინდომეს. არაბმა ერთი თხა დაკლა, მოხარშა, მოუტანა და მოართვა. ხალიფამ ტვინის მეტი არა ჭამარა. არაბმა ვეზირს ჰკითხა, ხალიფამ რად არა ჭამა რაო. ვეზირმა უთხრა, ჩვეულება აქვს, თუ არ ტვინსა სხვას არსა სჭამსო. ადგა არაბი იგი, ორი თხაც დაკლა, ტვინი შემზადა და ხალიფას მოართო. მოახსენა ვეზირმა, ხედავს მაღალი ტახტი თქვენი მდაბალსა და უზოარსა ამას არაბსა, რა ჰქმნა; მდიდარმან და უხუმან ვერ შეიძლოს ესეთი ქმნა, თავმან შენმან; მდიდარი რასაც დახარჯავს, ათასი იმოდენი დარჩეს, და ამას ამის მეტი არა ჰყავს რა. და ყოველივე დახოცა. და შენ გიმზადა ხალიფამ თაქისი ხელთ საჭეკრი არგანი მისცა და უბრძანა, მოდი შენ კარს ვერავინ დაგისშავს, შე მრავალს წყალობას გიზამო. მას დღეს ხალიფა წაჰიდა, და მეორეს დღეს კვერთხი აიღო არაბმა და მივიდა. კარი შეველა, შევიდა. ხალიფა ღოცვად იდგა, ზურგი კარისაკენ ჰქონდა, არაბი ვერ ნახა. იკითხა არაბმა, ხალიფა რასა იქსო, ხან მიწას დაემხოდა და ხან ზეზე ადგება. მსახურთ უთხრეს, ილოცავსო. არაბს თურმე არც ღვთის სახელი ასმოდა, არამც თუ ღოცვა სცოდნოდა. ჰკითხა, რას ილოცავსო უთხრეს, ღმერთის საქონელს სოხოვსო. შე მაგას რაღა ვსოხოვოვო და



წავიდა, ვისაც ეგე სთხოვს, მეც იმას ვსთხოვ, მომცემსო. ხალიფამ ვერც ამისი მოსვლა სცნა და ვერც წასვლა. მივიდა არაბი თავის სახლში და მანც ეგრე ჰქმნა, იწყო ვით ხალიფასი ენახა, ამას იტყოდა, ვისაც ხალიფა საქონელსა სთხოვს, მეც მომეც, გლახაკი ვარო. გამოხდა მტირედი დღენი, კარავი იგი აიღო და სხვაგან აშართა. რა კარვისა ადგილი გასჭრა, დიდი რაზმი გამოხნდა, რაქროთ და ვეცხლით სავსე იყო. ეგრეთვე დაბურა, წავიდა არაბი, ჯოხი ხელთ დაიჭინა, შევიდა ხალიფასთან და თაყვანისცა. უბრძანა ხალიფამ, აქამდინ რათ არ მნახეო. მან ყოველი ყოფილი მოახსენა, ვისაც შენ სთხოვე, მეც იმას ვსთხოვეო და ერთი რაზმი რაქრო და ვეცხლი მომცაო, და აწ მწერალი მიბოძეთ, თქვენთვის წამოაღებინეთო. ბრძანა ხალიფამ წარსლვა მწერლისა და აღწერა. შეედა ვეზირმა და მოახსენა, ერთს გლახაკს არაბს სამიოდ რდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანედა არა გთხოვა, ღმერთს მიუტია და იმასაც შენ ართმეო. ჰე, მეფეო, ეს არაჰიამისთვის მოგახსენე, ბედი ყოველს კაცს აქვს, თუმცა ჰატრონი არ რისხავს; თუმცა მე მოგეკალ, ჩემი სვე ბედი ცუდად იყო. უბრძანა მეფემან, ნადგეული შემომეჭიდა და მან მიეო, ნეტამც უნადგელო ვიყო, ღმერთს ვევედრები.

თქვა ლეონ არაბი: მეფე ვინმე იყო დიდებული, უხვი და ყოველთა ურჩთა მისთა შემაწუხებელი, და ჰყვა ვეზირი ბრძენი და საუბარგეთილი. ჰკითხა ვეზირისა, ურვანი შემაწუხებენ დიდნი. მინებს ესეთნი კაცნი, რომ რითაც ღონის ძიებითა მარგოს. მან

მოახსენა ვეზირმა, უნაღვლო და უსრ-უნველი კაცი არ არის პირსა ყოფლის ქვეყანისასა, შენ მეფე ხარ, ყოველი საღვინენი ხელთა შენთა არიან, როგორც გენებებოდეს ისე უკუიყარეო. ეწეინა მეფესა, ესე ებძანა, ვით არ არის შეუჭირვებელი კაციო. მან მოახსენა, არა მეფობამან შენმანო. მეფემ აღარ იშინა, დაუტევა მეფობა, შეიმოსა სხვა, შეჰდა ცხენსა ერთსა, მცირედი ოქრო წაიღო და წავიდა; არც მოსა, არც შეიკრიკი, არც დიდებული არავინ წაიყვანა. მოფლო პირი ყოფლისა ქვეყანისა, მივიდა წალკოტსა ერთსა დიდად მშენიერსა, მრავალი კარგი ინახებოდა, სლუდე თეთრის მარმარილოსი ედგა. შევიდა, ნახა კორდი სურმ-უსტისა მსგავსი, სედან ყვავილნი სულნიელნი, ბუღბუღთ ყეფა, იადონთ სტვენა, მასშეთ მღერა, მერცხალო ჭიკჭიკი, ყური უკეთეს ვერას ისმენდა, ვერც თვალი უკეთეს იხილევდა. შუა თალარი შემკობილი იდგა, წყალნი და წყარონი ამონი დიოდეს, ათნი კაცნი სხდეს, სოგი ჭაბუკი, სოგი მსტოვანი, წინ ტაბლა შემკობილი, დიდად იხარებდენ. ყვავილთ ფშვანი, ხილთა ფხერანი, ფრინველთ ხმანი, ღვინოთ სმანი შეიწყობოდეს, მათი შეჭირვების ნიშანი არა იპოებოდა რა. მივიდა მეფე, მიეგებნეს, დასვეს, სამ დღე ესეთი ღვინი აჩვენეს, უკეთესი არ ეპებოდა. უთხრა მათ მეფემან, უნაღვლოთ კაცთ ვეძებდი, აჭა თქვენ გპოვეო. ამით უთხრეს ღონე ამის მეტი არა გვაქვსო, ცუდად დაგიშვრია, მაგ საქმესყდ თაფი შენიო. უამბეს მათ კაცთ მათი შეჭირვების ამბავი.

თქვა ერთმან: მე შეყუე ვიყავ არაბეთისა, დიდის დიდების ჰატრონი, გავილაშქრე და მხარეულთ უხუცესმა მითხრა, ცხრა ათასი აქლემი შეაკვს, სამხარეულს ვერ კმა ეყოფის სასიძლად, სხვამც გვიბოძეო, სხვას გარდა ეს დიდება მჭირდა. მეორეს დღეს შევიბენით, მტერმა მძლო, ამიკლო, სხანი ჩემნი ამოწევიტნა და მე შემიპყრეს, შეყუედ ვერ მიცნეს და საჯინიბოში დამაბეს. მოვიდა შეჯინიბე და მცირეს ქვაბში ხორცი მოხარშა და კარი გაფლო. შემოიჭრა ერთი ძაღლი, ქვაბში ჭამა დაიწყო და მე შევძახე გაგდებად. ქვაბის საკიდური თავს გარდაეცვია, ძაღლმა ქვაბი აიტაცა და წაიღო, მე დიდად გამეცინა. შემოვიდა შეჯინიბე და მკითხა მიხეცი სიცილისა, მე ეგრე უთხარი, გუშინ ცხრა ათასმან აქლემმან ვერა ზიდა ჩემი სამხარეულო და დღეს ერთს ძაღლს ემსუბუქა, და მისთვის ვიცინი მეთქი. რა ჩემი შეუობა სცნეს, გამიშვეს, შინ სირცხვილით ველარ მივიღე, აქ ეს ბაღი ვიპოვე, აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეორემ: მე ქობულეთის მეფის ძე ვიყავ, ყოფლის კეთილის მქონებელი, მტერი მევა უძლიერესი ჩემი, ჭაბუკად მე ვჯობდს და დიდებით იგი, ცოლი მევა ერთი, მისთანა მთიები ცას ვერა გაანათლებდა, ყოჩნის ფრთე მისის წარბების გარემოქმნილ იყო, მისის ღწვის შემშურნეობით მისის ვარდი აღარ იშლებოდა, მისის პირის ფერის ბაძითა, ვეცხლისა ახალი ჩარხი მოევლო, მისის ტანადობის შესულობას კვიპაროზი გაეკვირვებინა; მევა და მიხაროდა. მე ნადირობას ვიყავ, მოსულ იყო იგი მტე-

რი ჩემი, ძე შევისა, წაყევანა. ჩემმა ჭაბუკობამ ვერა მიშველა რა, აწ დავიკარგე სამეფოთ ჩემით, სირცხვილისაგან ველარ ვნახე და აქ მოველ, აწ თუ უნაღვლო ვიყო შენ გასინჯე.

თქვა შესამემ: მე ვიყავ კაცი, რომელი დიდებული ფრიად, მამულისა და ქალაქებისა პატრონი, არას დღეს არა მენადვლებოდა რა სადირობის და ნადიმობისა, სმისა და ჭამისა, შემოსისა და გაცემისა კიდე. ოდეს ქორწილს ვაპირობდი საცოლო მომიკვდა, შინ აღარ მივიქეტ, მოველ აქა, აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეოთხემ: მე თუ დამიჯერებ, შენ შინ შეიქეტ, შენი საქმე იურვე, თორემ ჩვენ უარესნი ჭირნი გვჭირან, რომ კაცთაგან არ ითქმისო და ვერც ჩვენი ენა იტყვისო. აფიცა შეფემან და ამასტა ათქმევინა და თქვა, მე შვილი ვიყავ დიდებულის კარანდუკასა, ესრეთ უფარდი მამასა ჩემსა, სულსა თვისსა ჩემს ჭირს ანაცვალებდა, და მომგვარა ცოლი დიდებულის კაცისა, მშვენიერი, გაბადრული, მთვარე ვერ გაუსწორდებოდა, და დიდად მიუფარდა. მან მილალატა, ველარც მამა ვნახე, მოველ აქა და აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეხუთემ: მე სპასპეტი კეისრისა ვიყავ, ლაშქარს გამგზავნა მეფემან, შევიბენით, ჩემს ჯარს გამარჯვებოდა, მე მარტო გამოვიქეტ, მოველ. მეფემან გარისებულმან სასიკვდილოდ მიმცა, წაუელ კაცთა, რბენაში ცხენი დამიფარდა, უცხენოდ დამაშვრალი შინ მიველ, ცოლი დუხჭირ-ებედი და ავ ენა

მეფანდა, მან ბეგრი მაგინა, აღარც მუნ დადექ, აქ  
შოველ, და აწ თუ უნაღველ ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეექვსემ: მე ქვის მთლელი ვიყავ და ყო-  
ველს დღეთა თვითთა ასპანურს მომცემდენ ხელფა-  
სად, მით სსსმელსსსმელს ვიყიდდი და მის ქალაქის  
გლახაკთ ვაჭმევდი, მეცა ვაჭამდი და მათცა ვაჭამი,  
და ნამუსრევი ძაღლთა ვაჭამი, ხვალისად არა შევი-  
ნახი რა. ეგრევე დღე ყოველ ვიყვი. მოვიდა ერთი  
ღვთის კაცი, მეწვივა, ჩემი ცხოვრება და მუშაკობა  
ნახა, ევედრა ღმერთსა, ერთი შენი მოსა რად გლახ-  
აკად გუყავსო, ესეც გაამდიდრეო. ანგელოზმა ჰრქვა  
მას კაცსა, ჩვენ მაგისი ბუნება ვიცით, სიმდიდრე  
თუმიცა მივსცეთ, ვერ თავს-იდებს. იგი ღვთის კაცი  
თავმდები თურმე შეიქნა, მე არცეთი ვიცოდი ჩემის  
სიმდიდრისათვის და კეთილ-მოქმედებისათვის. დღე-  
სა ერთსა კლდესა ვგვეთდი, ხვრელი გამოჩნდა, გა-  
მოვჭკვეთე, ვნახე განძი აუარელი, ოქრო იყო ივრია-  
დი; იღუმაღ გამოვზიდე, სხვას ქვეყანას წაველ, ესე  
დიდი კაცი შევიქენ, რომ მას თემის მეფის თავი ვე-  
ზირობა მომცეს. ასი კაცი ოქროს არგოსანი კარზე  
მიდგა, აღარც გლახაკი მომაგონდა, და აღარც ღმერთი,  
ესრეთ სინარბეს გავეეგ. უთხრა ანგელოზმა თავდებ-  
სა ჩემსა, გამოგზავნა ჩემთან, მოვიდა კართა ზედან  
ჩემთა, ენება ხილვა ჩემი და ჩავონება. ვინ მოუ-  
შვებდა მას ჩემთან; დიდად ჰგვემეს და განაძეს.  
ჰრქვა ანგელოზმა თავსმდებსა ჩემსა, რას იტყვი შე-  
ნის თავსმდებობისასა? უთხრა მან, რა ვაქო, ჩემი  
ბრალის და რაც გენებოსთ, მიყავითო. ანგელოზმა

ეგრე უთხრა, თუმცა შენ არ გეწყინება, თავისავ წე-  
რაქვს ვაძებნინებო. კაცი იგი უარეს იქნა, თურმე  
ყოველი კაცი სიდიდეს და ჰატივს ვერ შეიფერებსო,  
ისევ სიგლახაკე უჯობს. აღარც იმას დაუჯერდი ვი-  
ნებე შეიგის მოკვლა და ჩემი გამეფება. შეიტყო მე-  
ფემან, სხვა ყოველნი შემოფიცულნი ჩემნი დახოცა,  
მე გარდმოგებვეწი, ჩემის წერაქვის დაჯერებას ვე-  
ცადე, შიშით ვედარც მუნ დავდექ, აქ მოველ, აწ თუ  
უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეშვიდემ: მე ვიყავ დიდ-ფაქარი სპარსი,  
ესეთი ცოლი მევა, ცისკარს მისი სიბრწყინკალე არა  
ჰქონდა: თმანი საგდებელს უგვანდა, ტანი ლერწამს.  
ესრეთ სახლსა შინა მიჯდა მისს საკადრისსა, მისი  
ქება თურმე ესმა ეღესის მეფის ძესა, მოიკაცმა და  
ვაჭრად მოვიდა ჩემთან. მითხრა შენი ძმა ფიცი ვი-  
ყოვო, სავაჭროსა ჩემსა სარგებელი მანვენე, კარგად  
ტამიყიდე და ეგრე მადრიელი გამისტუმრე. მე მარ-  
თალი მეგონა, დიდათ ჰატივით ვინახავდი, ახლო  
სახლში დავაყენე, მოძებნა ბევრი გრძნეული, დაწყეო-  
გზავნა სახლსა ჩემსა. დიაცის გული ღბილია, მოა-  
მლოგრან, მეფობა ირჩია, ვაჭრობის ჰირი აიღო. მი-  
სის სადგომიდან ჩემის სადგომის ძირი გამოხვრი-  
ტა, გამოართვა საყური, მომიტანა მე, მითხრა, ახლა  
ვიყიდე და ვით ღირსო. მე მაშინვე ვიცან და ჯერეთ  
არ ვიჩემე, უთხარ, კარგად გიყიდა მეტქი. შინ წა-  
გული საყურის სასახაკად, ვიდრემდის გზას მოვივლი-  
დი მან საყური ხურკელითკე მისცა, მიველ, ვთხოვე,  
მომიტანა და გამიგვირდა. უთხარ ქალსა მან საყუ-

რის ნახვამ, მას თურმე გულში ეშმაკის ბადე ედვამ, ეგრე მითხრა, სამკაული სამკაულს ემსგავსება დიკაცი კაცსაო. მეორეს დღეს უელსაბამი მომიტანა, იგიც ვიცან ეგრევე მოველ და შინ ვნახე. დიანტამ იგივე სიტყვა მითხრა და მე მეგონასხვის ყიღვა და მსგავსება სხვასა და სხვასა. ეგრევე ჩვენს თურმე მიჩვენებდა, და ვერა ვსცანი. დღესა ერთსა მითხრა, ქალი ვიყიდე და მინდა ცოლად ვიყოლიოყო, მოდი, ნახე, თუმცა მოგეწონება, მინდა შევიროოო. მიველ, ვნახე, თავზარი დამეტა; გულსა ვოქი სხვისა მსგავსები მიჩვენა მეოქი და არამც ესეც გვანდეს მეოქი, თუ ვოქვა, შინ დამხვდება მეოქი და შემცნება. მოუწონე და შინ წაველ. სანამდი მივიდოდი, იგი ქალი ხერელს გამოძვრა, თურმე ხერელის პირს საგებელი ეწეო, რა ვიცოდი. მე ეს სწორე მეგონა, მე სწორე გზას დავდიოდი, შეველ, შინ დამხვდა, გამიკვირდა და უთხარ მსგავსება მისი, მიწეინა და აგრე მითხრა, ჩემი მსგავსი ცისკარი არ არისო. გამოველ და დამეთხოვა კაცი იგი, და მითხრა, მყარი შენვე იყო და წამამეო. ავეკანმე, შინ სახლს სხარჯო დაუგდე, ქალი გამოიყვანა, მყარად გამატანა. წავედით, სანამდისინ არ მოგბრუნდი, შინ არ მოველ, ვერ შევიტყე. მოველ, რაღა მეშველებოდა, იქ რაღას პირით დავმდგარ ვიყავ, მოველ აქა, აწ თუ უნადვლო ვიყო, შეს გასინჯე.

ოქვა მერვემ: მე ვიყავ ძე მეფისა ვლახისა, როგორც ყოველთა მეფეთა წესისა ეგრეთ მხრდიდენ. ითხოვა მამამან ჩემმან ჩემთვის ცოლად ქალი დი-

დებულის ეატისა და თხოვასავე მოკვდა. მეორე ითხოვა და რა ნიშანი დადევს, იგიც მოკვდა. მესამე ითხოვა ასული მეფეთა, რა მანვივა ჩვეულებასა ჩემსა, იგიცა მოკვდა. მეოთხე ითხოვა ასული მეფისა, მოიყვანა, შეენებით კროხოსსა ჭვანდა და ღწენი მისნი გათლილს იაგუნდს სჯობდა, თვალნი შვანდენს უგვანდა; ქორწილი რომ მიყვეს, იგიც მოკვდა. მეხუთე მისი უმჯობესი მითხოვა, დაოჩსულდა, ყრმა შვა, იგი და ყრმა ორივე დაიხრცნენ. მამამან ჩემმან კგრე მითხრა: რა ვჭყო, შვილო, სამეფოდ მინდოდი, მაგრამ ბედი უკუღმა დაგბრქვია, დაცარვა ვერვის ძალ-უცს, სვესა შენსა ვერვინ განმარტებს, წარვედ ჩემგან. წამოველ აქა, აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეცხრემ: მევიყავდი დებულებადანით, ცხრა ძე შევანდა და დიდებისა ჩემისა რიცხვი არა იყო. და ერთი ციხე შედგა, მტერთაგან შემოუღლი, ღვთის გარდა არას კაცს არ ვეპობოდი, ვისგან მეგონებოდა შეძვრა. ჩემნი რფანი ძენი ჩემნი მოჩხილნი იყვნენ და ერთი დიან უჩხი და ავი. სნეულება შემომიდგა, ცოლი, ასულნი და რფანი ძენი მოჩხილნი და მიხრცნა და იგი უჩხი და წეუელი ძე დამჩხა. შვილი იყო, არ მოიკლოდა ჩემგან. საღარო ჩემი მისცა სხვათა მომეხმარენითო და გამომაძო. მუნ ვედარ დაუდეგ, წამოველ აქა, აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე.

თქვა მეათემ ავ-პირად: თუ მეფე ხარ, რასათვის დაგიტყვებია მეფობა და ცუდად რბი, თუმცა სირ-



ცხვილი იცი, რად არა იმყოფინებ ესოდენს აუტიანს სიტუვასა. რა სამეფო სასმენელნი არიან, წარვედ, მე არას გეტყვი ამბავსა ჩემსა, ვირემ ცოცხალფარ, და ვერცა რა ვინ მათქმეინოს. გიჯობს, სამეფო შენი ვანაგო.

ერთმა უთხრა, მეფობას იხეშებ და რად გაგიტყევიან სამეფო? მეფემ უთხრა, უნაღვლოს კაცს ვეძებდიო. მეორემ უთხრა, თუმცა მეფე ხარ, რად ასე უმეტარ ხარ? უნაღვლო კაცი დედისაგან არ იშობებინს. მეფემ მიუგო, ვეზირმა ჩემმა ბევრი მითხრა და არ უსმინე. მესამემ უთხრა, თუმცა ემანი ჭკუათ მოფინი გუვანან, იგინი ამეფე და შენ მას დაემონე. მეოთხემ უთხრა, მით გიფლია კეთილს და სამეფოს საქმეზედ, რომ ვეზირს არ უსმენდი. მეხუთემ უთხრა, რადგან აგრე უბადოსა საქმესა მავალ-იყავ, მამან შენმან რად შიკრიკად არ დაგადგინა. მეექვსემ უთხრა, გლახაკი თუმცა იყო, სფლასა და ტარებას იკადრებ. მეშვიდემ უთხრა, თუმცა მეფე იყოს, კაციმც გაეგზავნა პოვნად და თვითმცა დამყარებულ ყოფილიყო. მეჩვიემ თქვა, რას აბრალებთ, ანუ რას შეაწუხებთ, უსაქმოდ ყოფილას და წამოსულას. არაკად თქმულას: ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა უმჯობესიაო. მეცხრემ თქვა, ამისთანა მასპინძელიმც თქვენ დაგინფლებათ, როგორც თქვენ ამას დაუხვდით, მეფე გეწვიათ, თქვენ განკიცხეთ. მეათემ თქვა, თრევსაც ვეპართლებოდით და გიცხვსაც აჯერებთო. წამოვიდა მეფე მუნით და მოვიდა სამეფოსა თვისსა, ვეზირისა თვისსა დიდი პატივი მიმადლა და ყოველივე

ყოფილი უთხრა. მოახსენა ლეონ მეიუკსა: მეიუკო, უნაღვლო არა ვინ არის, შენ რამდენჯერ ნაღველი მოგეკრთოს, კაცი არ გაიკითხო, ვით იქნების, ანუ მერმე რაღას იტყვი. მეფეთაგან სამი უყვარს ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელება. მეფეთაგან სამს დაიმაღლებს უფალი: სამართალსა, უქრთამობასა, მოწყალებსა ყოველთასა. მეფეთაგან სამსა ინატრის ქვეყნისა: ზავთასა მართებულსა, სიმართლესა უზავველსა და სიუხვესა. მეფეთაგან სამს აქებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა, ჭირში ჭირსა და ლხინში ლხინსა. მეფეთაგან სამს მდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურჭლესა მაგარსა და დანახვასა სამსახურისასა. მეფეთაგან სამს იღვწიან გლახკნი: კარსა ღიასა, თხოვის ბოძებსა და სიხარულით წარვლენასა: მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავხეს ტაბლასა, ჯამაგირთაგან მოუკლებლობასა და მალე შეუბესლებლობასა. მეფეთაგან სამს იმდომებენ ვეზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის გაგონებას. მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივარის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა. მეფეთაგან სამს ნატრობენ ვაჭარნი: ვალთ და ლართ ცნობასა, დირებულის მიცემასა და უფასურად უვაჭრელობასა, მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობართაგან მოჩინასა, ვეზირის წესად აღებასა, ფუნდრუკთ უმულართა დგომასა. მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზდრის წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისას. მეფეთაგან სამს

ითხრევენ ჰატიმარნი: შეტოდების შენდობასა, რისხვის წყალობად შეტვლასა და ხილვისა პირისა მისისასა. ესე არის წესი შეუეთა, ესე არის საბოძვარი თემთა, ესე არის გოდოლი სპათა, ესე არის ზღუდე ქალაქთა, რომელმან ჰყოს იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს. ჭრქვა რუქამ საჭურისმა ლეონს: თუმცა ეგოდენი კეთილი იცოდა და სამეიუნნი ქტევანი, გვემასა და შიმშილსა ეგ უმჯობესი არ იყო, რომ ჯუშბერისათვის გესწავლებინა.

თქვა ლეონ არაკი: ერთი ქოსა იყო ერთს სოფელსა შინა დიდად გლახაკი და ერთი უსხი ჰყვა მსუქანი. უთხრა ცოლსა, უსხსა ამას გავჰყიდი, ეგების შენთვის და ჩემთვის სამოსელი ვიყიდო. წაიყვანა უსხი ქალაქად, სხვა ქოსა შემოეყარა, ევაჭრა და სამი მარჩილი აძლივა. ამან ოთხად დაუფასა, ვერ შერიგდნენ. წავიდა იგი მოქალაქე ქოსა, ბაზრები დაირობინა, ყველა ყასაბს უთხრა, ერთს ქოსას უსხი ჭამებულადი მოჰყავს გასასყიდად და ყველამ უთხარით თხა არისთქო, იათუფასად ვიყიდიო. მივიდა, ყადიც განდო და ტყავი ყადს უქადა. რა ეს ძროხის ჰატრონი ქოსა მიმავალი ნახეს, ყოველმა ყასაბმა ნახევარ მარჩილი აძლივის, ეგ თხა მომყიდეო. იწყინა ქოსამ და უთხრა, აქლემის ოდენს უსხს თხის ფასად ვაჭრობთო. მათ თქვეს თხა არისო, შეტილებასე წავიდნენ ყადთან კითხვად, ყადმაც უბრძანა თხა არისო. მასცა საქალმნე რგებოდა და ქოსას ვინდა აღაპარაკებდა, ნახევარი მარჩილი მისცეს და ქოსას უსხი წაართვეს, დაკლეს. გულმტკივნეულმა ქოსამ თქო, არაკად თქ-

მუღია: თხის ჰატრონს აღარც თხის კუდიო! მაგისი კუდი მაშინც მომეცითო, კუდი გამოართვა და წავიდა. გამოხდა ჰატარა ხანი, ყადს ცოლი მოუკვდა. ეს-მა ქოსას, გამოართვა ცოლს ლეჩაქი და ტანთსაცმელი, დედებრივ მოეკაშმა და ძროხის კუდი შიგან შემოიკრა, და მივიდა ყადის კარზე. გამოვიდა ყადი, დიაცი ნახა, მოჩივარი ეგონა. მან ეგრე მოახსენა, მე არა ვარ მოჩივარი, ქვრივი ვარ, უჰატრონო და-ვრჩი და ვინც შემინახავს ვემსახურები. ყადს დიდად იამა, დედაკაცი აღარა ჰყვა, შეიყვანა მონათ უთხრა ამაღამ წადით თავთავისად მოისვენეთო, მისი სმისა-ხური მოინდომა. დიაცმან რა თავი დაიხელთა, ძრო-ხის კუდი მოისხნა, უთხრა, ყადო, ეს რის კუდი არი-სო. ყადმა უთხრა, ძროხისა არისო. ქოსამ უთხრა, მაშ თხად რად გამასუიდვინეო, დასცა ქვე ყადი, ეგო-დენი სცა კუდიოთა, მკვდარს დაამსგავსა. მსახურნი შორს იყვნენ და მეშველნი დაუძვირდა ყადს, ქოსამ კარი გამოიარა და წავიდა. მსახურთ იღროვეს, ყადი არ გამოვიდა, შევიდნენ, ნახეს, ყადი გასივებული იდგა, იგი დიაცი აღარ ახლდა. ყადი ძლივ სულობას მოაბრუნეს, ყოველი ყოფილი შეიტყვეს. რა მო-კეთდა აბანოში შესულა მოინდომა და ზეთით სა-მკურნალოდ ნაცემთა დაჩულა. შეიტყეო ქოსამ, მე-ბანოვესთან მივიდა და უთხრა, დია ხელმარჯვე და-ლაქი ვარ და აქ მამსახურეთო. იამა მეაბანოეს და ეგრე უთხრა, თურმე ბედნიერი ხარ, დეჟეს ყადიც აქ მობძანდებო. არდაგს შიგნით ძროხის კუდი შემო-იტყა, მუნ დადგა, ყადი მივიდა და კარგად სამხა-

ხური დაუწყო, იამა ეადსა და დასელა უბრძანა. და-  
 ლაქმა მსახურთა გრე უთხრა, რა სელას დაუწეებ, ტან  
 მოტვივარია, კვნესას და წახილს იწყებს და სურა-  
 ვინ შემოხვალთ, თუ უნებს რამე გამოვალ და გე-  
 ტყვიო. მონანი გაიტყუვა, დალაქმა კუდი გამოიძრო,  
 ეადს ჭკითხა რისა არისო. ეხვეწებოდა ეადი და ეფი-  
 ცებოდა მრავლის მიცემას. მაგრამ ქოსა არ მოეშვა,  
 ამდენი სცა, სიკვდილსე მიიფანა. გამოავიდა ქოსა,  
 მონათ უთხრა, სძინავს, სუ შეხვალთ, ძილი არ გაუ-  
 კროთო: მე კიდევ წამლის მოსატანად მივალო, ჩაი-  
 ცვა ტანსა და წავიდა ქოსა. რა მონანი შევიდეს, ნა-  
 ხეს ეადი ავათ დანაყილი იღვა და გასიგებულე დასე-  
 ლის ნაცვლად. აიღეს, ხირაულით შინ წაიღეს და მუნ  
 დაწვინეს. რა სულაბას მოვიდა, თქვა, მე ამ ქოსას  
 აქ ვერ დაუღებე, ფათერაკს კიდევ გამაბამსო, აქ-  
 ლემები მოიმზადეო, ქაბას წავალო. რა აქლემების  
 თხოვნა დაიწყეს, ქოსამ მკაქლემეს ფასი მისცა სამი  
 დღისა, აქლემები ეადს გარსე ჩაუტარა. იკითხეს აქ-  
 ლემები და მან უთხრა, ყინც იმზადებს კაცს ვეძებო.  
 იამათ, ეადს მოახსენეს. ეს იქირავეს, კუბი აჭკიდეს,  
 ეადი ჩავდა და წავიდა, რაც ქოსება ჭქონდა, იგიც  
 თან წაიღო. მკაქლემე გზაგზა კარგს ზღაპრებს ეუბნე-  
 ბოდა და ეადს იამებოდა, მონათ უბრძანა ეადმან წინ  
 წადით სოფლად, სადგომი, ქერი, მსე და სუზლი  
 მოამზადეთ და მე და მკაქლემე ნელად წამოვალთო.  
 რა იგინი გაშორდენ, ქოსა ზღაპრად მას მოჭეკვა,  
 რაც მას და ეადს გარდახდომოდათ. ეადმა უთხრა, ეგ  
 ბევრჯერ მასმია, სხვა მიაშბეო. ქოსამ თქვა, მე ეს

მწვავს გულისაო, ამას ვიტყვიო, სხვა რას ჰქვიანო.  
ყადი გარდმოუძახა აქლემიდან, ამდენი სტა ძროხის  
კუდით, სული ამოხდა, გამოობრუნდა, აქლემები და  
ქონება თან წაიღო და წაჰვიდა. ვიცი შეუყო, ეგ შენი  
რუქა იმის მსგავსს მიზირებს და ბარემ აწვე მომარ-  
ხინე და გარდამახვეწეო.

ბრძანა მეუკემ არაჲი: მეივე ვინმე იყო დიდებუ-  
ლი, ოცდა ათი ვაჟი ჰქვანდა. რა მოიწია დრო სიკვ-  
დილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა  
ოცდა ათი ისარი, შეკრა მაგრად და მოიზიდა, რათა  
გატესოს და ვერ გატეხა, მერმე თითო თითოდ მოი-  
ზიდა და ყოველივე დაღწა. უთხრა შეილთა თვისთა:  
თუმცა ერთად ხართ და ერთაპირზე სდგხართ, მტე-  
რი ეგრე ვერ გაგსტეხთ, ვითა წელან მე შეკრული  
ისარი ვერ გაგსტეხე; თუ გაიყარენით ესრეთ თვითო  
თვითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თვითცა მოგსთხა-  
როსთ და მოყვარცა. აწე თქვენი საქმე მას გავს.  
თქვენი სიტყვა თუმცა ერთი იყოს, დაემყაროს მე-  
ფობა ჩემი, რადგან მტერნი ხართ, ჩემს საქმეს წაუ-  
ხდენელს არ გაუშვებთ. ვეზირთ წესია, რამდენიც  
იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ, ერთის ჭკუა და ქცევა  
სწორეთ არ წავა, უამხანაგოთ არ იქმნების, რაგინდ  
ბრძენი იყოს. ერთიც არი, საქმე არ დაცდინოს, არ  
ეგების და ერთის საქმის დაცდენით ბევრი წახდება.  
ამისთვის ორისა და სამისა რჩევა ჰსჯობს. ვეზირნი  
ერთმანერთის მოყვარულნი ხამს, ვეზირობა სიჭი-  
შპით და კაცის მტეობით არ ვარგა. თუ ვეზირი  
ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს,

თავისი აუგიც ჰპატიოს, გული გაიერთონ, დაემტკიცოს მეფობა ჰატრონისა მათისა. ვეზირი ხვამიადის შემნახავი ხამს, თუმცა ერთმანერთში შუღლი მოჰხდა, ხვამიადი გამუღავნდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიტყმა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ, მან თქვა, არა მას უთქვამსო. ვეზირი ჰატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს, რა მეფე ერთს წყალობას უსამს, მეორე მისი ქიშპი გარკგულდების. ვეზირი ღვთის მავედრებელი და ჭკუის და სიბრძნის მხსრეკელი ხამს და, რა კაცმა თავისი მტერი დანახოს, გული აუღუღექს და ჭკუა და მცნება დაფანტოს. ვეზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან, მტერნი ხომ არას ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ და თუ შეამოწმებენ, კიდევ დამოუფრდებიან. ვეზირთა მეფისა და ქვეყანისა დაუენებაც შეუძლიანთ და წახდენაცა.

ლეონ მოახსენა, მართალს მიბრძანებს მეფობა თქვენი, მაგრამ მე შავ უულმან დამანანა თქვენი ხლეობა. თქვა არაკი: ერთი მგელი მოუხდა ვირს, შეჭმას ლამოდა, ვირმა უთხრა, ვიცი შემჭამ და ეს არდერძი აღმისრულე, ქახანში ლუსმნის ნახევი დამჩხა და იგი აღმოიღეო. მგელმა პირი მიჭყო, უნდა აღმოეღო, ვირმა წიხლი ჰკრა, კბილები ჩამტვრია, ვირი ველარ შეჭამა მგელმან, თქვა: მამა ჩემი ხარახი იყო, მე ნაღბანდობას რა მრჯიდაო.

თქვა რუქამ არაკი: თავრიზის ქვეყანას იყო ერთი ქურდი, რომ სხვა ველარა დაეხელებინა რა, მკვ-

დაწს მოსთხრიდის, სუდაწს გახდიდის, შეღებაფდის და განჭყიდდის. შეწუხდა თემი იგი კაცისა მისისა-გან, ნატრობდენ სიკვდილსა მისსა. მოკვდა კაცი იგი და დაწხა შვილი ვაჟი ერთი, ასეთი ქურდობა დაწყო, რომ არ ეგებოდა, მკვდარნი მოთხარის, სუდაწი გახადის და მკვდარი ანძაზე ჩამოაცვის. მის ქვეყანის კაცთა მამას მისსა ლოცვა დაუწყეს, იგი სუდაწს გახდიდის, მკვდარს ანძაზე მანტ არააკებდაო. თავმან შეივისამან, მას კაცსავით შენ მამაშენს დაალოცვინებ და კიდეტა გჳობნებია.

თქვა ლეონ არაკი: კლარკეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანხელი და მტერი სოფლისა მის, შეაწუხა იგი სოფელი და სრულად ააოხრა: მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვეცხლი წაართმევინის. მოვიდა დღე გზირისა სიკვდილისა, მოიხმო სოფლის კაცნი და ეკრე უთხრა: მე თქვენთვის ბევრი შემიტოდებია, რადგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გათიტებ დმერთსა, რომ მოვჭკვდე. თოკი ყელზე მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ. რა მოკვდა, კაცნი იგი სცდნენ და რაც უთხრა ყველა უყვეს. ნახა ვინმე თათარმა გზირი ხეზე კიდებული, წავიდა, ყადს უთხრა, ჩვენი გზირი დაურჩვიათო; გამოუსივეს კაცი სოფელსა მას და ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა, ცოცხალმა მოგუთხარაო და კვდარმან აღგუოხრაო. მას კაცსავით შენ წახდენას მიპირობ ცოცხალი და მკვდარი კიდევ უარეს მიზამ, ვიცი ვერ გარდაგრჩები. რუქამ უთხრა ლეონს: მე შენს სიკვდილს და გა-



გდებს ან ფდევ, მე შეუისა ჩემისა უმჯობესისა ჰო-  
ვნა მინდა და შენ თუ ამასთან იყოფი, დიდი დასა-  
კლისია. თქვა არაკი: ზღვასა შინა რა სადაფი ვალს,  
პირაშემუღი არის, ოდეს კირჩხიბს ნახავს, პირს შეი-  
კრავს, კირჩხიბი ახლოს მივა, პირთან ფეხს მია-  
დგამს, რა პირს ცოტასაცაა გააღებს, ფეხს შეუ-  
ყოფს, ნელა ნელა შევა შიგა, რაც სიტოცსლე ძევს,  
შესჯამს. შენ ისრე გნებავს, ჯერეთ სადაფის პირი  
ღია არ გინახავს და ვერც გიპოვნია, მით ეგრე სი-  
ტყუას რბილობ.

თქვა ლეონ არაკი: ბაღდადის ქალაქსა წესი იყო,  
რა მეხილესთან კაცი მივიდის და ორი ფული მისცის,  
რაც ენების, ეგოდენი ხურმა შეჯამის. ერთი გარეთ  
მყოფი მწყემსი მივიდა, განწესებული მისცა, და და-  
ჯდა, და ნახევარ მარჩილის ხურმა შეჯამა. მეხილემ  
უთხრა, ძმაო, ბევრს ნუ ჰსჯამო, გულს დაგწავსო;  
მწყემსმა უთხრა, შენ ნუ იურფი, ვისაც გული დაე-  
წვის, მე ვიციო. აწ ჩემი აქ ყოფნა ვისიც ან ზიანის,  
ან სარგებელი, ან საწყენი და ან სასიამოვნო, მე კარ-  
გად ვიცი.

უბრძანა მეფემ ლეონს, ვიცი სიტყვა გრძელი და  
ლაჰარაკი ტკბილი ხარ და შეექცევით სიამესა, ესო-  
დენი ხანია, ძე ჩემი, არ ვიცი, ვითარის სწავლის ჰა-  
ტრონი არის, მიჩვენეო. მოახსენა ლეონ, მეფეო,  
კაცი უბოძე მოიყვანე და მისგან კითხვით ჰსცანიო.  
გაგზავნა ხელარგნოსანი, აწვია ძე თვისი ჯუმბურ  
და არ მოვიდა მით. გაგზავნა დარბაზთ-უხუცესი და  
არც მით მოვიდა. გაგზავნა ვეზირი და არც მით მო-

ვიდა. მეჩუე მოღარე გაცხავნა, დავდა სვილასა ზედა და მოვიდა, ჩამოხდა სვილოდამ, შემოიხსნა სარტყელი სვილასა ზედან, დადვა, და ცალის ხელით მიწა აიღო, და ცალის ხელით ქვა, და მამას მოართვა, თაყვანი-ჭსტა და ხელს აკოცა. უბრძანა მეფემან შვილსა, სიცოცხლეო გულისა ჩემისაო და ნათელო თვაღთა ჩემთაო, ხელარგნოსანი გამოგიცხავნე, რათა არ მოხველ? ჭუმბერ მოახსენა, შეცოდება არა მქონდა. ჭრქვა მეიქემ, დარბაზთა-უხუცესი გამოგიცხავნე და არ მოხველი. ჭუმბერ მოახსენა, არა მონათაგანი ვიყავ, ჩემზე ხელი არაუტს. ჭრქვა მეიქემან, მესტუმრეთ-უხუცესს რათა არ მოჭყევე? ჩემი უდიდესი თავადი არის. ჭუმბერ თქვა, მასწინძელი ვინღა იყოს, თუმცა მე მესტუმრეთ-უხუცესს შევდგომოდი. ჭრქვა მეიქემან, ჩემს ვეზირს რად არ მოჭყევე? ჭუმბერ მოახსენა, ნუ თუ მეფობასა ვცდილობდე, ღმერთმან ნუ ჭყოს, ვეზირი მეფესთან ხამს. ჭრქვა მეიქემან, მოღარეს რად მოჭყევე, უგვანს მოხელესა და ცუდს ჭაბუკსა? ჭუმბერ მოახსენა სხვათა თანა ეკე უგვანია და არც მიიფლინება, თვარა ჩემთანა მოღარის მოცხავნა ხამს, მე ვარ შენი საუნჯე, განძი და სიმდიდრე. მოეწონა მეიქესა სიტყვა. ჭკითხა ვეზირმა ჭუმბერს, რად შესჯედ სვილასა ზედა და მოხველ მით? ჭუმბერ უთხრა, დიდებისათვის, რომე მეფეთა გვარი და დიდი კაცი დიდსა რასამე ზედა უნდა ჯდეს. უთხრა ვეზირმან, სარტყელი რათა შემოიხსენ და სვილასა ზედა მიაგდე? ჭუმბერ თქვა, მეფე ანუ დიდი ვინმე საჯდომით თვისით სიჩქარით ადდგეს, ესრეთ ხამს,

თვისი ძლიერება თვისსავე საჯდომს დაუტეოს და თვითან თავი იცნას, რომე იგი საჯდომი არს დიდი. ჭუბუტი, თვარემ უმისოდ ყოველივე გარე შემო-  
ეტრცეება. არაკად თქმულა: ლოდი მამის მძიმეა, რა  
ადგილს ძევს, და რა ადგილით დაიძრას, გასუბუქდე-  
სო. უთხრა მამამან, ქვა და მიწა რათ მოიძღვენო.  
მოახსენა ძემან, მიწა ეს არის, რა გინდ დიდებული  
და მძლავრი მეფე იყოს, ჭსტან, ეს მიწა ხარ და ესრე  
შეიქნები, ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა,  
და ქვა ეს არის, რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ,  
ქვა და ოქრო სწორე არის კაცისათვის.

თქვა არაკი: ერთმა კაცმა დიდძალი ოქრო მი-  
წას დაფლა, დღე ყოველ მივიდის, ადგილი იგი ნა-  
ხის. შეამცნია ერთმა სხვა კაცმა და თქვა, მივიდე ად-  
გილი იგი მოვითხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად  
ნახავს, და ვნახო, რა უსო. მივიდა დამე, მოთხარა  
ოქრო იგი, წაიღო, მის წილ ლოდი დამარხა. მოუნ-  
და კაცსა მან ნახვა ოქროსი, ნახა, ნაცვლად ოქროსა  
ლოდი იდვა, დაიწყო ტირილი და ვაება, მივიდა კა-  
ცი იგი მომზარავი, ჭკითხა, რას სტირიო. მან უთ-  
ხრა, ოქრო დაკუთალი, დახარჯვა არ მენება, იგი მოუ-  
ზარავთ და ლოდი დაუფლავსთო. უთხრა მან კაცმან,  
ვაი შენ რად სტირი, მანდ მიწაში გინდა ოქრო იდ-  
ვას გინდა ქვაო, თუმცა არ დახარჯავდიო. მეფეო,  
სალაროც კერეა, რაც უნდა იდვას, თუმცა არ იხმა-  
რებ გეთილად, ან არ დახარჯაო.

მამამან უბრძანა, მამა შენ რომ იტყვი, სრულე-  
ბით არ ფარვა ქონების შენახვა. თქვა არაკი: იყო

დიდ ვაჭარი ერთი და ჭევა შვილი ერთი. რა კვდებო-  
და, შვილს მართებული ასწავლა, და სამასი ლიტრა  
ტყვია ერთს მიანას მიანასა, და ამცნო შენახვა და  
შვილისა არა თქმა, ვირემ არ დასჭირდესო, და მო-  
კვდა კაცი იგი. და შვილი მისი მეშთფრადე იყო და  
ღვინის მსმელთა თანა ილხენდა, ყოველი მამის მო-  
ნაგები სრულებით გარდაგო, რომე ცოლის სამკაუ-  
ლიც განჭყიდა: დარჩა გლახაკი, რა მასთან მსახურთ  
ნახეს, აღარა ჭქონდა რა, მისი სიყვარული გაცვითეს.  
მოაგონდა ტყვია და ჭკითხა მას მონასა, რა უყავ,  
მამა ჩემმა სამასი ლიტრა ტყვია მოგახარა, იგი მო-  
მიტანეო. წავიდა და ტირილით მოვიდა, ეგრე თქვა,  
მიწაში დაკვალ და თავს შეუჭამიაო. მან ყრმამან  
არ დაუჯერა და მათ ღვინის მსმელთ უმოწმეს, მარ-  
თალი იქნებაო. დია დაგლახაკდა, და მოუნდა მას თა-  
ვისი ამხანაგებთან. სმა, და არა რა აქვნდა მისრულ  
იყო და მიეტანა. წავიდა ცოლს ლეჩაქი მოჭხადა გაჭ-  
ყიდა, ერთი ჰური და ცოტა ყველი იყიდა, წაიღო და  
წავიდა. მისნი ამხანაგნი წალგოტში სმიდენ. რა კარ-  
თან მივიდა, ჰური და ყველი დადვა, რომ კარი გაა-  
ღოს, მოვიდა ერთი ძაღლი, ჰური და ყველი შეჭამა.  
შევიდა ყრმა იგი ამხანაგებთან, მათ მისი დიდი ხარჭი  
და მასწინძლობა დავიწყებოდათ, აღარც მაგიერი  
უვეეს, დატუქსეს, უძღვნოდ რად შემოხველო. შერ-  
ცხვა და ეგრე უთხრა, ჰური და ყველი მომქონდა,  
ძაღლმა შემიჭამაო. მონა იგი მისი მათ თან სმიდა,  
გაიციან და აგრე უთხრა, ტყუის, ძაღლი როგორ  
შესჭამდაო. აუტირა ყრმასა მას და ეგრე უთხრა,

ღმერთიმც გრისხავს, აუ სამასი ლიტრა ტყუია ერთ-  
მა თაგვმა შეჭამა, ერთს ჰურსა და ცოტას ყველსა  
დიდი ქოფაქი როგორ არ მოერეოდა, რომ შეეჭა-  
მაო, და სამტირალევი გამოვიდა. ადგა იგი მონა,  
მოეწია უკან, და უთხრა ერმასა მას, ვერა სტან ჭკუა  
შენიო, ეკოდენი ქონება გარდააკე, ვინ არის მა-  
დრიელი. ახლა ჩემი ისმინე და ნულარ შემთვრალობ,  
თავი იტანს, მე იგი ტყუია ისევა მაქვს, ეს დღე ვი-  
ცოდო და თუ უწინ მაძეცა, მასტა დაკარგედი, აჭა  
ახლა შენი ქონება ღმერთმან მოგახმაროს. მერმე  
კარგად იხმარა, ისევე დიდებული ვაჭარი შეიქნა, რა  
აღებ-მიტემა დაიწყო. საქონელი ბევრი სჯობს თუ  
კაცი კარგად იხმარებს, თვარა გლახაკი ავ მდიდარს  
სჯობს. ძველად თქმულია, ერთმა გლახამ თქო: მე  
მეფეთ ვსჯობვარო, ამაღ რომე, რაც მაქვს მეყო-  
ფის და კიდევ ვჯერვარო, და მათ ხმელეთი იშო-  
ფონ, არ იმყოფინებენ და არც გაძლებიანო.

ჭკითხა მეფემან, რადგან სიბრძნის სწავლას ჭსჩე-  
მობ, რა უფროსად სასიამოა კაცისა, და რა საწყენი  
და სამძიმებელი? მოახსენა ჯუმბერ არაკი: ერთი მე-  
ფე იყო დიდებული და სამი ძე ესვა. თქვა მეფემ,  
გამოვცადო შვილნი ჩემნიო, რომელს აქვს სამეფო  
ჭკუა, ჭკითხა სამთავე, რა უფრო კეკლეუცია, რა უფ-  
რო მსუქანია და რა უფრო მაღიაო. უხუცესმა ძემ  
მოახსენა, ცოლი ჩემი კეკლეუცი არს, და ცხენი ჩემი  
მსუქანი, და ქორი ჩემი მაღი. მათ მათი მჯობი იპო-  
ვეს. მამამან უთხრა, მეფობამან ვერ გიხილოს შე-  
ნაო. საშვალმა თქვა იფრობა მამისა და მდახსენა,

დედოფლის უღამაზესი, და მეფის ცხენის უმსუქნესი, და მეფის შავარდნის უმაღესი არა იქნების რაო. მასცა უბრძანა მეიუემან, სამეფო წილი არა გზედესო. ჭკითხა უმცროსსა და თქვა, გაზაფხულის უკეკლუტესი, და შემოდგომისაგან უფრო მსუქანი, და თვალთაგან უფო მაღი არა იქნების რაო პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისსაო. მოეწონა მამასა და სამეფოდ იგი შეინახა. ვიცი გამომცდი, მე რომ კიდევ არ ვარგაიყო, ვინ გივის, შვილი სხვა ანუ ძმა იუოს მკვიდრი. ჭრქვა მეუემ, კეთილს იტყვი სიტყვასა და მაშინც ხამს ზოვნა მისიო. მოახსენა ჟუმბერ, ცოდვის უამესი ცოტას ხანს არა არის რა, და ბოლოს სამსალა არის და საწყენი, პირველ უხაროდეს, ბოლოს ინანდეს. მაღლისაგან და კარგი საქმისაგან უფრო შესამართავი არა არის რა, და რა ხელთ აიღოს, ადვილად ჭქმნას, პირველ ზარობდეს და ბოლოს უხაროდეს, დიდად სიაშე შეიქმნას. ავსა და ცუდსა საქმეს ბოლო მოკლე და საწყენი აქვს, და კარგსა სამადლოს დაუღევენელი საუკუნომდი.

თქვა არაკი: ორნი ძმანი იუვნენ, უხუცესს ცოლ-შვილი ჭყვანდა, მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ველარ დადგნენ, ყოველივე გაიყვეს, რაც ჭქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმოკალოს აქეთ იყო და მეორისა კალოს იქით: უხუცესი მოიპარევიდის თავის ორმოდამ პურსა, და ძმის ორმომი ჩაჭყრიდის, და იტყოდის, მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებულნი მუვანან, მას მძარ არა რა ჭყავს, ეს იმისი იუოს და მან ჭამოს. და

იგი უმტკუნესი ძმა მოიხატედი თაფის ორმოდაში და უსრუცესის ორმოში ჩაყარის, შე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მიკალ, ადვილ არს, იგი ძმა ჩემი წვრილ შვილი არს და მას უფროსი უნდება და მისი იუოს. ესრეთ დაჭყვეს ეოველნი დღენი, და ღმერთ-მან ორთავ გუჟმრავლა ეოველი, და არა მოაკლდა სარწოდო მათი, მადლისა და კეთილისა საქმე ღვთისაგან განმრავლდებისო. უბრძანა მეფემან, მალვით არ მოეპარათ და ორმოში არ ჩაეყარათ, ცხადად მიეცათ, ვინ დაუშლიდაო. გაეცინა ჯუმბერს და ეტრე მოახსენა, კაცის გული ვიწროა, და განაყოფი განაყოფის ქიშპი იქნება, და ცხადად სიკეთეს არ უზამს. მეტრე სამადლო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად შეუწირავს, კაცმა შენზე სამსახური ქნას, იკვეხდეს და სჯობდეს, გეწყინება.

თქვა ჯუმბერ არაკი: ორნი მეფენი შეიბნენ, ერთმან მეორეს სძლია, შეიპყრა და ორმოში ჩაატდო. გამოხდა დღენი, მივიდა ერთი მეცნიერი კაცი და ენება ამოყვანება და გაპარება მისი, ჩასძახა ორმოსა შინა და უთხრა: კარგათ არა ვიქ, რომ გაგაპარო. მან მეფემ მადლი უბრძანა, თოკი ამოხიდა და აღმოიყვანა. კიდევ უთხრა, კარგად არა ვჭქქენ, რომ აღმოგიყვანო. მეფემ კიდევ მადლი უბრძანა. მესამედ კიდევ უთხრა, კარგად ვჭქქენო. ეწყინა მეფესა და დაიძახა, ვინ ხართ ამ კაცმა გამაპარაო, მოვიდა მცველები, შეიპყრეს ორნივე, ჰკითხეს მეფესა, რად გაამყლავნე და არ გაიპარეო, და თქვა ვირემ ამომიყვანა, საყვედურით ამავესო, თუ შინ მიმეწივა, კიდევ

დამარხობდა, აქავ უოფენა ვირჩიე. აწ კარგი საქმე ასე უნდა ქნას, ან ღმერთმა დაუმაღლოს და ან კაცმა მოუწონოს. უბრძანა მეფემ, მომწონას ეგრე შენი სიკეთე, რა იცი მარტვილმა. მოახსენა ჯუმბურ, ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირან. პირველად კარგის ხილის სერგი ვარ, მეორედ ხელოვნის მეხადის შეწვრთილი, მესამე ფრთხილის შემნახავის ბარებული. უბრძანა მეფემ, ეკენი ვინ არიან?

შვილმა მოახსენა, სერგი თქვენი, რომელთა მშევით, მეხადე სედრაქ ვეზირი, რომელმან აღმოსარდა, და შემნახავი ლეონ, რომელი მასწავლის. წარმოდგა რუქა და უთხრა ჯუმბურს, ორი ეგე მართალი სთქვი, და ერთი იმტუენე. ჰკითხა ჯუმბურ, რომელი? უთხრა რუქამ, სერგი და მეხადე მართალი და კარგი, მბარებელი ავი და ტყუილი.

თქვა ჯუმბურ არაკი: ერთი აქლემი და ერთი ვირი დია დაღლეტილნი დაძმობილდენ, და თაკის პატრონს გაეპარენ, და წავიდნენ აგართა ადგილთა, დიდად გასუქდნენ მოასა ზედა, დაავიწყდათ სიმჭლე და სურგის სიმჰალე მათი. ვირმა უთხრა, ძმაო, სიმლეკა მინდა ვთქვაო. აქლემმა დაუშალა, სუ, ძმაო, აღარ გახსოვს, რა ჭირში ვიყავით, არამც ახლოს კაცნი იყვნენ, ხმა ესმას, წაგვიყვანონ და უარესი გვიყონ. არ დაიჯერა ვირმან და დაიფრთყინა, მეტად მაღალი სიმლეკა მოუვიდა, და თურმე ახლოს მოგზაურნი იყვნენ, აქლემები და კარაულები დასცვივნოდნენ. ესმათ მათ ხმა ესე, გაუხარდათ დიდად, და



თქვეს, მივიღეთ, ვნახოთ, ან შენობა იქნება, ანუ ქა-  
რავანი, ეტება ულავი უვაქირაონ. მივიდნენ, ნახეს;  
ერთი აქლემი და ერთი ვირი მსუქნები, უპატრონო-  
ნი იყვნენ, წაიყვანეს და ორთავ მძიმედ აჭკიდეს. რა  
გზა გაგძელდა, ვირი დამძიმდა და დადგა, კაცთა მათ  
ადილეს ვირი და მისი ტვირთი, ორივე მას აქლემს  
დაადგეს. წაიარეს, ერთი ვიწრო გზა დახვდათ, დიდი  
კლდე კარდასვარდნელი იყო, აქლემმა უთხრა ვირსა,  
ძმაო, მინდა დავროკდე და სამაია და ტეკო ვჭქნაო.  
ვირმა უთხრა, რა ადგილის სამაია არიო. აქლემმა  
უთხრა, ამისთანას სიმღერას, ამისთანას ადგილს ტე-  
კო უნდაო, ჯაკრით აემართა აქლემი, ვირი კლდეს  
კარდაგდო და დაჩქა. მის მსგავსად მაგ შენს სი-  
ტყვას ამისთანა ჰასუხი უნდა, თვარემ ყველამ იტის  
ჩემი ცოდნა, სულ ლეონის ნასწავლები მაქვსო. თქვა  
რუქამ: ვაიმე, ლეონ მარტო იყო და რას ლამოდა,  
აწ მეუგის ძეც მიუყვანებია და მისი ნებად გაუხრდია,  
რალა მექნებო.

თქვა არაკი რუქამ: ერთი მეფე იყო, ფიტყვდა,  
მე სიკვდილი ეტრე ვერ მომკლავს, მეც ისარ მო-  
ვჭკლავო. მოვიდა, აბჯარი და ხრმალი და რალა მზა  
უდგა სიკვდილსა, რა დღე მოუვიდა, დასწეულდა, სა-  
ჭურველი ახლოს დანიყო. რა შეწუხდა, ხელხმალს  
მიჭყო, ველარ ამოიღო, ავინა სიკვდილსა და უთხრა,  
ეგ რა მამაცობა არიო, კაცს პირველ ღონეს წაარ-  
თმევ და მერმე მოჭკლავო, თუ გულოვანი ხარ პირისა  
პირ შემებო. მის მსგავსად თვით ის იყო, და აწ პა-  
ტრონისა ჩემისა შვილი წაუგვრია, და რითღა ვეუბნაო.

თქვა ჯეშბერ აჩაკი: სულთან საღიმ ჰქითხა თავის ვეზირსა, ვინცა ვინ კაცნი ღვინოს სმენ, რად სმენ, რომ ყოველი ავი ღვინოს შეუძლიან და სიმთვრალეს მოაქვს. ვეზირმა მოახსენა, ღვინოს ავისაგან კარგი უმრავლესი შეუძლიან, ღვინო ბრძმას თვალს აუხილებს, საზუარის ავლენს და გლახაკს განამდიდრებს. მოასხმევენა სამნივე ხეიბარნი ფაღიშამ, და პირისპირ დასხეს, და ასვეს ღვინო. რა დაითრო, ბრძამ თქვა, ღმერთო, აღიდე ხელმწიფე, რა კარგსა და წითელს ღვინოს გვასმევსო. საზუარმა უწყინა და უთხრა, ვისთან უბნობ, ხელმწიფის მსემ, ესეთს წიხლს ჩაგაზელ, გვერდი მოგტეხოო. გლახამ უთხრა, მოჰკალ და მე სისხლს მივსტემო. ვეზირმა მოახსენა, აჰა ბედნიერო, ღვინოს ეს ყოველი შეუძლია, ან მან რით ნახა, ან იგი რით გალახედა, ან ესე სისხლს რით მისტემდა. ჰე შენ რუქავ, შენც რომ მათსაებრ ხეიბარი ხარ, და ღვინოსაც, ვეჭობ, ეწეობი, თვარა მაგ გვარებს რა გამობინებს.

უთხრა რუქამ აჩაკი: ერთი საბრალეო კაცი იყო, ერთი ანჩხლი რძალი ჰყვა, აგინებდა რძალი იგი და ეტეოდა, წადი იქურდე, იშოვე და მომიტანეო. ესევე წებოდა კაცი იგი, იგი დიაცი არ მოეშვა. დღეს ერთსა ნაცემი და ნამტირალევი რძლისაგან ვლიდა, ნახა შვიდი აქლემი, აბრეშუმით დატვირთული, უპატრონონი იუვნენ, წასსხა და ერთს ტყეში დამალა, და მოვიდა მუნვე. მის აქლემების მეძებარი კაცი შემოეყარა, ჰქითხა შვიდი აქლემი დაფჰკარგე, და თუმცა რამისი გამიგნო, ერთს რაც ეკიდოს, მოგცე. მან

კაცმან ეგრე უთხრა, მე არ მინახავნან, მაგრამ ასეთი მისანი ვარო, რომე ჩემის თანა მოგვი არ იქნებაო. თურმე ერთი ცუდი წიგნი ეპოვნა, და უბეთა შინა ეპურა, გამოიღო და ჩახედა, ეგრე უთხრა, შევიგენ, და სხვის გზით წარუძღვა, და ეტყუოდა, აჭა კაცთ მი-  
 ჭყანანო, ზოგჯერ რა უთხრის, და ზოგჯერ რა. რა მას ადგილს მიანლოვდა, უთხრა, მათ კაცთა ალლო აიღეს და აქლემნი დაუტევეს და თვით გაიქცნეს, ჩემმა სამისნომ ასე მამცნო. მიიყვანა აქლემები, აჩვენა და ერთი ტვირთი აბრეშუმი მისცა, მიიტანა შინ. რძალმა დია დაუმაღლა და ეგრე უთხრა, კეთილი მაზლი ხარ, ესე ყოფილო. მას უამისა მეივეს თურმე ერთი უსასყიდლო თვალი დაჭკარგოდა, და იყო დიდი გამოძიება და ძებნა, მისთან მივიდა იგი შეაქლემე და მოახსენა, ძოდან თქვენი აქლემები დაფჭკარგე, და ერთი მისანია, მან მიპოვა. გაგზავნა კაცი და სწრაფით მოიყვანეს, დიდს სეივესა შინა მრავალი მისანი სხდეს, და ბოლოს კერძო იგი ახალი მისანიც დასვეს. ერთს მოხანს რქროს კროჭითა რაღაც დაჭქონდა და იტყუოდა, რომელიც ამას გამოიცნობს, ამას შიგან რა ძეს, იგი ჭპოებს თვალსა მასო. შეიქნა თქმულობა, ზოგმა თვალი თქო, ზოგმა მარგალიტი, ზოგმა სხვა რამე, რა მას ახლო მიიტანეს ახალ მისანთან, მივიდა, მან საწყალმან არა იცოდა რა, ამოიოხრა და თქვა, ვაი ჩემო რძალო, რა უბრალო მამკალიო. მან გულის მართლით თქვა და მეფემ გაიტინა იგავით თქვაო, შიგ თურმე მკალი იჰდა და ზმად ჩამოართვეს კაცსა მას. გაიყვანეს და სამეფო სამოსელი შემოსეს,

მეფის საწოლში დაწვინეს და მეფისავე ცხედარი და-  
უგეს, გარ სეფეწულნი მოუყენეს, ესრეთ დიდი ჰა-  
ტივი დასდგეს. იგი მისანი ამას ცდილობდა გავიპა-  
როო, თუმცა სეფეწულთ დაეძინოსთო. თურმე იგი  
თვალი ერთს მსახურთაგანსა მოეპარა და რა სხვათ  
დაეძინათ, იგი მომპარავი ფეხს მოეჩვია, მე მოვი-  
პარე და ნუ გამამხელო. მას კაცს დია იამა და ეგრე  
უთხრა, მე დიღასავე ვსცან, მაგრამ ჭაბუგობასა შენ-  
სა ვერ უყავ, შექებულადი და ვერა ვთქვიო; აწ წადი  
მეფის საბატეს შიგან, ერთს ჯარღათს ჩაანთქი და  
მხარი მოსტეხე, და მერმე შენ შენად გაისვენეო. რა  
გათენდა, ახალი მისანი მხიარულად ასპარეზსა შიგან  
დადგა. გამოვიდა მეფე და ჯარი, ჭკითხეს თვალისა,  
გამოიღო წიგნი, ნახა და თქვა, რაც მეფის ლერლეტნი  
იყო, მოიყვანეთო. ნახა, იგი ნიშანი არ იყო, თურ-  
მე მუნვე გაეშვათ, უთხრა მათ მოიყვანთა კაცთა,  
ერთი მხარ-მოტეხილი აკლიაო. გაუგვირდათ ყო-  
ველთა და იტყოდენ მისთვის ქებასა, მოიყვანეს იგი-  
ცა, უთხრა, გაუპეთ უპე, მაგასა ჩაუნთქავსო. გაუპეს  
და თვალი გამოუღეს. იამა მეფესა, მრავალი საბო-  
ძვარი მიანიჭა და ერთი თავისი საკდომი ცხენი  
ოქროთ აკაზმული მისცა. ეს კაცი თავის გაზდაში  
ცხენს არ მჯდარ იყო და იგი ცხენი ჩვეულ იყო, რა  
მოედანს აქათ გამოვიდის, მეფე იქითვე თურმე გაა-  
ბრუნევდის. რა შეჯდა და გამოვიდა ამ თავს, გაბრუნ-  
და ცხენი იგი და გაჭენდა, მან კაცმან თავი ველარ  
დაუჭირა, შეშინდა და შექმნა ძახილი, მიშველეთ, მი-  
შველეთო. რა საჭინიბოსთან მივიდა, საჭინიბო დაი-

ქცა და მეუის ცხენები სრულიად დახოცა, და ესე ცხენიც დადგა. მეჩმე მან ხსალმან მისანმან თქვა: შეიდასნი იქით რა გაველ, ეს საქმე ვსცან და ვიძახდი მიშველებას, და არა ვინ მიეშველენითო. იგი ცხენი მეუესავე მიართო, და მეუემან სხვა ურცხვი საქონელი უბოძა. რა შინ მივიდა, აიყარა და გარდაიხვეწა, იცოდა ბოლას მისი სიმტყუნე საანჯმნოდ შეიქმნებოდა, და მით მოჩჩა. აწე, ძეო მეუისაო, შენი ლეონ აწვე გაიზაროს, იგი უჯობს, თვარა მაგის სიცრუეკს სტნობთ და არ უჯობს.

უთხრა ჯუმბერ არაკი: იუკუნს ორნი ძმანი, ერთი მეუესს ახლდა, და ერთი შინ იჭირვოდა. მეუესს რომელი ახლდა ცრუ იყო, ახლდა მეუესსა და მრავადს აძლედა; შინ რომელი იყო, უცოდინარი იყო, და ძმას ეტყოდის, მე შენის ტყუილის თქმით დარჩომას არა ვჯერვარ, თუმცა შენ გაძლეკს მეუეე, განა მე ტყუვილს ვერ მოვიგონებ, რომ მეუესთან ვსთქვა, და მეც მამცეს წყალობა? ცრუ ძმა ეტყოდა, მე რასაც ვიტყვი, იამება და შენ ბევრს გიზიდავ, არას განაღვლებ, და არა გუვედრი შენ, და იყავ მუნ. მან არ დანიშალა, მივიდა მეუესთანა და მოახსენა, ჭაერთა შიგან ძაღლი ყევა მესმის. ენება მეუესსა მოკვლას მისი, ესეთი ტყუილი ვით მკადრალ. მოვიდა ძმა მისი ცრუ და მოახსენა, ეგე ძმა ჩემი მწყემსია და ბერიყვი, თვარა ტყუილი არ იქნება, ამაღ რომე არწივი ძაღლის ლეკვს აიტაცებდა, ჭაერთ სიმაღლეს წკავწკავი შამოესმოდა, სიბერიყვით მას ვერ გაუსინჯავს და ძაღლის ყეფად მოგახსენა. იამა მეუესსა ადარ მოკლა

და კაბა ჩაცვავ. მოვიდა შინ, ძმამ უთხრა, სიკვდილს მოგარჩინეო, აწ შინ იყავ, შენ სამეფო სიტყვა არ იციო. მან რა კაბა ჩაიცვა, უდიდესი ტყუილი მოინდომა, მოვიდა მეფესთან, მოახსენა: ერთს ირემს ისარი შევსტეორტე, ყური და ფერხი წარვჭკვეოქ, დაეცა და შეაფად გარაოდ შეიწვა და ვჭამე. ბრძანა კიდევ მოკვლა მისი, მეფემან დიდად იწყინა ტყუილი იგი. შეეწკალა ძმასა, წადგა და მოახსენა, წელანვე მეფობასა თქვენსა ვჭკადრე, უცოდინელია და ავად მთქმული, ისარი კარგა იცის, ირემი თურმე ყურს იფხანდა, ისარი ესროლა და ორივე წარჭკვეთა, ირემი დაეცა. ისრის ჰირი ბასრისა იყო, თურმე მუნ ტალი დებულა, ისრის ჰირი სტემია, ცეცხლი დაუკვესებია, ჩაღას მოსდებია, ირემი გაურეჟჯავს, მუნ მსხმოიარე მოცხრის ხე მდგარა, ის ზედ დასჭყლეტია, იგი უჭამია, შეაფე გარაო ჭგონებია, მოარჩინა ძმა და განუტკევა. ეს ლეონ ცრეუ თუ არის, ამის სიტყვა მეფეს იამების და შენ რას შლი. არაჲად თქმულა, ჰატრონსა შენსა გველი უეფარდეს შენგან უბეს ჩასმას ველიო. მეფეთა თანა მეოფთა სამნი საქმენი უნდა სჭირდეს: ჰირველად, რომელიც კაცი უეფარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიუვარულით არ შეისმენს, და შენ დაზიანდები; მეორე ვისიც, სიტყვა იამება, შენც უქო, თუ რომ უძაგო, არ ეძაკება და შენ განსცროფდე; მესამედ, ამას ცდილობდე, რომელი მისი გუფითადა, იგი გაიერთო, თვარა დღე დაგიმოკლდება.

თქვა რუქამ არაკი: სამნი ამხანაგნი შეიყარნენ, ერთი ასპანელი, ერთი გილანელი და ერთი განჯელი;

ერთმან ერთის თემა უქეს. ასპანელმა კაცმა თქვა, ჩემი თემა ასეთია, ძველი და ახალი ნესვი ერთად დასდვა, ვერა სცნობ, რომელი წლეულია და რომელი შარშანდელი. გილანელმა თქვა, ჩემი თემა ესეთია, ცოცხალ კაცი და მკვდარი ერთ საგებელში დააწვინო, თუ ცოცხალსაც სძინავს, ვერა სცნობ, რომელი ცოცხალია და რომელი მკვდარია. განჯელმა თქვა ჩემი თემა ესეთია, რა კაცი მოკვდება, ექვსი თვე ფეხსე ვაღს და მეშვიდე თვედ სამარედ ჩავაღს, გაჩაფხულ ცხელებას დაუწყებს და შემოდგომასზედ მოკვდება. არც ერთის თემა კარგი არ იყო, მაგრამ მათ მოსწონდათ. ეკ შენი ლეონ და ავი კაცია, მაგრამ მისი ავი და კარგი, ორივე კარგა კინის, ჩასათვის მას არ მაუბნებ და შენ მეუბნები.

უთხრა ჯუმბრ არაკი: თვალახილული კაცი ვინმე მოვიდოდა გზასა და ოცი მარხილი თან აქვდა. გზასა ზედა ერთი უსინათლო და უწინამძღვრო გლახაკი შემოეყარა, რომე არგნის ცეცხებით ჭპობდა გზასა. თქვა თვალახილულმა გამოფსცადო, ბრმა ესე ვითარე კაციაო, წავიდა მის პირას-პირ, და ზედ შეეტაკა, და დაიძახა, ვინ მეძგერე ბრმასა ამას, რომელს წინამძღვარიც არა მყავს, რათ დამარეციანე, ლუთისა არ გეძინოდა, რომ ესე მიეყო. მან ბრმამ უთხრა. მეც ბრმა ვარო და ჯოხით ვაღ, უცნაურად გეტაკე, ნუ მბრალეობ. დასხდენ და საუბარი რამ დაიწყეს და აღერსობდენ. უთხრა თვალახილულმა, მე ნათხოვნი ოციოდე მარხილი მაქვს, და არ ვიცი რომელი წმიდა ვეცხლიაო და რომელი ყაფბიაო. ბრმამ უთხრა, მე

ვიდრე თვალი მედგა, ვეცხლის მუშა ვიყავ და მე ვჭრიდი, მომეც, განვიხილავ, ყველას ხელით ვიცნობ და მე გაუწყებ. მისცა ყოველი და მან ბრძამ სარტყელს გაიხვია, გაეპარა და ხსულში ჩაწვა, დამალვა ეკონა. რა ხანი დაიგვიანა, თვალ-ხილულმა სახილად დაუწყო, რა ჰქენ და რა უყავ, რად დაიგვიანე; დაუწყო ვედრება ნუ წამართმევ უსინათლოს, მრავლის ჭირით და სლვით მიშოვნია, ჩემი ცოდვა ნუ გინდა. მას ბრძამ დასტურ ბრძამ ეკონა და ემალეობოდა, თვალ-ხილულმა ვედრება დაასრულა, აილო ერთი ქვა ფერხთა ზედა ჰქრა. ბრძამ იგი მუნით აღდგა და სხვაგან დაწვა, გაპარვა ეკონა. აილო მეორე უდიდესი ქვა, და ევედრა ღმერთს, მე უსინათლოსა ესოდენი ნაგლახვარი მომპარა, თუმცა ვემართლებოდე, ბეჭთა ზედა ვჰკრაო, სტეორცა, ბეჭთა ზედა დასცა. ბრძამან იგიც გასძლო და ხმა არ გასცა, მუნითაც გაიპარა და სხვაგან დაწვა. მესამე აილო და თქვა, ღმერთო, ეს ქვა შუბლსა ვჰკრაო. მან ბრძამ ესე თქვა, ორი სადაც დამინიშნა, მკრა, და მას თუ შუბლთა მკრავს, მოვჰკვდები, და ეს ვეცხლი ვის დარჩეს, დაუძახა, ძმაო, რას წუხ, გამოჩხევა მნებავს ავ კარგთა და მოგცემო. მან თვალ-ხილულმა აგინა და ეგრე უთხრა ბოროტ ხარ, მე თვალ-ხილულსა შენ ბრძამ ვეცხლსა მპარაო. მის მსგავსად შენ გონების თვალთ ბრძამ ხარ და ყოველნი შენებრ გგონია. რუქამ უთხრა, შენ მარტვილი ხარ და უგუნურ, და ლეონის მაცთურს სიტყვას გაჰყოლიხარ, არ გასინჯავ და გაუსინჯავი კაცი უღონოდ ფათურაჲს დაებმის.



თქვა აჩაკი: ერთი ვირი გლახაკის კაცისა, მი-  
ჭირვებულნი და მჭლე, გაეპარა ჰატრონსა თვისსა და  
წავიდა, ერთს მაღალს ადგილსა დაისადგურა. ესეთი  
ადგილი იყო, დიდი წყალი ჩადიოდა, და წყლისაჲნი  
ხენი შვენიერნი იდგნეს, და დიდი კლდენი მოსტემ-  
დნენ, კორდნი მწვანენი ყვავილოვანი, თურმე ვე-  
ფეხვის სამკვიდრო იყო, და მუნ დადგა. ვეფეხვი ნადი-  
რობას იყო, მოვიდა, ნახა, დიდად ეუცხოვა, დიდად  
შეშინდა. რა ვიღმა ვეფეხვი ნახა, თავისი სიკვდილის  
მოციქულობა ეგონა, უფრნი წაიტყვიტა და დიდად  
დაიფიქრნა, ვეფეხვს ესეთი შიშის ზარნი დაეცა, გზა-  
თა კვალი ვეღარა გაიგო რა, კლდეზე გარდაიჭრა და  
გაიქცა. მიმავალს შეჭირვებულს მელი შეხვდა, სცნა,  
შეჭირვებულნი მივიდოდა, თაყვანის-სცა და მოახსენა:  
ნადიროთ მეფეო, სად მიხვალთ, ან რად დაგიღრე-  
ჯიაო. მან უთხრა ჩემს სამეფოს ერთი უცხო ბუნ-  
ბერაზი მოსულა, მისის შიშით ვეღარ დავდეკ და  
გამოვეცალე, მით დამიღრეჯიაო. ჭკითხა მელამ მისი  
ამბავი, მან ყველა უახლო სახე მისი, ოთხ-თეხობა,  
ურდდილობა და ხმაშაღლობა, ფერი და რა რამე  
სჭირდა ყველა. მელამ მოახსენა: ეგე ვირია, ნუ მირ-  
ბი, მას გავაძებ და შენ უზრუნველად განისვენე.  
ვეფეხვმა არ მოუსმინა, მელიც თან გაჭყვავა, წავიდნენ:  
შემოეყარათ მგელი, თაყვანის-სცა და მეტე მელას  
ჭკითხა, რად შეჭირვებულა, ანუ სად მივა? მელამ  
მგელს ყოველივე უამბო, ვირის გამოქცეული მირ-  
ბისო, უშალე და არ დაიშალაო. მგელმა მოახსენა,  
ნუ სწუხარ, ჩემი სადილია, დია მშაან, წავიდეთ, მის

საქმეს მე მოგახსენებო. ვეფხვმა ეგრე უთხრა, თუ ჩემი ღალატი არ გნებავს და მართლა მეტყვიით, ერთი თოკი მოიღეთ, შუა მე მოვებში და აქათ ერთი მოებით და აქით მეორე, ერთად მივიღეთ და რაცღა დაგვემართოს, საძთავ სწორედ დაგვემართოსო. წავიდა მელი, თოკი მოიპარა, მოიტანა, სამნივ გამოეხსენ და ერთად მივიდნენ. რა ვირმა ესენი ერთად მისრულნი ნახა, ვაება გაუმრავლდა, შექნა უფირილი და ზახილი. ვეფხვი შეშინდა, მრჩეველებს აღარა უსმინა რა, თოკს მოიზიდა და ორნივ დაარჩო, თვით გარდაიხვეწა. ბოლოს თქვა, თუ არ მას ადგილს, ჩემი დარჩომას არ იქნება, წავიდე და მას ბუმბუქარას ვეუმო, ეგება დამინდოს, და ჩემს ადგილს კიდევ ვნახვიდე ხალხე. მივიდა ვირთან დიდის კრძალვით, შეეხვეწა და ეუმო, ვირს მისგან ეშინოდა და მას უფრო ვირისაგან. უბრძანა ვირმა, რადგან მეუმე, კარგათ დაგარჩენ, ჩემის სახლის უხუცესობას მოგცემ, ორს შეცოდებას შეგინდობ და მესამეს ერიდე. იუფენ და განისვენებდნენ, გამოხდა ხანი, ვირს ეძინა, ვეფხვს ნაფარდი მოუნდა, წყალს გახლტა, მჭევლს კუდი დაჭკრა, ვირს წუნწკლი შეასხა; გაიღვიძა, იწყინა და დიდად დატუქსა. მეორეზე ვირი წყალში ჩავარდა, წყალი დიდი იყო, ვირი წაიქცა და დაღუპა, შეიჭრა ვეფხვი, ვითამ ბატონს მოეხმარა და გამოიფანა. ვირი მიზეზს ეძებდა, თუმცა გავიცალოვო, გაუწყრა, მე კალმასს ვნადირობდი, შენ რად გამომიფანეო. ვეფხვს მესამეს შეცოდების რიდი ჰქონდა და გარდაიხვეწა, იგი ადგილი ვირმა დაიმკვიდრა. ძეო მე-

ფისაო, ეს არაჲი ამაღ მოგახსენე, მას ვეუფხვსავით მჩხეველებს ნუ დაარსობ, უგვანს ნუ დაეგვანები, გაუსინჯავად საქმეს ნუ იქ. თვარამ ბოლოს დაინანებ.

თქვა ჯუშბერ არაჲი: ინდოთ მეოფე აბანოს იყო, იბანდა, დალაქი თავს ჰარსევედა, რა ეელთან სამართებელი მიიღო, მეოფეს უთხრა, შენი ასული შეერთეო. გაუკვირდა მეოფესა და მიცემას დაჰჰირდა, გამოვიდა აბანოდამ, ვეზირთ ჰკითხა ვით შემომბედა ქალის თხოვნაო. მათ მოახსენეს, იქი სალაროსა სედა სდგმია და მას უთქმევიებია მოთხარეს აბანოს ძირი და სულ ოქროთა და ვეცხლით სავსე იყო. რუქავ, შენც იქი ან განძთა სედა გიდგს და ან ღმერთს გაუწირავ-ხარ სიკვდილად, თუ არა ესეოს უბადოს რათ უბნობ.

უთხრა რუქამ არაჲი: სამნი ძმანი იყვნენ, ერთი მხენელი, ერთი იფიქარი და ერთი მკერკალი უხუცესი მხენელი იყო და ბერი კაცი იყო, ცოლი მოუკვდა, სხვის შერთვა მოინება. ძმათ უშალეს და არ დაიშალა. რა არ იქნა, ერთი ხანდასმული ბებერი დიაცი მოჰგვარეს, ვით მას ეუერებოდა და ქორწილი უყვას. მასვე ღამეს ერთი აქლემი აკიდებული განძით კარს მოადგა, მათ შექორწილეთ აქლემი მოკლეს, ორმოში ჩაყარეს და ტვირთი დამალეს, პირი შეკრეს, თუმცა მაძებარი მოვიდეს, სხვა სიტყვა უთხრათ ქორწილობა გარდასწყდა, აქლემის პატრონიც მოვიდა, უხუცესი სახენელთ ხენიდა, მუნ მივიდა, სცნა, აქლემის პატრონობა. უთხრა მესაქლემემ, ჯილღას გამარჯვებოა; მან მხენელმა უთხრა, ასლსა ვსთუ-

სო. გაუკვირდა მეაქლეშეს და ჭკითხა, აქლეში დაგჭკარბე, თუ იცე, მითხარ და ბევრს მოგცემო. მან უთხრა, თუ საფხუღი იეოს, დიდი ანუული მოიხვნის. მეაქლეშემ უთხრა, აქლემისას გკითხავ ხვნისას არაო. მან უთხრა, სანტელა ხარი უარშიობსო. შემოსწყრა მეაქლეშე და წავიდა, მივიდა სოფლის ბოლოს, ფეიქარი ნასთს ქსელევდა, მასთან მივიდა, მასცა ჭკითხა, აქლეში დაგჭკარბე, მისი რამ მაცნობე, ფეიქარმა უთხრა, ჩქარა მქსოველი ვარო, დღევ ორს მოქსოვსო. მეაქლეშემ უთხრა, მე აქლემს გკითხავო, განა სხსოვარსო. ფეიქარმა უთხრა, სხვისას, თორემ მოგუიდიო. მეაქლეშე შეწუხდა, რა თემს ჩამოვარდიო, და წავიდა. მივიდა სოფლად, მკერვალს ჭკითხა, მან ეგრე უთხრა, ჩემი ხელოვანი ექვსი შაურია. მეაქლეშემ უთხრა, ვაჟო, აქლემს გკითხავო, აქლემსაო. მკერვალმა უთხრა, დია მესწრაფება, შენ სხვას შეაკერვინეო. გაუშვა იგიცა და წამოვიდა, რა წყალზე ჩამოვიდა, იგი ახალი ნაქორწილვეი ბებერი დახვდა, მას ჭკითხა, მან ეკლა უთხრა, ანიშნა, ერთი ამისთანა აქლეში მოვიდა, ჩემმა ქმარმა და მამლმა დაკლეს და ქონება დამალეს. მეაქლეშემ ჭკითხა, როდის იეო; ბებერმა უთხრა, სწორედ ჩემის ქორწილის დამესაო. მან კაცმა თქვა, ამ თემის კაცი და ქალი სულობით შემცდარნი ყოფილანო, მე გუშინ დამეკარგა და ეს ბებერი თავის ქორწილის ამბავს მიაშობს. მუნითაცა წავიდა შინ ცარიელი, მან ბებერმა მართალი თქვა, მაგრამ მან კაცმა არ დაუჯერა. მე მართალს ვიტყვი, მაგრამ ჩემი მართალი ტყუი-

ლის უმეტესად მიგანხიან, ჩემი სიტყვა კარგი აკის  
გვარად გესმიან; ყრმა ხარ და სიბრძნეს ჩემობ, ჰა-  
ტრონი ხარ და საჭურისნი გძულან ან მეფის ძე ხარ  
და ერთის კაცის მეტი არ გინდა, რადგან ესე ბრძე-  
ნობ, იგავს დაგიდგამ, და იგი ჭქენ შენდა შენმა  
ლეონმა. ვრუმბერ უთხრა, რასაო. რუქამ უთხრა, ერთს  
ვიწროს ხიდს დაგიდებ და სედ ერთი მგელი, ერთი  
თხა და ერთი სურგი თივა ესრეთ თვით გაიტანე  
მგელმა თხა არ მოკლას და თხამ თივა არ შეჭამოს.  
დაჭყვა ძე მეფისა. დადვა რუქამ ხიდი, მოასჩეს მგელი,  
თხა და ერთი ხორბმი თივა მოიღეს. მოვიდა ვრუმ-  
ბერ, აიყვანა თხა, გახდა ხიდსა და დასვა მუნ. გამო-  
ხდა, აიყვანა მგელი, გახდა ხიდსა, მგელი მუნ დაუ-  
ტყვა და თხა ამიერ გამოიყვანა. თხა დასვა, თივა  
აიღო, გახდა ხიდსა და თივა მგელთან დადვა. გამო-  
ხდა, თხა აიყვანა, გაიყვანა იგიც იმიერ და უთხრა,  
რუქავ, აჭა შენი სიბრძნის იგავი და აწ შენ ჩემი  
სცან, მე ხელით მიქნია და შენ სიტყვით ჭყავ.

უთხრა ვრუმბერ: სამნი კაცნი უმეტესნი ერთს  
დიდს მდინარის კიდე შეიყარენ, სამთავ ცოლები  
ჭყვა თან, მუნ წყალში ერთი მცირე ნაწი ჭპოვეს,  
ორის მეტი კაცი ვერ დაეტეოდა. ამ მდინარეს ეს  
ქვესნი ასე გაიყვანე, რომ ერთთან მეორის ცოლი  
არ დარჩეს. რა განიხჯა რუქამ, ძნელი იგავი იყო,  
დია დაჭმუნდა და ვერა გაიგნა რა, შეიქნა დიდი  
თქმულობა მეფესა, ვეზიძისა და რუქას შორის, არა  
ისრია, არა ეს უნდა იყოსო, ვერა რომელმან და-  
სკვნა. ჭრქვა რუქამ, ფიცა, ცუდი უგვანი მოიგონა.

თორემ, არა ბრძნისაგან არ გაიყვანებაო. უთხრა ჯუმბერ, ჰეი ნადირში კურდღელა და ფრინველში ძეგრა და კაცთა შინა, შენვე იცი, რაც ხარ, არ გასცრუვდებიო. რუქამ იგივე თქვა, ცუდი ტუეილი მოიგონა, თორემ ეგ კაცისაგან არ იქნებოდა.

ლეონმა აფიცა ჯუმბერსა, შენვე გაიყვანე ეგენი, თუცა ფიცი არ ტეხოს. რუქამ ნება დართო. ჯუმბერ თქვა, სამთა მათ კაცთა სახელები ესე არს: მეღას, მეტურ და მარასან. მოიღო მეღას ნაფი, ჩაჯდა, ჩაისვა ცოლი თვისი და გახდა გაღმართ, გადასვა ცოლი და გამოხდა ამიერ. ჩასხეს მათ ორთავ ცოლები და გახდა მას ქალთან. ჩაჯდა მეღას ცოლი და გამოიტანა ნაფი და მოვიდა ქმართან. ჩასხდენ მეტურ და მარასან და გახდენ თავიანთ ცოლთან, ჩაჯდა მეტურ, ჩაისვა ცოლი თვისი და გამოჰხდა მეღასთან, მეტურ და მეღას თვისნი ცოლნი იმიერ დაუტევეს და თვით მარასან ჩაჯდა ნაფიში გახდა. მარასანის ცოლი ჩაჯდა და გამოხდა, და მეღას ცოლი გაიყვანა; მერმე ნაფი მეტურ გამოართო, თვისი გაიყვანა და წავიდნენ. გაეცინა მეფესა, თქვა, არა ვგონებდი ამა ქალთა წყალთა გახდომასა.

მოახსენა ვეზირმა სედრქაქ: ამითა ვი კაცია ლეონ, და ნუ გინებს სიცოცხლე მისი, და მოჰკალ, შენი ძე უმეტარი გაუზღია. მამამან შვილი შვას ესეთი და მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისი სიმდაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი ძე, და ჩვენებით ნახული სიბრძნით და სახელი ლეონ; არც ჯუმბერ ულეონოდ, და არც ლეონ უჯუმბეროდ. ამაზედ მო-

ვიდნენ მოხიფრად სამნი ძმანი წინაშე მეფისა, რომელნი გაყრილ იყვნენ ძმობისაგან; ყველა გაყოთ და ოცდა ათი თხა ჰყვათ, იგი ვერ გაეწილათ და ვერც რიგდებოდნენ. მოახსენეს მეფესა თხათა მათთა თვის, ათს თხას თითო თიკანი ჰყავს, ათს ოროლი და ათს სამსამი; ესრეთ გვინებს გაყოფა, არც რომელმან ძმამ ძმაზე მეტი აიღოს, და არც თიკანი დედას მოსწყედეს. შეიქნა ცილობა და თქმა, ვერა რომელმან გაყო. ჰკითხეს ჯუმბეკს ძესა მეფისასა და მან თქვა: ოცდა ათი თხა არის და სამოცი თიკანი; იგი ათი თხა, რომელსა სამსამი ჰყავს თიკანი, ხუთი სსშუაღს მიეცით და ხუთი მრწყემსა, რომელი იქნება ხუთ ხუთი თხა და ათ თხუთმეტი თიკანი. და იგი ათი თხა, რომელსა თვითო ჰყავს, იგიცა ხუთ ხუთი მიეცით მათ ორთავე, სწორი იქნება. და იგი რომელსა ოროლი ჰყავს თიკანი, იგიცა ერთს მიეცით; არც ძმას ძმაზე მეტი ერგება და არც დედას თიკანი მოსწყედება. რა ეს გაყვნა, მეფეს დიდად იამა, ლეონს შადლი უბრძანა, სამეფო სამოსელი შემოსა, და თვისსა საჯდომს უაიჭხედ აღსვა, და ფრიადი საუნჯე მიანიჭა. რუქამ თქვა თხათა და ცხოვართ ყოფა უსწავლებია, და ესოდენი დიდება მიანიჭა, თუმცა სამეფო წესი და ჭბუკთ ზნენი უსწავლებინა, თავის სამეფოს მისცემდა.

თქვა არაკი: ერთი მეფე ღმერთობას ჩემულობდა და ვერცა რა ვინ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო. ერთი ჭკვიანი და კარგი ვეზირი ჰყვანდა, მან მოახსენა, რადგან შენ ღმერთი ხარ, მაშ მე შენი ან-

გელაზობა მიბოძეთ. უბოძა მან ღმერთმან თავისი ანგელაზობა და გამოხდა ხანი, უბოძანა მან ღმერთმან მისსა ანგელაზისა, მოდი სსსწაული ვქნათო. მისმა ანგელაზმა მოახსენა, თუ მისმენ უცხოლა და კარგს სსსწაულს გაქსევიებო; დაუჭერა, და დააცლევინა სსხლები მეფისა, ნეხვითა, და ცხოვართ და ძროხათი იქაჲ ფუშით აავსო, გამოიხმა კარი, ზაფხულის ყაში იყო, ათი დღე დაეყოვნა, მკათერმოქტე დღეს მოვიდნენ, ჩვენი ნაქმარი სსსწაული ვნახათო, გააღეს კარები, ნახეს სრულ მატლი, ჭია და ფუნდურა დახვოდა, დიდად აყროლებულ იყო. მეფემ უთხრა ვეზირს, ეს რა გვარი სსსწაულია; ვეზირმა მოახსენა, შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელაზი. ჩვენგან ესეც დიდი სსსწაულის ქნა არის და არც უფროსი გამოგვივაო. ვუმბერ რომ უფლის წულის და ლეონ ოსტატი, ესეც დიდაა, თხა თიკანთ გაყოფა უსწავლებია, და ეოველს კაცს მოწონებსაც გვმართებს, თვარა დაუწუნოთ, შერცხვინდება და მერმე ძროხა გამბეხით საქმეს ვეღარ ასწავლის.

უთხრა მეფემ არაკი: ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ, წავიდნენ გზასა და გასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გასლვა არ ეძლო; კემ უთხრა, ზურგს შემჯექ, მე გაგიყვანო. შეაჯდა მორიელი ზურგზე, კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. კემ ჭკითხა, ძმაო, რასა იქო; მორიელმა უთხრა, რა ვჭქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვჭკბენდეთო. კემ დაიფურეუშე-



ლანჯა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა, ძმაო, არც მე მნებავეს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესიძინას ხორცს არ გაიბანს, გასივდება და მოკვდებაო. რუქავ, შენი მსგავსნი ყოველნი მტრისა და მოყვრისა მკბენარნი არიან, მაგრამ შენ ეს მაშინც დამიჯერე, ასეთს საკბენს უკბინე, ან კბილი მოჭკიდო და ან წყალში არ დაიჩხო. მელი პირუტყვია და ესოდენი ჭკუა აქვს, რა მრავალი რწყილი დაქვავის, იცის, შემასწუხებენო, პირში ჯღანს დაიჭერს და გუდს წყალში ჩაჭყოფს; რა გუდის რწყილი ტანში შემოვა, მერმე ტანს ჩაჭყოფს, რა ტანიდამაც თავში ავა, ჯღანსე შემოკვავა, თავსაც წყალში ჩაჭყოფს და ჯღანს რწყილებიანს წყალს მისცემს. თუ ბევრი რწყილი სულიერს შეასწუხებს, ბევრი კაცის მტეობა, ნახე, კაცს რას უსამს; ამთენს სულში კაცს ერთი მოყვარე არა ჰყვანდეს დიდი სიავე არის. მოახსენა რუქამ, კართა შენთა ავს კაცთ ნუ დაადგენ და მე არ გაუმტერდები. უბრძანა მეფემ, ანუ თუცა ავი კაცი არ დაუყენო, პირველ შენ უნდა გაგძო, ეს იცოდე, მეფენი საჭურისთა და სხვათაც საქმეს ჰსცნობენ, და მეფეთ საქმეს ვერა ვინ ჰსცნობენ, თუმცა კაცი იგი არ გამეფდა, რომ მათი საჯდომი მაღალია, დაბლიდამ არ ინახება.

შვილს უთხრა მეფემ არაკი: იყო კაცი ერთი ბრძენი, რომელი ვაჭრობის სიმდიდრისაგან დატყეპულ იყო, და მოვლო პირი ყოვლისა ქვეყანისა, და მივიდა ინდოეთს, გამოიკითხა იუნ კაცი მდიდარი, და მდიდრობისაგან უმეტესად ღვთის მოშიში. რა აცნობეს, დაისწავლა სახელი მისი, მივიდა და რქვა

კაცსა მას, ძმაო, ძოღან ორმოცი ლიტრა ვეცხლდ  
ისესხე, ახლა დიდად მეჭირება და მომეც, ღვთისა-  
თვის გევედრები. მან მდიდარმან უარჱყო, რომელსა  
აწა ესესხა, რას მისცემდა, უთხრა, როდეს ვივასშე,  
მოწამე ვინ გივის და ანუ ხელით წერილი სად არის.  
მან კაცმან ეგრე უთხრა, მაშინ საქმიანად იყავ და  
ესრე მითხარ, აწა მცალს და ხვალე მოდი, ხელით  
წერილს მოგცემო, მე შენი მოწმუნე ვიყავ, დაგ-  
ჟერდი, მე სხვა საქმე დამეცა, იგი დამაფიწყდა, წა-  
გულ და აწ გთხოვ, თუმცა მტუჟარ ვარ, შენ სახელი  
ღვთისა ჭთიცე, რომ შენ ჩემი ვეცხლი არ გევალოს,  
და გარე შევიქცე. მან ღვთის მოშიშმა მდიდარმა  
ეგრე თქვა, რასა თვის ვითიცო სახელი ღვთისა ამა  
მცირედსა ზედა, ეკოდენი ჩემთვის უბოძებია, მრ-  
ვალს კაცს ეყოფა, ორმოცი ლიტრა ვეცხლი მას მიფ-  
სცე, და სხვა მე მოვიხმარო, და ღმერთო არ გავი-  
წერომო; არ იფიცა და მას კაცს თხოვილი მისცა.  
მან კაცმან რომელმან წაიღო ვეცხლი, ეგრე თქვა,  
ღმერთო, მართალი და ჭკუმარითი შენ უწყო, ჩე-  
მის სიგლანაკისთვის ვქენ ესე, აწ თუ გამემარჯოს  
სავაჭროსა ამას ზედა, ყოველივე მონაგები ამავე  
კაცს უძღვნა, და ეველაჟა ვაუწყო. წაჰიდა კაცი იგი  
მაჩინს, ესრეთ ივაჭრა და გამდიდრდა, რომე უდი-  
დესი ვაჭარი აღარ იქნებოდა; როდენთა წელთა უკა-  
ნის მუნვე ქალაქად მოვიდა, მონახა მდიდარი იგი,  
ჭპოვა და აწვია. ამან იცნა და მან მდიდარმა გერა. შეი-  
ყვანა სალაროსა თვისსა და, რაც რამე აქვნდა, აჩვენა,  
და უკვირდა მდიდარსა მას დიდება მისი, და სიმრავლე

უნჯათ მათ, მოუწონა და უქო ყოველივე. მერმე მან  
კაცმან ამოიღო კლიტე თვისი სალაროსი და მიაწოდა,  
და ხელს აკოცა, მოახსენა, ესე ყოველი შენია და  
ღმერთმან გაუფლოსო. მას მდიდარს ძოდანდელი  
საქმე დავიწყებო, და ჭკითხა ვინაობა და ვითარობა,  
და მან ყოველივე ყოფილი მოახსენა; ჩემმა სიგლ-  
ხაკემ მომაგონა, თორემ შენ ჩემი არა რა გუვალა,  
მე რაც მქონდა, გაშეფასხა, ესე ყოველი შენია დაუ-  
პატრონეო. გაუგვირდა მას მდიდარს მის კაცის სი-  
მართლე და გულაკეთილობა, ერთი სარტყელი აიღო  
და ერთი საპერანგე, ეგრე უთხრა, ესეც ამაღ ავი-  
ლე, ნუ თუ გულის კლება შეგეკენა, ღმერთმან შენ  
მოგახმაროს, რადგან შენი ეგეთი კეთილობა ვინი-  
ლე, ჩემი რაც მქვს, იგიც შენი იყო. შვილო ჩემო,  
შენთვის ღმერთსაც მოუნდომებია და მეც მომიცია  
ადგილი და სამეფო ჩემი, და დღეის იქით უფლებდე  
ყოველსა ზედა, და ნუმცა ვინ არს მტერი შენი.

მოახსენა რუქამ არაკი: ერთი მეპატრონე შევი-  
და მარანსა თვისსა სახვად ღვინისა სახა, ჭურის შირს  
ერთი ჭამი იდგა, ჭკითხა შემარსეს, რად დგას ჭამი  
ესე აქა; მან მოახსენა, რადღეს ჭურ შემოვალ, თი-  
თოს ამით ღვინოს შევსვამ. ეწეინა მეპატრონეს და  
ეგრე თქვა, ჩემი ღვინო ამ კაცს აუოხრებიაო, და  
ერთი კაცი სხვა დააყენა თავს, რომე მაგოდენს ღვი-  
ნოს ნუ ასვამო. მეორეზე რა შევიდა მარნად, სახა,  
ორი ჭამი იდგა ქვევროსან, ჭკითხა შემარსეს, ეს რა  
უნდა იყოლო. მან მოახსენა, ერთი ჩემია, რომელითა  
ვსევმდი, და მეორე მაგ ჩემს ამხანაგს მოუნდებო,  
ახლა რომე დააყენეო. ეჭა მეფეო, შენს შვილს კარგი

სამეფო მიეც და ერთი მაგდენი სამეფო ლეონსაც უშოფე, თვარამ ორთაჲ ერთი კი არ ეყოფათ. დიდად ეწყინა ჭრუმბერს.

და თქვა არაჲი ჭრუმბერ: ერთი მკალაფი იყო, ვინს სათქვაფი აჭკიდა, წისქვილში წაფიდა, დაფქვა და გამობრუნდა. გზასკედ ვირი დაუდგა, რა ველარ დაძრა, ჯიბეში ნიშადური ედვა, ქვაზე დანაყა და ვირს კრუდ ქვეშ ამოსცხო, ვირი ასეთ გაიქცა მკალაფი ველარ მოეწია. დაღონდა ვირი არაფინ მომტაცოსო, დამუკარგებო, ცოტა ნიშადური თითონაც წაისვა, ეგებო ვირს მოფეწიოფო, ასე გაშმაგდა მკალაფი, ვირსაც გაუსწრა, სოფელი და თავის სახელიც გაირბინა, ცოლს მისძახა, ჩემი ნიშადური ცხარი იყო, მე ველარ დამდგარ ვარ და ვირს ეპატრონეო. რუქავ, შენც ნიშადური წაგისვას, იგი გაჩქარებს, თვარამ მეფის წინაშე შენგან და ანუ სხვისგან მაგ რიგი ვითარ იკადრება. მერმე ჭრუმბერ დადრკა, და მამას თავყანისს სცა, და მიწას აგოცა, და მოახსენა, დამბადებელიმც შენი დიდებული არს, სვემც შენი ბედნიერ ამალეუბულ არს, სახელიც შენი ნუ დაილევის სიმაღლისა, მდაბლის გულისაგან ბრძანებ, თვარამ მე შენის პირის პირ ჭვრეტასაც არა ფლირს ვარ, არა თუ ეგეთს წყალობასა. მე თუმცა შენი მოწყალე ბრძანებანა მესმიან, ყოველთა დიდებათ უდიდესად მიჩნს, მე თუარამ სიკეთე მაქვს შენგან, თვარა ვინ ნახა, ქვრივმა დათესოს და ებრენიგი მოიმკოს, ანუ ეკალი დაერგოს და ხურმა მასზე მოეკრიფოს. კეთილი ხე კეთილს მოიბამს, თვარა: თავით თვისით ხილი უნერ-

გო კარგი არ იქნება, და არც ალქატო ხე რწივით და დაკანშით გაკეთდება. არაკად თქმულა: ქორი ქორს სჩექს, ძერი ძერუკასაო; ხემს სიკეთეს ნურც მე მაკვებებ, ნურც მე შადებ. კალატოზმან რომელმან სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეს, ანუ მაშენებელისა? მხედარი, რომელმან კვიცი კარგა სადავოდ გაზარდოს, კვიცი საქებელია, თუ მხედარი? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი, ხემი სიკეთე ჩემგან არ არის, აგებულობის საქმე შენგან და წვრთილება ლეონისაგან. არა ამისთვის მოგახსენებ, ლეონს შენგან ბოძება აკლდეს, დიდი წყალობა არა სჭირდეს, არც ნათალს ღირსა იგი, მაგრამ მტერი ბევრი უვის და არ შეასმინონ მეოვობისა თქვენისა კარსა.

მოახსენა მამსა არაკი: სტამბოლს ერთი ქრისტიანი და ერთი მდიდარი ურია ქიშხნი იყვნეს. ურია მალმალ ქრთამს გაიღებდა და იმ საბრალოს ქრისტიანს დააჭერინებდის თათართა, ხან სციან და ხან დაბიან, იყო დიდს საპატროში. დღეს ერთს მან ქრისტიანმა უთხრა, სახელები დასწერეთ, რაც წმინდათაგანი არიანო. ურიამ ყველა დასწერა, ქრისტიანმა უთხრა, მამადი რადლა დააკეთო; ურიამ უთხრა, როდის იყო წმინდათაგანიო. ქრისტიანმა მისის მტერობით ამ სიტყვაში თათარი დაიხვედრა მოწმად, თათარი წავიდა, ყადს უთხრა, დაიჭირეს ურია და დააჩხვეს. აწ ყოველი მტერი ამის ცდაშია, რომ დრო შემოიგდოს და წაახდინოს. დიდს მტერს კაცი ან შეეხვეწება, და ან გარდაეხვეწება; სწორს მტერს ან ჰასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება; ცოტას და

ცუდს მტერს უნდა უფრთხილდეს კაცი. ცოტა მტერი ცუცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულს, არა ჩანს, და რა განქექს ხელ დაგწავს; ცოტა მტერი სიკვდილს ჰგავს, უჩინარი მოვა, ვერც ქრთამით და ვერც ძალით, ვერც ხვეწნით ვერ მოჩხები; ცოტა მტერი რა კაცზე დროს იშოვნის, აღარას ღონით არ გაუშვებს, არ გარდაჩხისო; ცოტა მტერი ოჩმოს ჰგავს, თავ დაფარულსა, რა შესდგე, ჩავარდები. ამისთვის უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხილდეს, საფათურაგო იგი არს. ავის კაცისაგან წახდენაც სიბრძნვილია და გაკეთებაცა, თვარამ კარგის კაცისაგან, კარგი სჭირს, თუ ავი, ორივე სახელია, ამაღ რომე, თუ ავი არა ხარ, ავს კაცს რად მოირეგ და თუ უარესი არა ხარ, რად შეეხვეწები. აგრევე თუ კარგი კარგს გიზამს, კარგისაგან კარგი გამოვა და მას აქვს, და თუ ავს გიზამს სიკეთე, ჭკუა და ძალი სამივე შენზე მეტი ექნება და მოგეწევა. მაგრამ კაცისა დიდი სიკეთე იგი არს, რომ სიფე არ იმსოფროს და სიკეთით დაჭყაროს. რუქამ უთხრა, ქო მეფისაო, ამაღ ცდილობ და ამას არაკობ, მე წამანდინო და ლეონ გააკეთო; მაგრამ ჩემის გარდაკიდებით ლეონს ეგრე დაემართების, ვითა მას კაცს დაემართა.

უთხრა არაკი: სოფელსა დარბანდს გამოვიდნენ თივის მთიბანნი, ცხენთა სხდეს და ცულები ხელთა ჰქონდათ, შეექნათ თივაზედ ცილობა; ცულის ტარს ჩააბჟენდიან, აქამდინ ჩემია, სხვა იტყოდა არა ჩემიაო, სამანნი ეს არისო. ერთი მეტად გაჟავრდა, ცულის ტარი თუჩმე მოკლე იყო, ცხენით რომ ჩააბჟინა

აქამდი ჩემიანო, ცულის პირი კისერს მოხვდა და თავი მოჭკვეთა, მისი თიკაც მეორეს დარჩა. შენის ლეონის დიდებაც მე არ დამჩეს და ეგ ბოროტად არ გარდაეგოს, ნახავ.

უთხრა ჭუმბერ ანაკი: გილანს ერთი მოლა იყო, ბრინჯი დათესა და ველურმა ღორებმა დიან წაუხდინეს. მოლამ ღორის ქაშანსე დიდი ორმო ჩათხარა, და ლელი წაბურა, და წამოვიდა; რა ნაჩვევნი ღორნი მოვიდნენ, ორმოზე გამოიარეს, ლელმა უტყუნა და ერთი დიდი ტახი შიგ ჩავარდა. მივიდა მოლა, ნახა, ღორი შიგ კდია, აიღო უღელი და ზევიდამ ჭკველემ დაუწყო და გინება, უღლის ტახიგი მოლას კისერზე მოხვდა, მოლაც ღორთან ჩავარდა. ღორმა მოლას ღოჯით ცემა დაუწყო და კბენა, ასე გახადა, მთელი ასო აღარ შეარჩინა, რამდენს მოლა შეეხვეწებოდა, ღორი უარეს უხამდა. მის მსგავსად შენ შენგან ნათხარს ორმოში ჩავარდები და ვედრება აღარსად გიგვა. რუქამ უთხრა ჭუმბერს, რადგან შენი ლეონ ღორს შეადარე, ესრეთ გაფიხარე, ვითამც ყოველი ჩემის გულის ნება აღმსრულებოდა.

თქვა რუქამ ანაკი: ერთი დიდად მდიდარი კაცი იყო და ერთი სხვა კაცი იყო, მისი უცხო სიმდიდრის ხმა გასულ იყო. თქვა მან მრავლის მქონებელმან მდიდარმან, ჩემი საღაროს რიცხვი არ ვიცი, მეფეთაც არა აქვს ჩემოდენი და მის კაცის სიმდიდრე უფრო იქნება ჩემგან, წავიდე და ვნახო მისი უჩიჯი, რის უფალია. მივიდა, მას კაცს ევედრა მისის საღაროს ჩვენებისათვის; წაიუვანა მან კაცმან მდი-

დარი იგი, ურიცხვი ბელელები აჩვენა, ხვარბლითა და ქერით სავსე. და მხიარულად უთხრა, ღმერთს ჩემთვის ესოდენი წყალობა მოუნიჭებიაო. მდიდარმა მასცა აგინა და რომელი მის დიდებას აქებდა მასცა. და ეგრე უთხრა, რაც შენ ჰური გაქვს, იმდენი მარგალიტი მაქვსო, და სიმდიდრედ არ მიმაჩნიაო, და წავიდა. მომავალსა წელსა ასეთი სიყმილი მოვიდა, რომ ჰურის ხსენება არსად იყო, დამშა უოველი კაცი. მან მდიდარმა მოუგზავნა კაცი ჰურით მდიდარს, და თვალმარგალიტი მოუძღვნა და ევაჭრა ჰურისა; მან მასუხი არ გასცა. მეჩემე აქლემთ აჭკიდა მრავალი და გამოუგზავნა, რომ სხვაგან ღონე არ დაიდებოდა; მან ფასი ატრევე შეაქცია და ეგრე შეუთვალა, ნუ ჰტონებ, რათამცა ფასითა მე შენ ჰური მოგყიდო, და თუ ცოლი გამომიგზავნო, რაოდენი გინდა, წაიღებ. რა ეს ესმა, კაცი იგი დიდად დაჭმუნდა და თქვა, თუ მივსცე ცოლი, ამხანაგთ რა უთხრა, ანუ ვისთვისდა ვიყიდო ჰური, თუ არა და ჰურს არ მომცემს, და შვილსი დამეხრცებიან. ღონე გაუწედა, შესვა ცხენს ცოლი და გაუგზავნა. რა მან კაცმა ნახა მისი ცოლი მისუღი, ეგრე უთხრა, შენ ჩემი დედა ხარ, რადგან შენი ქმარი ესრეთ ვნახე, ამჰარტაფნულად მაგინებელი დია დამბადა, აწ რაოდენი გენებოს, წაიღებ და წაღია. მრავალი მისცა და გაუშვა. ჭუმბერ, რადგან შენი ღეონ ესრეთ მოიძულე. ძაღლთა და ღორთა ადარებ, აწ რაღა მომკლავს. გაეცინა ჭუმბერს და ეგრე უთხრა, ვაგლახი შენთა სიხარულთა, ღორს ავი მოლა რით უკეთესია. და რადგან ეგრე გიამა, თუ



გინებს, კიდევ ღორობით ვახსენებ. მაგრამ რა საზღაპრული გიტყვას: რუქამ უთხრა, ოღონც შენ ლეონს ღორი უწოდე, მეგობრად შევექნები. ჯუშბერ უთხრა, ნახევარს კაცს რასათვის ოცის კაცის გული გიძს. ჭინჭრატა ესრე უგუნურია, რა ცა იქუხებს, გულადმა გარდმობრუნდება, თუმცა ცა არ დაიქცეს, ფეხი მივაშველო, რომ ქვეყანა არ წახდეს; და წერო ამპარტავნობით, თუ არ სვლაში, ორფეხს არ დასდგამს, ჩემის სიმძიმით ქვეყანა არ ჩატუდეს. რა გკონია ეგ შენი ბილწი თავი, ანუ რა ხარ?

უთხრა არაკი: მეღამ წერო აწვია, ოსში მოუხარშა და სვილენძის თეფშზე დაუსხა, ორთავ ჭამა დაუწეეს; მეღი ენით სთქლაფეფდა და წერო რას შესჭამდა, თეფშზე თითო თითო თუ აიღებდა. მერჯეს დღეს წერომ აწვია მეღი, და მუხუდო მოუხარშა, და პირვიწრო ქოთანში ჩაუსხა, ორთავ ჭამა დაუწეეს; წერომ ნისკარტი ჩაყო და ჭამა დაუწეო, და მეღამ ტუჩი ვერ ჩასტია, რასა ჰსჭამდა. იწეინა მეღამ და აუმტერდა. ანუ მათი სიტუბო და წყალობა რა იყო, ანუ მათი რისხვა და მტერობა. აგრევე თქვენი მეგობრობა და სიყვარული რა იქნება, ანუ სიქიშვე, ზოგთ კაცთ რა პატრონი სიკეთეს მიაპყრობს, თავის თავისა ეგონება და არა პატრონისაგან. შენ საჭურისი ხარ, მეფის ერთგულობა და დღე და ღამე სამსახურის ცდა გმართებს, და იგი ჭაბუკი მე მახლავს, მეფის მონება და ჩემი წვრთა მართებს, ან შენ მასთან რა საზრძოლი გაქვს და ან მას შენთან რა საშუღლარი.

თქვა რუქამ არაჰი: ორნი კაცნი გზას მივიდოდნენ და ერთმა ქვას ფეხი წამოჭკრა და ეშმაკს აგინა; მეორემ უთხრა, რა გაწყინა, მან ხომ არ გიჩხინა, ყოველნი აგრე აგინებთ. რა იგი ამხანაგნი გაიყარნენ, მივიდა ეშმაკი და მოსარჩლეს კაცს უთხრა, რადგან შენ მე მომქმარე, მეც შენ მოგზღავ მაგვიერსაო, ერთს გვარინან ჯორად ვიქცევი, შემჯექ, ალაბის ქალაქს ჩადი, მუნებური ყადი ქაბას მივა, ჯორს ექებს სსსუიდელს, ვირემ ასი ფლური არ მოგცეს, ნუ მიმაყიდი, და შენ შენს გზაზე წადიო. იქცა ჯორად, შეჯდა იგი კაცი და ყადის კარი ჩაიარა, დია მსუქანი და თოხარჩიი ჯორი იყო, ყადის მსახურთ ჭკითხეს; მან გასასუიდელობა უთხრა, შევიდნენ, მაშინვე ყადს მოახსენეს, მისცეს ასი ფლური და ჯორი გამოართვის. ყადმა დიდად მოიწონა, მეტის სიყვარულით წინ დაიბა, რა ორი სამი დღე გამოვიდა, მოსამსახურენი საქმეზე გაიფანტნენ, ყადი შეფრთხინვით შესტქეროდა, ჯორმა ავშარა წაიყარა და აეშვა, მუნ ხელსაბანი ალთაფა იდგა, მას შიგ ჩაძვრა. დაიწყო ყადმა ძახილი. მსახურნი მოვიდნენ, მათ ყოველი უამბო, მათ ეგრე თქვეს, დაფეთებია რამეო და შესლილათ, თვარა რას როტავს, ალთაფაში ჯორი ვით ჩავაო, ან როგორ დაეტევაო დაიჭირეს ყადი, ბევრი ტანჯეს, დააბეს; ფიტავს ყადი, გიყი არა ვარ, მართალს ვიტყვიო, ვინ მოუსმენდა. ორმოცს დღეს არ დააძინეს, ხან აროკებდიან და ხან სტანჯვიდენ, რა ღონე მოსწყდა, თქვა ახლა აღარა მჭირს რაო. გაუშვეს, მარტო ჯდა, ალთაფის პირიდან ყურები ამოყო

და განბერტყა, დაიძახა ყანდმა აქავ არის, მიშკელეთო, მოვიდნენ იგი კაცნი, კიდევ შეიპყრეს და უარესი ჭირი დამართეს. იგი ყადი მართლა უბნობდა, ხედვი-და და არა ვინ უჯერებდა. მე მასსავით მართალს ვამბობ, არა ვინ მისმენთ

უთხრა ჯუმბერ არაკი: ერთი მჭედელი იყო ქალაქსა შამისასა, წამ და უწუმ ეშმაკს აგინებდა. შეწუხდნენ ეშმაკნი და მჭედლისათვის მახე მოიგონეს, ერთი ეშმაკი ბერიკაცის სახით მივიდა, ერთი ვაჟი კაცი შევიდა მიიყვანა, მჭედელს ოცი ფლური მოუტანა, ამ ჩემს შევილს შენი ხელობა ასწავლეო. მჭედელს იამა და მიიბარა, კარგა სწავლებას დაჰპირდა; ორ თვეს უგან ეშმაკი ბერ უძღურ კაცად შეიტვალა, და მოვიდა მჭედელთან, ორასი ფლური მოუტანა, და უთხრა, დია დავბერდი, აღარა ძალ მიცხ რა, ეს ხელ-ფასად აიღევ დამადნევ და გადამხალისე, და ოცდაათის წლისა გამაგეთევ. მჭედელმა ეშმაკს აგინა, ეს როგორ იქნება კაცისაგანაო; მაგირდმა უთხრა, ფლურა გამოართვი, მე თოქმაჩის შეილი ვარ, მე კარგა დაფხალისებო. ეშმაკი ეშმაკურის საქმის მცოდნელია, შეკრეს ეს ბერი უძღური და შედევს ქურაში, ხანშირი დაყარეს და ცეხელი, დაუწვეს საბერველო ბერვა, მრავალი იძახა დაუიწვი ნუ დამწვაოთო, მათ უფრო უბერეს. ეშმაკს რა დასწვაოდა, ცეცხლიდამ ოც დაათის წლის კაცი კი ამოძვრა, გაუგვირდა ყოველს კაცს და განთქვა ეს ამბავი, ესეთი ხელობანი იგი მჭედელი, ორასის წლის კაცს დახალისებს და ოცის წლის ვაჟად შეიქსო. მიესმა შამელს ყადს, დია

დაბერებული იყო, ორასი ფლური მოუტანა, დამახალისეო; მჭედელი დაჰპირდა, ეგონა ამასაც დავახალისებო. გარდაცვეს თავს ფეხი, ჩად ეს ტეტხლში, დაუწყეს ბერვა, რა განხხრიკეს, ძვლიც ვერა ჰპოვეს, ესრეთ დამწვარ იყო, დაიჭირეს საბრალო მჭედელი და დაარჩვეს, ეშმაკებმა ეს ხრიკი უგდეს. ეშმაკი ეშმაკს კიდეც გადახალისებს და კიდეც ნახავს, შენ ეშმაკი ხარ და ეშმაკს ხედავ, მაგასე რა ფიცი გინდა, ან ვინ არ დაგიჯერებს.

უთხრა რუქამ არაკი: ერთი სპარსი ყაჭარი წავიდა ინდოეთს, მივიდა ქიშმირს ქალაქად, სადა დიდ ყაჭართ სპარბელი იყო, მუნ შევიდა, გარდაიარა, და ყოფელს კაცს ზევით დაჯდა, რიდე მოიხადა, გვერდს დაიდვა და ფერხი მუხლთა შემოიდვა. ეგრე ამპარტახანად დაჯდა, რომე მის უდიდე კაცი არ ყოფილიყო. თქვენც გასმიათ ინდოთ სიმდიდრის ამბავი, ერთი კაცი გარედამ იმზერდა, რომ შინაგან შესვლაც არ ღირსებოდა, არა თუ დაჯდომილ იყო, მან კაცმან რა სპარსი ეგრე მჯდომი ნახა, ერთი მოსამსახურე კაცი შეუქენა და აკითხვინა, რადენი ათასის სალაროს პატრონია. რა ჰკითხეს სპარსს, მან კვნესით თქვა, მე სამასი თუმანი მაქვსო. რა ეს ესმა გარე მდებეს, ეგრე თქვა, მე სამასი სახლი ქარვისა. მიდგანან, სხვას დიდებს გარდა, რვა ვერცხლის ბალავარი კართ მიდგია, კაცის უკუსაჯდომად, და მუნ შესვლას არა ვღირს ვარ, მათ პატრონ კაცთ ღოცვა მოვასხენო, და ეგ უმსგავსო შესრულ არს, და ყოველს კაცს ზემორე უზის როგორის ჯდომითა. რა

იგი სპარსი გამოვიდა, ინდო კართა დახვდა და ეგრე უთხრა, შენ აქაურის ვაჭრობის უმეტარი ხარ და თუ შენც გნებავს, რაც სავაჭრო გაქვს, ებოღენსა მე ჩემსა მოგცემ, ერთად ვივაჭროთ, ზიანი და სარგებელი ერთად სწორი იყოს ჩვენთვის. იამა სპარსისა და ნება დართო, სამასი თუმანი სპარსისა, სამასი თუმანი ინდოსი, ინდომ ურჩია, ექვსასი თუმნისა სულ ნიორი და ხახვი იყიდეს, ფუნდრუკები იქირავეს და იქ დააზვიინეს. ინდომ უთხრა, სამს თვეს უკან დაძვირდების და ერთი ათად შეგვექნების. გამოხდა სამი თვე, სრულებით დალზა ამათი სავაჭრო. სპარსმა უთხრა, წახდა ჩვენი მონაგებიო. ინდომ ურჩია, ზიდეს ვალი, მუშა დაიჭირეს, დამჰალი გარდაარჩიეს და სხვა შეინახეს; კიდე უთხრა, დიდად გასარგებლებო. გამოხდა სამი თვე, სრულებით ასე დალზა, ერთი აღარ დარჩა, შექნა სპარსმა ტირილი და ინდოს ბრალობა დაუწყო; ინდომ უთხრა რას ლაებობ, ზიანი და სარგებელი სწორი იყო, შენი და ჩემი სწორად წახდა. იგი სპარსი ეგრე დაგლახაკდა, ჰურის შოვნა არ შეეძლო. მერმე იგი ინდო მივიდა და სპარსი თვითან წაიყვანა, სამასი თუმანი სხვა მისცა, და ეგრე უთხრა, ძმაო, ეს ექვსასი თუმანი, შენმა იქ ჯდომის ჯავრმა დამაკარგვინა. მას ინდოსავით შენის ლეონის ჯავრი ესეთს საქმეს მაქნევინებს, ყოველს კაცს უგვირდეს.

უთხრა ჯუმბურ არაკი: ერთს ადგილს მრავალი თეთრი ყარყატი ბუდობდა. ერთმა კაცმა ერთის ყარყატის კვერცხები და ბატის კვერცხები ბუდეში ჩაუ-

დვა. გამოჩეკა მან ყარყატმან, დასარდა, თავის ბარ-  
ტეები ეგონა, დანიხარდა. მამალი ყარყატი მოვიდა,  
ნახა მისი მსგავსი არ იყო, შეჭყარა მის თემის ყარ-  
ყატი, სულ ეველას უჩვენა, დაიჭირეს ეს უბრალო  
ყარყატი, მოკლეს და ტვინი ამოწოვეს. აწ რა გა-  
წყინა შენ ლეონმა, რა გიყო, თავმან მეფისამან,  
არ უსარჩლი, არც შენი მიჩხევენია, მაგრამ მართალს  
ვიტყვი, შენსა და მას შუა სამტერო არა არის რა. მტე-  
რობა სამთა მართებენ: ერთს მესამზღვრეს, რომ  
სამანს გარდასვლა მოინდომოს; მეორეს სხვის მა-  
მული რომ სხვას ეჭიროს, თუ იგი არ წახდეს, მას  
ვერ იშოებს; მესამე ერთს მეორისაგან სასირცხო  
საქმე სჭირდეს. თქვა რუქამ არა ვფარავ მტერი ვარ  
ლეონისა. თქვა ჯუმბერ, სამთა არა მართებენ მტე-  
რობანი: ერთს ნავში მჯდომს მენავისა, მეორეს  
მინდორს მსახლობელს, მაგართა ადგილთა მსახლო-  
ბელისა, მესამე ნაკადელსა ზედა მსახლობელს, ბო-  
ლოს მსახლობელს, სათავეზე მსახლობელისა. თქვა  
რუქამ, მეუფის ძე ხარ დაგვატკბე. თქვა ჯუმბერ,  
სამთა მართებენ სიტკობანი: ერთს ციხის მოზი-  
რეთა, მეორეს ბევრის განაყოფის ჰატრონისა, მე-  
სამე ლხინთ მსხდომთა. თქვა რუქამ, ცუდად ვაშრობ  
თავსა ჩემსა. თქვა ჯუმბერ, სამნი შეკრებებიან ცუ-  
დად: ერთი ტალა მომშიმარი, მეორე მცდელი ქორო-  
თა მოშრობისა, მესამე მღვვარი ქარისა. თქვა რუ-  
ქამ, ენათ სიმრავლეს იწვრთის. თქვა ჯუმბერ, სამთა  
მართებენ ენათა მრავლობა: ერთსა გლახაკსა უპოარ-  
სა, მეორეს ქადაქ მოარულსა, მესამეს კაცსა მეჩხუ-

ბარსა. თქვა რუქამ, გარდავისხვეწო ხელთაგან შენთა. თქვა ჭუმბურ, სამთა მართებენ გარდასხვეწა: ერთს თემთაგან ჰირად აღებულსა, მეორეს ურჩის ცოლის უფალსა, მესამეს ჰატრონის ორგულსა. თქვა რუქამ ჩემდა სანატრელ არს სიკვდილი. თქვა ჭუმბურ, სამთა ენატრება სიკვდილი: ერთსა ბოროტით სიცოცხლით ცხოვრებულსა, მეორეს სენსა გრძელს და უკურნებელს. მესამეს უეჭველად ედემის მომლოდნესა. თქვა რუქამ, განძება ჩემი გნებაჲს უთუოდ. თქვა ჭუმბურ, სამნი განიძეებისან: ერთი მეზვრე ქურდი უურძნისა, მეორე მკურნალი წამლის უმეცარი, მესამე მსხემი უამებელი. თქვა რუქამ, ვხედავ განგარისხე. თქვა ჭუმბურ, სამნი განგარისხებენ კაცსა: ერთი შვილი ურჩი და უსმინარი, მეორე დიაცი მატინებელი, მესამე მონა ვებედი.

თქვა არაჲი რუქამ: ერთი დიდი ფილასროფოსი იყო, ყოვლის სიბრძნის მქონებული, დაუტყვა სოფელი და განშორებულად უდაბნოში წავიდა, მუნ დადგა და მარტო ილოცევდა. სხვანი ექვსნი ფილასროფოსნი იუგენს, დია ცოდნის მცოდნელნი და მოუვარულნი, სიტყვასა რასამე ზედა შესცილდნენ, ვერა რომელს დაესკვნა. წავიდნენ მის განშორებულისა სახვად, ჰკითხეს და მან დიდხანს ხმა არ გასცა. მერმე კიდევ ჰკითხეს, მან ეგრე უთხრა, თქვენ ყოველი მონაგები ბევრის საუბრის სწავლისათვის წაგიგიათო, და მე ჩემი მონაგები და ეს სოფელი ამაზე დაუტყვე, რომ დადუმებით ვიყო და არ ვიუბნა; მეტი არა რა უთხრა, და სიჩცხვილეულნი წამოვიდნენ

უზასუხონი. მეც თუ თქვენ მოგჩნები, ამ სოფელსა  
არა და მას საუგუნოსაც დაუტოვებ და გავისვენებ.

ჯუმბერ უთხრა არაჲი: ორნი ამხანაგნი ნადი-  
რობდენ, ხევი იყო და ხეგს გაღმა ჩონინებდენ. ერთს  
ამხანაგს დათვი შემოეჭიდა და ქვეშე ჩაიდვა. მეორე  
ამხანაგმა დაუძახა, გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა  
საქმე გვაქვსო; მან დაუძახა, დათვი არ მიშვებს, თო-  
რემ მე წელანვე გაუშვებდიო. შეს არაფის ეშვები და  
არც აწუნარებ, თვარამ შენი საუბარი არაფის იამებს  
და არცა ვის ეხალისება.

უთხრა რუქამ არაჲი: იყო ერთი ობოლი მარ-  
ტვილი, რა მოიზარდა, დედას ჰკითხა, დედავ, ყო-  
ველს კაცს მამა უვის, მე რად არა მყავს; დედამ უთ-  
ხრა, შვილო, შენც გყვანდა, მაგრამ წყალმა დაარხო.  
შვილმა უთხრა, მას წყალზე ხიდი არ იდგაო, მას ზედა  
გასულ იყო. დედამ უთხრა, იდვა, მაგრამ შორს იყო.  
რომ აქამდი ევლო, ვერ მოუვლიდაო; დედას გაეცი-  
ნა და ეგრე უთხრა, თუ მაგთენი გაქისინჯა, არც კი  
დაირჩობოდა. ეს არაჲი ამასზე მოგახსენე, თუ აგრე  
სიტყვის მსინჯავი ხარ, მოუწონებულს კაცს რად  
ეუბნები და აქამდი ვერ მოიგონე უზარობა. ალაღო  
ლეონ თვისი ბრძნად მოუბარი ჰირი და ტკბილად  
მოლაპარაკე ენა, უთხრა, ჯუმბერ ძეო მეფისაო, მარ-  
ტვილი ხარ, და სიტყვის გზას ექებ, და მეტის ნდო-  
ვით უფრო ჰკარგავ, როგორც იმ მეფეს დაეკარგა,  
რასაც ექებდა. მეფემ ჰკითხა, როგორაო.

თქვა ლეონარაჲი: ერთი მეფე იყო ღინგარუთას და  
ამის ცდაში იყო, რომ თავის სამეფოში ოქროს ქი-



მია ეპოვნა და ან მისი მცოდნე ოსტატი ეპოვნა. მას ქალაქში ერთი მჭედელი იყო, ერთი ცუელი შექმნა, გაუიდა. წავიდა რომელმანც ცუელი იუიდა, შეშას კოდა დაუწყო, ცუელი ერთს ქვას მოხვდა და პირი წაუხდინა. თურმე ის ქვა ქიმიას იყო, რასაც რკინას მოხვდება ოქროდ აქცევს. დახედა ცუელსა, გაუვითლებული იყო და პირი წახდომოდა, იწყინა ამ კაცმა, მამატუჟა მჭედელმა და სინის ცუელი მომეიდაო; მოვიდა, მჭედელს ეშულა, მჭედელი ჭკვიანს კაცი იყო, ჭკითხა, პირი რამ წაუხდინაო, რას შემოჭკარო. წაიყვანა იმ კაცმა, იგი ჯირკი აჩვენა, ამას ვსჭრიდი და ამ ქვას მოხვდაო, ფასი ისევ გამოართვა და ცუელი მას მისცა და წავიდა. ამ მჭედელმან იგი ქვა წაიღო, რასაც რკინას წაუხვდა, სულ ოქროდ იქცა, გამდიდრდა მჭედელი, რომ რიცხვი არ იცოდა, რა ჭქონდა. მეფემან თქვა, ამ მჭედელს ღმერთი სწყალობს, მრავალი აქვს, ამის ქალს ჩემის შვილისათვის ვითხოვ. ითხოვა ქალი, ქორწილი უყო, მჭედელმა ასე თქვა, ამის უფრო უნხო და უკეთესი ზითევი რა გავატანო, ამ ქვას გავატანო, დაბეჭდა ქვა და გაატანა სხვა არა რა ზითევი. მეფის ჩარდახი ზღვაზე კიდებული იყო, მუნ ჯდა, თქვა, ჩემის რძლის ზითევი მიჩვენეთო, ვინახო, რა მოჭყოლია. მოიტანეს და მოართვეს, ამის მეტი არა მოჭყოლია რაო. განსნა მეფემ, ერთი სიპი ქვა იღვა, იწყინა, ამიტომ ვითხოვე გლეხის ქალი, მრავალი ჭქონდა, ბევრი ზითევი გამოეტანებინაო, და იგი ზღვაში გადააგდო. მოვიდა მჭედელი და ყოველივე მოახსენა, დაუწყეს ძებნა, სადღა იპოვნიდენ.

რა გულისხმობს უნდობა, იაფად იშოვნა და ადვილად, და  
გაუსინჯავად დაკარგა. თუ სიბრძნეს ეძებ, მაგასთან  
ენას ნუ იშრობ; თუ სწავლა გინდა, აჭა სედრჩაჟ ვუ-  
ჩიერი მამისა შენისა, რომლისა მსგავსი არა არს ეო-  
ველსა ქვეყანასა ზედა; თუ მეფეთ წესსა იწვრთი,  
აჭა მეფეთ მეფე მამა შენი, რომლისა მსგავსი არა  
შობილა, და თუმცა ამბავი გინდა ჩემოდენი ჭირი  
და ლხინი, უცხო თემში საკვირველი საქმე არა ვის  
უნახავს. რად ეუბნები ესეთს უგუნურს, უგობლს,  
უგვანს, კაცთა არა სახესა, რა მოგწონს მაგასა შინა,  
თუმცა სიყვარულით ეუბნები, ნუთუ სიძულელით ელა-  
პარაკები, რად არ მოეშვები. უბრძანა მეფემან ლეონს,  
მართლეს იტყვი, უწინვე მენება მე კითხვა ამისა  
შენისა, სადაური ხარ, ანუ ვისი ძე. ანუ როგორ წა-  
მოხველ, ანუ გზათ რა ხახე, ყველაჟა მითხარ. მოა-  
ხსენა ლეონ, ჩემი შობით და მამა დედათ უცხოზე-  
ლობა უწინვე ვჭკადრე შეუობასა თქვენსა და, რა აქეთ  
წამოველ, სოფელსა ერთსა მიველ. ხუთნი ამხანაგნი  
სხდეს, ლალობდენ, მიწვიეს მეცა, დამსვეს მათ თანა  
თავთ პარსვა მოუნდათ. მას სოფელს ერთი უმეცარი  
დალაქი თურმე იყო, კარგა ცოდნა იქმა და მოვიდა  
დაუწყო ერთს თავს პარსვა, თურმე დიად შეაჭირვა,  
მიღმა აქლემი ღრიალებდა, მან კაცმან თქვა, მას აქ-  
ლემსაც თავს ჭპარსვენ და მისთვის ასე მწარედ ყვი-  
რის, ჩვენ ვიცინეთ და სხვასაც მოვაპარსვინეთ. იგი  
მეორე რომ დიდად შეაწუხა, ამოიღო ხუთი ბისტი,  
მისცა და უთხრა, ვიცი, ცოცხალი ვერ გარდაგრჩები,  
შენი ხელაფასი არ შემჩქეს, მას სოფელს ვაწად არ

დამედვასო, მოვალე არ შევიქნა შენით. მესამეს და-  
უწყო ვარსვს: მოჭკორტნა თავი და სისხლის მდინა.  
რეს ბანბა დააკრა, სხვაგან მოკორტნა, დააკრა ბანბა;  
ბარე ათამდი დაკორტნა და ბანბა დააკრა. რა ნახე-  
ვარი მოჭპარსა, ნახევარი აღარ მოაპარსვინა და ეგრე  
უთხრა, ნახევარი ბანბა დაგიტესია, ნახევარი იუოს,  
ეს ხესვად მინდა დავაიქსინო. ვიცინოდით და ერთ-  
მანერთ ამბავს ვჭკითხევდით. მეოთხეს ვარსვს დაუ-  
წყო, რომ შესჭირდა, მე ვჭკითხე, რამდენი ძმანი  
ხართ მეთქი. მან ეგრე მითხრა: თუ ამ კაცს მოვრჩი  
ექვნი ძმანი ვართო, თუ არა და ხუთნი დარჩებიანო.  
მეხუთეს დაკორტნა ბევრგან და ბანბა დააკრა; რა გაა-  
თავა ორი ფული მისცა. იგი დალაქი თურმე სიტყვა-  
წყლიანი იყო და ეგრე უთხრა, შენ თავზე ხუთი ბი-  
სტის ბანბა დამეხარჯა და ორს ფულს მძღეო. ვი-  
ცინოდით და, რომელიც უარს იტყოდა, ძალათ მო-  
ვაპარსვინით ხოლმე თავი. რა მე დამიწყო ვარსვს,  
ღია შევსჭირდი, მაგრამ თავს არ დაფიტეკე, რა გაა-  
თავა ფასი მივეც და მალლად უთხარ, ასემც მამა დე-  
და შენთ სული განისვენების, ვით მე განვისვენე მე-  
თქი. ჩემს ამხანაგთ გამკიცსეს, ხმელი ვიჩის ტყა-  
ვიც ღრიალ დაიწყებდაო და შენ რა დიდად მადლს  
ეუბნებო. მე ეგრე უპასუხე, უარი მეთქვა, არ მამე-  
შვებოდით, და იგი კაცი დავიმადლე, და მამა დედა  
დაუწყევლე. მათ მკითხეს, ვითაო; მე ეგრე უთხარ,  
მე რომე მისგან ვარსვით განვისვენე, თუც მისნი  
მშობელთ სულნი ეგრე განისვენებს, ჯოჯოხეთში  
რა უარეს ტანჯვაში იქნების მეთქი. ვსვით ღვინო

და განვისვენეთ. წამოველ მუნით და მოველ ქალაქსა  
იტალიისსა. მნახა მხატვარმა, გვაწვია, ერთს სარ-  
კმელში ერთი საწერელი გაშლილი, რომ კალამი შიგ  
იდვას, მის მსგავსად. კაცს ეგრე ეგონებოდა, გა-  
შლილი საწერელი ძვესო. ერთი სხვა დიად კარგი მხა-  
ტვარი იყო. ხელოვნების მჩემებელი, მას უთხრა მას-  
პინძელმა, ადგე, ძმაო, ეგ საწერელი მომეტო და  
მერმე მე გემსახუროო. ზე ადგა იგი მხატვარი, სა-  
წერელი ეგონა, რა ხელი მიჭყო, კედელი იყო, მე-  
ტად შერცხვინდა, ჩვენ გაბვიტინა. მეორეზე მან გვა-  
წვივა, იმა უწინდელს მასპინძელს საწერლის საქმე  
დავიწყებოდა და ამას კედელზე ერთი გაღებული კარი  
გამოესახა, ეგრე ეგონებოდა, შესავალი სახლის კა-  
რიაო. ღვინოს ვსვემდით და ერთს სიტყვაზე შეიტყუ-  
ნენ. მასპინძელმა საწერლის მხატვარს უთხრა, ნუ  
სცილობთ, ჩემ წიგნში მართალი სწერიაო. მან ჭკბი-  
თხა, იგი წიგნი სად არისო. მასპინძელმა კარი აჩვენ-  
ნა, მას სახლში ძვესო, გამოიღე და ნახეო. ადგა სწრა-  
ფით, შესულას ღამოდა, და კედელს თავი შეატაკა და  
გაიტეხა. მასპინძელმა უპასუხა, ავად გიმასპინძლე,  
მაგრამ, მისთანას საწერელის ხატვას, მაგისტანას  
სახლში ისწავლიან. ვსვით და განვისვენეთ. სხვამან  
გვაწვია მხატვარმან, ჩვენ დაგვისხა, და სადა ჩვენ ვსხუ-  
დით, იქ გვერდით სხვა სახლი ედგა, მას შიგ ერთი  
რკინის აუზი გაკეთებინა, მნახავს მდგარი წყალი  
ეგონებოდა თვითო თვითო მხატვარი მოიწვივის,  
მისცის ჭიქა, უთხრის, ძმაო. შევედ მანდ წყალი დგას,  
ამოიღე და გამოიტანეო. შევიდიან, წყალი ეგონისთ,

ატაკიან ჭიქა, გატეხიან, და სხვის გზით გაიპარინან, და სირცხვილუფლნი წარვიდიან. ერთი ბრძენი მხატვარი იყო, რა იგი აწვია, ჭიქა მისცა და შეტანა, აგრძობა წრივი რამე არისო, ხელი მიჭყო, რკინა იყო. სამხატვრო საწერელი მუხ მზა იდგა, მას რკინაზე ერთი ძაღლის მძოვრი გამოხატა, რომე შიგ ჩავარდნილს ჭგვანდა, გამოვიდა და უთხრა, ვიღასაც ძაღლის მძოვრი ჩაუგდია, იგი აღარ იხმარების და აღარ ავაფსეო. შევედით, ვნახეთ; გვიამა, ღვინო ვსვით და მამეწონა მათი ხელოვნება. სვამან გავწვია, მეორის ამხანაგის ცოლი თურმე ენახა და მისი სახე გამოეცხა, სრულად მას ამსგაკსა ჩვენ დავსხედით მას სახეს თანა, მერმე იგი კაცი აწვია, შემოვიდა, ნახა ჩვენში მჯდომი, კაცი იგი ფიცხელ იყო, მას მართლა თაფის ცოლი ეგონა, მეტის ჯავრისგან ველარა გაიგო რა, მოვიდა ცემა ენება, რა მჯიღვი შეჭმოკრა კედელი დახვდა. მრავალი ვიცინეთ და ესრეთ დავლიეთ თვე იგი მუხ.

წამოვიქცე მუხით, მოგხდი კაცთა ვისმე სამთა, მინდვრად სხდეს, მებოძირთა გზათა თანა იგინიცა მას დღესა შეყრილ იუფენ ძმად, ტიროდენ და ცოლები აგინებდენ. მიველ, ვკითხე, რა წაგვიდებიათ მეთქი; მითხრეს, ცხენით გარდმოხედ, დაჯედ და გეტყვითო. ერთმა ოქვა: ერთი ძმა მუყანდა საყვარელი, მოწილი ჩემი და ნება გულისა ჩემისა, მისი ცოლი ჩემს ცოლს სიმწყაზრით სჯობდა. ამასუდ გაგლისპდა, დაეიტერა, რად იგი უკეთესიაო, გარდაუკვიდა, ან რძალი შენს ძმას გააშვებინე და ანუ ძმას

გაეყარეო. მან ჩემს ძმამ ცოლი არ გაუშვა, მე გავყარე და აწ საგლახაკოდ დავიარები. მეორემ თქვა: ოთხნი ძმანი ვიყვენით ცოლიანები, შემომადგა ცოლი ჩემი და ეგრე მეტყუდა, თუმცა შენ ძმათ გაეყრები, ესეთი დიაცი ვარ, ჰურს ჰურით გაჭმეო, დღე და ღამე არ მამსვენსა. რა ძმას გავეყარე, უთხარ, ჰურის ჰურით ჭამა რა არის, მაჭამე მეთქი. შექმნა კორკოტი და წინ დამიდგა, ჰური ხელთ მომცა, აჭა ჰური და ჰურით ჭამეო, ჯალახნი მძულდნენ და გავეყარეო. მესამემ თქვა: რვანი ძმანი ვიყავით, შემომადგა ცოლი, თუმცა შენ ძმათ გაეყრები, ასე გაგადიდებ, წაჟე უკუჟექის ცეცხლს აგინთებ. დონე ვედარ დავიდეგ, გავეყარე ძმათა, ზამთარი იყო, დამსვა და აანთო ცეცხლი; მომიტანის ჩაღა, დააყარის, რა აენტის, უკან უკუგჯდით, რა შემცივდის და წინ წამოგჯდი, ეგრე მიყვის. ვჭკითხე, რა არის ეს მეთქი. მან მითხრა, ძოდან დაგჰირდი, წაჟე უკუჟექის ცეცხლს აგინთებ და ეს არის. და ახლა ვაუბით ვიარები. მითხრეს, შენც შენი ცოლის და ძმის ამბავი თქვიო. მე ეგრე უთხარ, არც ერთი არა მყავს მეთქი. მათ მაგინეს და გამამაძეს, მაშ ჩვენი აუგი რათ მოიხმინეო. წამოველ მუნით, მოველ ქალაქსა მუყამისასა. მუნ მნახა მკურნალმა, რომელ ყოველთა აქიმთ მთავარი იყო, გამასვენა, მალხინა, აწვია ყოველნი აქიმნი და უთხრა, რომელთ უფროსად ძნელი სამკურნალო საქმე გენახოსთ, ანუ გექნასთ, სტუმარსა ჩემსა მოახსენეთ, თუმცა იამოს.

თქვა ჰირველმა: კაცი ერთი ომში დამწყვდეოდა;

თავის ჭკმა სრულებით დამსხვრეული ჭქონდა, იგი ძვალი აღარ მოკბმოდა, სრულებით ძვალი გამოვიდოდა და ძვალის წილ სპილენძი ჩაუგდო. შედუღდა და მან კაცმან ბევრი იცოცხლა.

თქვა მეორემ: ბიძა ჩემი დია სახელოვანი მკურნალი იყო, მაღლა დერეფანთა ვადა და მისი სახლის ძირი ფოლორცი იყო. ერთმა ჭაბუკმა ქვე ცხენით გაიბინა, აქიმმა ზე გარდაიხედა და კაცი მისწივა, და აგრე შეუთვალა, მკლავი გაიხსენ, თვარამ სისხლი მოგაკვდინებო. მან ჭაბუკმან მოციქულს აგინა და აქიმი განკიცხა, შინ მივიდა, სისხლი შემოექნა და სიკვდილს მიახლოვდა. რა ბიძა ჩემმა იდროვა, მივიდა, ტირილი იყო, შევიდა, მტირალნი გამოასხა, ორნივ მკლავნი დაუხსნა და მრავალი სისხლი ადინა, მორჩა კაცი იგი და უქებდნენ სიბრძნესა და ცოდნასა მიერიოგან.

თქვა მესამემ: მეზობელი ჩემი ხელმარჯვე დასტაქარი იყო. მეზობელმან ჩემმან აწვია, დაიწო ასე, რომე ძვალი სრულებით დაიქოქვა, აღარ შეერთდებოდა, ზორცი გაუჭრა. ძვლები გამოუღო, და წვივად ვირის წვივი ჩაუგდო, წამლები აყარა, და შეადულა, და მოარჩინა.

თქვა მეოთხემ: ჩემი გამწვრთხელი დიდი ექიმი იყო. ყოვლის სენის მკურნალი, და თვით დასნეულდა დიდათ. მოვიდნენ მრავალნი მკურნალნი, და რომელიმე შევიდის საწამლოდ, და მან სნეულმან ერთი თითი აუშვირის, იგი აქიმნი ვერას მისვდიან, და აღარ აწამლებინებდის. გამოხდა მრავალი დღენი და

ეს ამბავი გაითქვა ყოველგან. ერთი სხვა მკურნალი მოვიდა და ნახა, მან სწეულმან რომ ერთი თითი აუშვირა, მისრულმან ორი თითი აჩვენა, იამა სწეულს, მოიხმო და მან აჩვენა, უწამლა, და მორჩა. მე ვჭკითხე, რად სხვათ არ აწამლებინე მეთქი. მან ბრძანა, ვგელა გამოვსცადე და სიბრძნე არც ერთს არჭკონდა, და უმეტარი აქიმი სამსალის მშობელია. ვჭკითხე, თითის ჩვენება რა იყო მეთქი. მან მითხრა, მე ერთის თითის ჩვენებით ამას ვეტყუადი, თუმცა ასი კაცია არ გაგოტყავებია, სრული აქიმი არა ხარ მეთქი. სხვათ ვერ შეიგნეს, რა მან ორი თითი მაჩვენა, ორასი გამოიტყავებიაო, და იგი ამისი ცოდნა მიამა და მით მოურჩი. რა სწეულის გულს, რომ დიდათ იამოს, იგი მორჩეს უსატილოდ.

თქვა მეხუთემ: ბასრელს შეიქცა, საჭმლის ჭამაში, ყელთა ძვალი დაეხირა, ვერა მკურნალმა ვერ არგო. წაიყვანეს ჰაჰა ჩემი, მივიდა და ნახა ყოველი ყოფილი, და შეიგნა. მერმე ჭკითხა, შვილი გივისო. მევემ უბრძანა, ერთი ძე მივის ვიდრე ცხრის წლისა და მსგავსი მზისა არის. აქიმმა მოახსენა, თუმცა მას დამაკვლევიანებ და მის ღვიძლსა სჭამ, მორჩე, თვა-რამ სხვა ღონე არ არის მორჩენისა შენისაო. მევემ შორს დაიჭირა, და მან იგივე უთხრა. რა ღონე აღარ იყო, ვეზირთაც ურჩიეს, თუ შენ მოჭკვდე, მტერნი შენნი შენს ძესაც მოჭკვლენ და სამეფოსაც ააოხრებენ, და შენ თუ მორჩები, სხვა ძე გეყოლება: გამოიყვანა ძე მევემან, მუხლთ დაისვა, და აკოცებდა და უთხრა, შვილო, ესე მეტყვიან, ძე შენი დაკალ,



და შისი ღვიძლი ჭამე, და მოარხებიო. შეიღმა ეგრე მოახსენა. თუმცა შენ გარგებს, ჩემი თავი შენსამც ჭირს ენაცვლებს, აჭა დამკალ. მამა შობს და შეილი მამას ველარაო. შისცეს აქიმს დასაკლავად, მან აქიმ-მან ეგრე თქვა. ერთი ზარდაგი გაშიბით, შეიქმ თავისი შეილის დაკვლას არ უშინდროსო. იარდაგს იმიერ ერთი თხა მოაყვანინა, რა თხას ეკლსე დახა დააჭირეს, დიდად დაიბლავდა, მეტეს შეილის ხმა ეკონა, გული დაქვა. ესეთი დაიყვირა, ვაი შეილოო, რომ ძვალი გასტყორცა. გაშლიჭრა, ხახა, შეილი ცოცხალი იყო. აქიმს უთხრა, ეს რა მიყაო. მან ეგრე მოახსენა, თუმცა ეს ხრიკი არ შექნა, შენ თხისათვის ეგეთ არ დაიძახებდი, რომ ძვალი გამოგლეჯილ იყო და შეიქე იგი მოარხა.

თქვა მექქესემ: ჩემს უხუცესს ძმასთან მოვიდა ერთი სხეული. ყოველთა აქიმთა უგვირდა მისი სენი ჩემმა ძმამ ჭკვეა სხვათა. ამ კაცის გვამთა შინა ვინა დაქცეული ახია, თვით არ გამოერწყვის, და შამარი არ მისწვთებს. და წამალი არ დაუდებს, რა უფრო მათ რგების ღირსე ვერა თქვეს რა. მან სუთი წურბელა მოასხმევინა და ჩაახთქა, კაცი იგი მკვდარს დაემსგავსა, თურმე წურბელი ბმოს მოკვიდა და დახეთქა. რა იდროფა ერთი წამალი ჩაასხა წურბელიც ჩამოაკლა და შრავალი სისხლი და ბეული კდინა და მოარხა.

თქვა მეშვიდეშ: ქარიმ შაქს ძე დია დასსეულდა მისთვის შრავალნი შეურხალნი შეკრბეს დავერს არგეს რა. აბდულ ჩიფარ წაიყვანეს. ბეგრი რამ უწამლა და

ღონე ვერ დაუღვა. მერმე მის ყრმის და მამა დედის მისისა სსსე გასინჯა, მათში ეჭვი რაჟე ჩაიგდო, სსხესა სსხის მსგავსი შერევადა. გამოიხმო იღუმაღ დედა მის ყრმისა, და უთხრა: თუმცა ძისა შენისა სიცოცხლე გინებს, მიიხარ ვისგან გვიგის, ეს შაის ძე არ არის, შე ვსცანო. შირველად ბევრი უარით უფიცა, მადრამ რა ღონე აღარ იყო, გაუმხილა და უთხრა: ქმარი ესე ჩემი უშვილო იყო, და ნათესავი არა ჰყვებოვდრი, სხვასა რხებოდა ამის საშეგო, ერთი მუწისქვილე შევიყვარე და მისგან არისოჲ აქიმმა რა ყველა შეიგნო, მამა დედას აღარ ასვენა, სსგებელი გამოაცალა და მცირე ხალა დაუფინა, მასე დაწვინა, წამალი აღარ უყო. თუ რამ ითხოვის საჭმლად, აკინის, და მცირედი ხშიადი მისცის. თურმე მამის აგებულემა ჰქონდა, და ძვირისასი წამალი არ იშვინა, და მით მოარხა, და მამას მთელი მიჰგვარა.

თქვა მერვემ: სიძე ჩემი ერთის მოხუცებულის მეგობარი კაცი იყო, და უყვარდათ ერთმანერთი. სიძე ჩემი სოფლად წავიდა სააქიმოდ, და ვირემ მოვიდოდა, კაცი იგი მოკვდა. რა დათლეს, მას დღეს მოვიდა აქიმი. რა მას კაცის სიკვდილი სცნა, მრავალი იტირა და მერმე იკითხა, რის სენით მოკვდაო; ამით ყოველივე უთხრეს. მალეით წავიდა, ერთი ბაროსანი კაცი წაიყვანა, საფლავი მოთხარა, კაცი ამოიღო. თურმე საგათა შეჰქონდა და ცოცხალი დაეფლათ, მის სენის უფალი მკვდარს ემსგავსება, და ვერ ეცნათ. აქიმმა ეს კაცი განაცრცვა და სადაც ძარღვი ჰქონდა, ყველა შაშრით დახვლიტა, საფლავი

ეგრევე გააკეთა, როგორც იყო. კაცი შინ წაიღო, მრავალი სისხლი აღინა, უწამლა და მოაჩინა, და დამალა მისაგ სხლს შიგან. შვილი მისი კაცისა სწუნდა და რამდენჯერ აღაზი ქნის, აქიმიც აწვივის. აქიმი აღარ ტიროდის, მხიარულად იყვის, უკვირდა მას კაცს, იტყოდა, ესე და მამა ჩემი მოუფარულნი იყვნეს, აწ მისი სიკვდილი რად უხარისო. მან ორმოცისა და წლისა აღაზი გაათავა, აქიმმა უთხრა მას კაცსა, შე სიზმარი ვნახე, მამა შენი საფლავიდან გაიზარაო. მან კაცმან არ დაიჯერა, წავიდნენ, მოთხარეს, ნახეს, საფლავში აღარ იყო. დაიწყო ტირილი და მწუხარება, აქიმმა შინ წაიყვანა, და ეტყოდა, მკვდარი რადს ტარებეს, საფლავში თუნდა იყოს, თუნდა სუ იქნება, რა სარგებელი აქვს. კაცი იგი უფროსად ტიროდა, მეტე შეიყვანა შინ და უჩვენა მამა მისი, აჰა ესეთი აქიმი ვარ. რა ნახა დიდი სიხარული შეექნა.

თქვა მეტცემ: მეზობელი ჩემი დასრეულდა, ყოველი მონაგები მკურნალსე წააგო, და ჟერა ვინ ჰკურნა. ესმა, შირაზის ქალაქის ერთი აქიმი არისო, რა სნეულს ნახავს, სცნობსო, თუცა სსიცოცხლთა, წამლის ნუსხას მისცემს, ეს იწამლეო, და თუ იწამლავს, უეჭველად მოჩიებაო, და თუმცა სსიკვდილთა, პირს მოაჩილებს და არას ეტყვისო. რა ეს ამბავი ესმა, წავიდა სნეული იგი, ერთი მონა წაიყვანა და მივიდა. რა მან აქიმმან ნახა, ფიცხლავ პირი მიიმრუდა და არა უთხრა რა. სნეული იგი უღონო შეიქნა, გამოვიდა და მონასა თვისისა უთხრა, შენვე იცი რამდენი ვეცადე და ვეღარ მოვჩინე, მოკვდავი ვარ, წადი

მასწონი მიყიდე, გული მითქვამს, ვსჯამ, მოვჭკვდე, ერთს წალკატს შოვან დამიყალ. გარდასვა, მიაწვინა, მოუტანა მასწონი, აჭამა და სრულად ვერ შეჭამა, და გადანარჩომი მიაბარა, მიღმართ ხის ძირთ დადგა. მონა ფხიზლობდა და სნეულს ეძინა, მოვიდა ერთი ასპიტის ამოანთხია, და ჯამშიგავ ჩასხსა, და წავიდა. მონა იგი პატრონის სნეულებით აბეზარ ქმნილი იყო, თუმცა ჭამოს მოკვდეს და თავის უფალ ვიქმნათ. რა გაეღვიძა, მასწონი მოითხოვა, სულ ასე შეჭამა, ჭურჭელიც მოლოკა, დაწვა და დაიძინა, დაასხა ოფლმან და განიკურნა; გაეღვიძა, გამრთელებული ადგა, აღარა სჭირდა რა. უოხრა მონას, წავიდეთ აქიმი იგი გავიკითხოთ, სიკვდილი ჩემი ეგონა და უწამლად მოფრჩია. რა აქიმთან შევიდნენ, აქიმმა დაასწრო, აზინა და ეგრე უთხრა, ვინ მოგცა, ასპიტის ნათხევი გიჭამია და მით მოჩხომილ ხარო. მან კაცმა ეგრე უთხრა, რას მიჭქარავ, უმეტარ ხარ და ვერა სცანო. ამა ზედან შესტილდნენ, მონა იგი წარმოადგა კროთ-მით და უოველი უამბო. მეჩმე მან აქიმმა ეგრე უთხრა, მასწონე ვსცან, შენ ასპიტის ნათხევი განკურნევიდა, მაგრამ რა მეჭნა, ძმაო, შეპყრობა არ ძალმედევა, თუნდა შემეპყრა როგორ ვანთხევიებოდი, აწ დმერთს წყალობად შენთვის მოუკლებია და მოჩხომილ ხარ.

თქვა მეათემ: ჩემმა მასწონიქელმა მე წამიყვანა ქურთისტანს. დედა მიმი თავად ხნიანი დიაცი და მეჩმე ესე თქვეს, ოცი წელიწადია ასრე არისო და ვერა აქიმმან ვერა უწამლა რაო. მიველ ვნახე, უსუ-

სურდა იყო, დამჭლობილ იყო და ღონე არა ჰქონდა, ხორცი დაეყარა, თუნი წასლოდა, საჭმელს ვერ იხელებდა, სვლისაგან დაფრდომილ იყო, სიტყვა დამძიმებოდა, მაგრამ ცნობა კიდევ კარგი ჰქონდა. გავსინჯე, დიდი ზრუნვა შემექმნა. რა მრავალი გულისთქმა შევჰქენ, მის სენის თაფი შევიგენ, ღვიძლსედ სოკო დასხმოდა და მას გაეხდა. გამიჭირდა, დაფრდომილი, უთხარ ამას ასეთი სენი სჭირან, რომ ხნინიც არ იყოს, ძნელი მოსარჩენია, მაგრამ ჩემს ოსტატობას ვსცდი მეთქი და მადლი ღმერთსა მეთქი. მათცა ნება დამირთეს. ახანოს გარს სრულებით ნაბადი მოვაკარ, და კიდევ შიგნიდამ ოვარდაგი, რომ ნათავი არ შემოსულ იყო და ორთქლი დამდგარ იყო. შევიყვანე, საძილო წამალი ვასვი, დაფაწვიე და დაფაძინე; მუცელი გავუბე. შიგანი გამოუშალე, საცა ღვიძლსე ან გვამში სოკო ება, ამოვსთალე, წამალი დაფსცე, ზეთები დაფასხი, შიგანი შიგავ შეუკრიბე მის ადგილს დაფაწვიე, მუცელი გაუკერე, მაგრად შეუკარ, რა გაეღვიძა წამალი შეუწვიე, გაფათელე, მოარჩა. გასუქდა, გაკეთდა, დიდად მიქებდენ ხელოვნებასა, და მაქებდენ ყოველნი. რაც ხანი მუნ დაფაწვიე, მადსინეს, გამასვიეს, და კარგის ამბებით შემაქციეს. წამოველ მუნითგან, მოველ ადგილსა ერთსა მინდვრინსა და ცხელსა. რა იგი გაფელე, ვნახე ჩაღმართი დიდი, და მუნ კაცი ერთი ჩაღმართ ჩაფიდის, აიკიდის ღოღი მრგვალი, ამოფიდის აღმართ, დააგორის, ჩაღმართ კიდევ ჩაფიდის, აიკიდის, ამოიტანის და დააგორის; ამოიტანაში ხენეშოდის და რა დააგორა

რის, დიდად იცინოდის. მე ვჭკითხე, ძმაო, რად იჭირ-  
ვი, ანუ რად იცინი მეოქი, მან მითხრა. მე ამ ერ-  
თის ქვეთ ჭირსაც ვნახავ და ლხინსაც, ერთი ცოტა  
ქვა მაქვს და ჭირი და ლხინი ორივე დიდი, და მრ-  
ავალს კაცსათასი ამდენი ოქრო აქვს და ცუდად უცან,  
მით ვერც ჭირს ნახვენ და ვერც ლხინსა. მომეწონს  
მისგან, ცოტა ცუდი სიტუვა დიდად კარგა მითხრა.  
მას გამოვეყარე, მიველ ერთს წყაროზე, ორნი კაც-  
ნი წყალს სმიდენ, რა მნახეს ჩემი ნახვა იამათ. და-  
სხდეს ჭამად, ორი ჰურის მეტი არა ჭქონდათ რა,  
მეც დამსვენს, ერთი ჰური ერთმა დაიდვა, მეორე მეო-  
რემ, მე არა მქონდა. ნახევარი ერთმა მომიტეხა და  
ნახევარი მეორემ, ჩემი თურმე მეტი შეიქმნა, რა  
შევისჭამეთ მათ არა ეყო, გამიჩისხდენ, გვაცდუნაო,  
ერთი ჰური ორთავ ვსჭამეთო, და ერთი მარტო ამან  
შეჭამაო. ორნი ერთს როგორ არ მომეყოდნენ,  
შემიპურეს, დამაბეს, ორთავ ას ასი არგანი მკრეს,  
ჩემი მშველელი კაცი ვინ გამოჩნდებოდა. ხან ვედრე-  
ბას ვეტყოდი, ხან სხვას, მაგრამ არ გამიკითხეს. მე  
უთხარ, ვისაც ეწვივნეთ, მასცა თქვენთვის აქნევი-  
ნოს მეოქი, დამაგდეს მუნ დაბმული და სწრაფით  
წავიდნენ. მოვიდა ვინმე კაცი ერთი მოწყალე, მკი-  
თხა ჩემი ამბავი, მე ყოველივე მოვასხენე. მან მი-  
თხრა, ძმაო, ხუთს სწავლას გასწავლი, და გამცნებ  
და დაიმარხე. უმეტარს კაცს გულისთ ნუ მიენდობი,  
შემემცნების უსუსურად ნუ ეჩვენები, ყოველს ჟამს  
ფრთხილად იყავ, შენი სახლიც იყოს, მშვიერს სტუმ-  
რად ნუ ეწვევი, გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა. მე

დიდად დაუმაღლე, ამხსნა და ესრე მითხრა, იმ კაცთ  
ბევრი სხვა მოუცტუნებიათო, სავსალი მომცა და  
თვით წავიდა, მე რაღა დავდებოდი. წამოველ მუ-  
ნით, დამხვდა ზღვა, შავჯეკ ნაფად, ამიდგა ქარი, ხო  
მალდი დაამსხვრია, ეოველნი მონაგებითურთ დან-  
თქნენ, მე ერთს ფიცარს შევრჩი მარტო შვიდი დღე  
და ღამე, მეჩვენს დღეს ტალღამ კიდურად გამაგდო.  
ავდებ მამრალი, ზღვის დელფისკან დახლილი, ვი-  
რე, მცირე მთა იყო, გარდავსდე უამი სამთრისა  
იყო, დიდი თოვლი იდგა, ვიდრე მუხლთამდე. მი-  
ვედ ერთ კერძ, თუმცა შენობა ვჭზოფო მნებაკს ჭამა  
ჰურისა, ვნახე ჭაბუკი ერთი. მომავალი, ხოვანი,  
მშვენიერი, მხნე, მწყასხარი, თხელი ტილოს ნიფხავ-  
ჰერანგი ეცვა, სხვა არა რა, თავაშიშველი, ფეხთ-  
უცმელი, დაეკარწახნა, ჰერანგზე ოქროს სარტყელი  
ერთეა, ორი ისარი გაეჰურო, მშვილდი ხელთ ჭქონ-  
და. მოვიდა, მნახა, უცხოს თემისად მიცნა, ამბავი  
მკითხა, მოვასხენე. მან მითხრა, მე ჯაზი გურგენ  
მჭვიან, ამ ჩემს ქაშანს მიჭყეე, სოფლად მიხვალ, ჩე-  
მაგიერ მათ კაცთ უთხარ, ვიდრე მოვიდე, კაცი ესე  
მოიმარტებულეთქო, და წავიდა თვით გზასა. მე  
მიჭყეეე კვალსა მისსა, მოველ, ქალაქი იყო დიდი და  
კარგი, რა მისი სახელი ვახსენე, მომეკებნენ, ესრეთ  
დამიჭირეს, ვითამ მათი ჰატრონი ვეოფილ-იყავ,  
კარგა დამხვდენ, გამათბეს, მალხინეს, გამანებიერეს.  
სალამოს მოვიდა ჯაზი გურგენ, ერთი ირემი მოუ-  
კლა, ზურგთ კვიდა, კართ დააგდო, შევიდა შინ, სა-  
საღუქო შეიმოსა და გამოვიდა, დიდად ჰატროსანნი

კაცი იყო. გვერდ დამიჯდა, ორი მსგევესი გამასვენა, მერმე მითხრა, მომეყვ ჩემს სახლს და რიგს ყველას გაჩვენებო. ავდექ, მივჭყევე. ბევრი რიგი სახლი დამატარა, ყოველი სამოსელო გაწეობილი, და შემეყვანა ერთს ღერეთანს, შუა დიდი აუზი იყო, ცივი წყალი დგას და ეინული ეყარა, და შიგ სამისა და ორის თვის, და წლისა, და ორის წლისა და სამის წლისა მარტვილები ისხდეს, ზოგი დაფიდოდა, ზოგი იწკა. გამოვიდა და ვჭკითხე, ურმანი ესე არ მოსწყდებიან მეთქი; მან ეგრე მითხრა, სიკვდილი ღვთის ხელთ არის, თუცა მოკვდებიან, ახანოც შიგაც მოკვდებიან, ჩვენი აგებულობა ესრეთ მამა ჰამათ უჩვევია, და ესე ვთქვით, ვინ მოკვდა მოკვდეს, და რომელიც დარჩა, მე ძოდან რომ მნახე, მისთანა ჭაბუკი გამოყა. გამიკვირდა. მუნით წამიყვანა. შემეყვანა ერთს ჰალატში, დია კაი სახლი იყო, შუა ვეცხლის ბოძი ედგა და ოქროს ჯაჭვი ძირს მოება, და წვერთა ბორკილი ჭქონდა, მას ზე ერთი ბერი კაცი ება, ჯაჭვი ესეთი გრძელი იყო, მას სახლს სულ მოვლიდა და სხვას სახლში შევიდის, მას სახლში ერთგნით ცხედარი ეგო. ერთგნით ტაბლა ყოვლის სახოფაგით სავსე. ერთგნით ღვინო და ერთგნით ჭადრაკი და ნარდი, რომელსაც იგი კაცი მოინებდა მას იქმოდა, სმას, ჭამას, ძიდსა, თუ შექცევასა. ვჭკითხე, ვინ არის მეთქი; მან მითხრა მამა ჩემიაო. მე უთხარ, რა შეგობორკილავს მეთქი; მან მითხრა, ძმაო, რა კაცი დაბერდება, ჭკუა დაესრულდება, კაცს აწყენს, ეს ავი თემია, არავინ დაუთმობს, მე კიდევ მას არ



დაუთმობ, მას შუღლი მოსდევს, და შუღლს კაცის კვლა. აწ ნებისარ არის, კართ ვერ გავა და რაც იამებოდეს იგი ქნას. მუნით შემიყვინა, ერთი მშვენიერი სახლი იყო, დამსვა, უხმო, ერთი მშვენიერი მწყანარი ქალი გამოვიდა, მისთანა არა მინახავს რა, ღია ლამაზი იყო და ტანდაც საროს გვანდა, მრავალი თვალისა და მარგალიტის სამკაული ჰქონდა, თავზე ერთი ოქროს ბეწვსავით მრავალი თვალ-მარგალიტით მოჭედილი რაღაცა ება ადგილზედ მიათრევდა. იგი აღარ ვკითხე, შევიგენ მისი რამ იყო, მან მითხრა, ეს ჩემი ცოლიაო და იგი კაცის თავი მისთრევსო. მე ვკითხე, რათ მისთრევს მეთქი; მან მითხრა ერთს დღეს, იმასთან უცნაურად შეველ, მას კაცს ეარშიყებოდა. ეგრე უთხრა, ნეტამც შენს თავს არავინ გამყრიდესო. მე ეს სსნიკვდილოდ ვერ გავიშეტი, სიტურფეს ხედავ, და გონება უგეთესი აქვს, და ცოდნა და რიგი ამისებრი არ ეგების, და ამას დაუთმევ. მას კაცს თავი მოვსჯერ, ოქროთ შევამკევ და ზედ მოვაბი, ნატვრა არ გაუქარვე. ღმერთმა ნუ გაჭყარას, მის სიცოცხლეში ზედ ებას და იყოსო. და მუდმე ეგრე მითხრა, ამასე ნუ გამკიცხავ, რომ ჩემი აუგი გითხარ, თუმცა არ მეთქვა; უცხო კაცი უცხო თემს უცხო ამბავს ველარ იტყოდო. ხუთასი ფლუტარი მომცა, კაცი გამომატანა, ზღვაში ნავს ჩამსვა და გამომისტუმრა და წამოვულ. მიველ ქვეყანასა, სადაც ღია კეთილი და კარგი თემია, მაგრამ მას თემს სიმაართლე და მართალი არ ითქმის, ყოველნი დიდნი და მცირენი, ყველანი მტერნი არიან. მეფესთან მი-

მიყვანეს, მუნ ვიყავ, მართალს ვერაფერს იტყუადა, თუ ვინმე იტყუადა, დიდი სირცხვილი იყო. მეუბნები ნადიმი დაგვიდგა, დაიწყო ნადიმობის ამბის თქმა. თქვა ერთმა დიდებულმა: წეროს შავარდენი მოუტოვე, შეიპყრო და ქვე ჩამოიღო, მივეშველე, ვნახე შავარდენს თავი აღარ ება. ვთქვი, ნუ თუ წერამ მოსწევიტა მეტი, ვძებნე და ვერ ვპოვე. რა შავარდენის ქუდი ვნახე. შიგ იდგა, თურმე მოტყუებაში ქუდის საფუძვი ვერ მოუფიქრეს და ძლიერი გამოქნისა, გაგდებაში თავი მამეწევიტა, შავარდენის სიკეთემ ეგონებოდა მისტანა, უთარმ წერო შეიპყრო და მეტემ მოაგვდა. თქვა სხვამან: ავაზა მყვა მამისაგან დანარჩენი, რომე ნადირი ვერ გადაეხვეწის, სენობით თვალნი დაუბრმა, დაფლანდი და ვერა უწამლე რა, მიმძიმდა მისი წახდენა, მისთანა აღარ იშოებოდა. ერთმან კაცმან მითხრა, მაგის თავზე კატა დააკარ და ნადირს ადევნე. კატა ნახავს და ავაზა შეიპყრობს. ეგრე ვქენ და ვერას დონით ნადირი ველარ გარდაეხვეწა. თქვა სხვამან: მე ბახიკს ესრე გაუწვრთნი, რომ ჭაერბიდა მთრინავი წერო და ვარსვი ჩამოიღოს. პირველ მოუწონეს, მეტემ ჭკითხეს, ვითარ. მან თქვა, ლერწამში ჩავსომ რა დამარტება, რა წეროს კავი მოვა, ამოუტოვებ, ჭაერში ავლენ ღრნი, ერთი ერთს თვალში უტემს, მეორე მეორეში, თვალნი დაუბრმდება და ჩამოცვივინს. იწინა ვეზირმა და მეუბნეს ჭკადრე, რა შენი საკადრისია ესეთს სიტყვას მოგახსენებს, ეგება ეს კი იქნას და მართალი იყოს, თავმან შენმან, ამისთანა კაცი შენ წინ არ უნდა მოიყვანო. თქვა სხვა-

მან: ნადირობას ვიყავ. მამალი ხოხობი გაფრინდა, ქორი მოუტივე, მერმე დედალი გაფრინდა; აღარ მსქენდა რა, მათრახი შევსტუორტე, მათრახი ბილდირკა ხოხობს ეელზე გარდაეცვა და წავიდა. მეორეს წელს შემოვიარე, მას ხოხობს ლაზნი დაეფრინეს, და ეველას ეელზე წვლილი მათრახნი ეკიდეს. თქვა აქიმან: მე ნადირობისა არა ვიცი რა, და ეს ვიცი, მე სომხეთის მეფის ექიმი ვიყავ, მისთან ვჟე, ერთი შემტოდე კაცი მოიყვანეს, მეფემ მისი თავის წარკვეთა ბრძანა, მე მტირედი დავეყოვნე, მუხვე წამალი შევმზადე, რა თავი მოჭკვეთეს მას კატს, იგი წამალი უიას ჩავასხი და ტათა ეელზედ დავაკარ, აღარ მოჩვდა კაცი იგი და თავის ნაცვლად ტათა ება. სიკვდილს უკან სავი ოთხი შვილი ეყოლა და თავი არტერთს არ ება, და წვლილი ტათები ებნეს თავთა ნაცვლად.

თქვა ვეზირმა: მე ვიყავ ბნელეთის ჰირსა მსახლობელი კაცი, და გლახაკი და უზოვარი ვიყავ, ცოლი მევა და ერთი სახლი მედგა. გავედ მინდორად და ვვლიდი ცუდად, ვნახე, ერთს მგელს ჰირთ ყრმა სჩრია და მოაქვს; შევსძახე, ყრმა დააგდო და გაიქცა: ავიყვანე ყრმა და ვკითხე, ვისი ხარ შეთქი. მან მრქვა, ქაჯის შვილი მგელმა მომიტაცაო, აწ რადგან მომარჩინე, დამთარე, მამა ჩემი მოვა ძებნად, ჩემს წონას თვალსა და მარგალიტს მოგტემს, ნუ მიმცემ, მინამ თავის მარნის კლიტე არ მოგტეს, იგი შენ გეყოფისო. ჩავსვი ჯირკსა შინა და წამოსასხამი წამოვასხი ჩემი და მივათარე. მოვიდა ქაჯი და შეითხა,

მკელმა შვილი მომტაცა, თუ იცი და მასწავლი, ეგოდენს ოქროს მოგტეპ, დასასრულამდი გეუოს. მე ბეკრი მიხეხი დავიდევ, ვიდრე მარნის კლიტე არ მომცა, არ მივეტ. დია დამძიმებით მომცა და შვილს: აბრალა, თვარა შენ რა იცოდო; კლდე დამანახვა, მას კლდეს მიაურდენ და კარი გაეღებო და წავიდა. მიველ მას კლდესთან, კარი გავადე, შეველ, არა იყო რა, ერთი ვირი ება. შეწყინა და ესე ვთქვი, ქაჯი იყო და მაცდინა, თვარემ მრავალს მადლეუდა, ამის კლიტეს რას ვაქნევდი მეთქი. გამწყრალმა ვირს არგანი ვჭკარ, ვირმა უკანით ვეცხლი და ფლური გაყარა. რა ეს ვნახე, მამა და შინ მოვიყვანე, ცოლს ვახარე, შევიყვანე სახლში, დავაბი, ქვეშ ვარცხლი შეუდგით ხოლმე, ვცემდით, ვეცხლი და ოქრო გამოგვიყარის. გამოხდა ხანი, გავაამპარტავნდი, ახანოში წაველ, მას ვირსე შეჯდომა მოვინებე, ცოლმა დამიშალა, მაგ ვირს ნუ წაიყვანო. არ დაუჯერე, შევჯექ, წაველ, ვირი ახანოს კარსე დავაბი და მე შინ შეველ. თურმე მეაბანოე სხვაგან იყო, მოვიდა, ახანოს კარსე ვირი ნახა, არგანი ჭკარა და მაგინა. ვირმა თავის სალარო გამოხსნა, მეაბანოემ ნახა, იამა, მოიპარა და სხვა მისი მსგავსი ვირი დამიბა. გავათავე ახანო, გამოველ, შევჯექ, წაველ, რამდენი ვსცი, ჩონჩოროკის მეტი არა გამომიყარა რა. დამიწყო ცოლმა ბრალობა და საყვედური. წაველ, კიდევ მარნისაკენ მეტულე-ბოდა რამე, მიველ, შეველ, ერთი ხელსაფქვავი იდვა, სხვა ვერა ვნახე რა. წამოვილე დაღონებულმა, მომეხმარება მეთქი, მოველ, თუ წაღმა მოვაბრუნებდი,

სრულ სსსმელსაჲსკმელი, რაც მინდის, ყოფლის ნივთისა გამოძიყარის. აწ მით დავიწყე რჩომა; კიდევ გავამპარტანდი და მეფის წვევა მოვინდომე. ცოლმა დამიშალა, ნუ იწვევო, არ დავიშალე, ვაწვივე, რა ფიცი მინდა, კარგა დავხვდი; შემიტყვეს და ხელსაუქვაფი წამართვეს, დავრჩი დადონებული. წაველ დადონებული. წაველ მარნისაკენ, ჩემი ღონე იქ მწვედა, შეველ, ერთი გოგრა კვიდა, სხვა აღარ იყო რა მის მეტი, წამოვიღე და წამოველ. მასწრალი, მოწვენილი გზაზე დავკვიქ, გულისთქმა მომივიდა და თავს ვაბრაღე, რად ვქენ, მე აბანოს რას ვაქნევიდი, ან მეფის წყალობას, ამის თანა საუქველი დავჭკარგე, ნეტამც ოთხი კაცი ხელარგნოსანი მომაყენა, და ეგოდენი მირტყას, რომ სულად მიმწუროს. გოგრიდამ ოთხი კაცი ამოძვრა, ეგოდენი მირტყეს, სულად მიმაგდეს. რა მოვისვინე, მამა და წამოვიღე გოგრა, მოველ ქალაქის პირს, ვთქვი, თორმეტი ათასი კაცი ამოვიდეს, მეიქვს ვირიც წაართოს და საუქველიცა მეთქი. ამოძვრენ ამდენი კაცნი, ვირი და საუქველი წამოიღეს, მომიტანეს. ცოლმა მიიხრა, სხვას თემს წავიდეო, ჩემი ყოფნა აქ აღარ იქნებაო. წამოვედით, ზღვაში ჩავსხედით, აღელდა ზღვა, ხომალდი გაამტვრია, ყველა დაინთქა, მე მარტო ფიცარს შევრჩი, დადომ გამომაგდო, კიდურს მიველ, იქიდან ამ დიდებას მივხვდი.

ბრძანა მეფემან: მამის მამა ჩემი აბდულ აზიმ დავრისი იყო და ვლიდა პირსა ყოფლისა ქვეყანისასა. ესეთი ტილისმათ ხელაფნება ჭქონდა, რომ მას სა-

ქმე ვერ გარდურჩებოდა, მრავალს უცხოეს და საკვირ-  
ველს საქმესაც იქმოდა. თურმე სადაც მიწათა ანუ  
გედელთა საუნჯე შეამცნოვის, ამოუღებელი არ გაუ-  
შვის; და რაცა ზედ თილისმა ნახის, მოშალის, და  
ღარიბთ და გლახაკთ განუყვის. დღესა ერთსა ნახა  
ერთს ქვაბის კარს ტილისმათ ნიშანი და დაუწყო მას  
ჩხრეკა: მას გზასე მრავალი უცხო ტილისმა ნახა შე-  
ქმნილი. ნახა პირველად ხრმაღნი, რომელნი იქცეო-  
და, და მოშალა; შევლო, ნახა წყალი მდულარე მდი-  
ნარე, რომ გასვლა არ ეგებოდა, და გახსმო; მასთან  
მაიმუნს სპილენძის, მებრძოლი სასტიკად, და იგიც  
მოშალა. შევლო, ნახა ტბა ვეცხლის წყლისა, ეს  
კლდის ბილიგი ვერას ტილისმას ვერას მხარს ვერ  
გარდაუვლის, ზედ მიადგება, ვეცხლის წყლის მო-  
შლა დიდათ ძნელია, და იგიც განვლო. ნახა ცოცხა  
სახლი, მაში სარდახშა დაბეჭდილი აიღო, გამოიღო,  
ნახა ერთი ბაღნით და ხალით დაწნული ქუდი, ერთი  
დაბაღი მაშია და ერთი სასანთლე იღვა. გაუკვირდა  
და თქვა, ეს რა უნდა იყო, ამას რაერთი ფასი აცან,  
რომ ერთი უცხო და მძიმე ტილისმანი დაუცან ამის-  
თვისო. მუნით წამოვიდა და მოვიდა ქალაქსა ერთსა,  
ქუდი თავს ერქვა, ვისაც ეტეოდის რასმე, იგინი  
არას მიუგებდეს და უკვირდა დიდად. რა იგი ქუდი  
მოიხადა, ყველა კაცმა ხმა გასცა, თურმე ვირემ თავს  
ერქვა, ვერა თავალი ვერ დანახევდა, იყო ქუდისა მი-  
სისა საქმე. თქვა ჰაჰამან ჩემმან, ქუდი, შევიგენ, რა  
არის, და აწამათ რაყო. შევიდა სახლად და ამოიღო  
სასანთლე, ხანთო, ერთი დიდი შავი და მ:ღალი კაცი

წამოდგა, და ხელს აკოცა, და დადგა წინ. ჰკითხს  
ზაზამან ჩემმან, რა სამსახური ძალგიც? მან მოახსენა,  
მე მაგ სანთლის მონა ვარ, ვისაც ებ აქვს, მე მას  
ფმსახურებო. ზაზა ჩემმა უბრძანა, რა სამსახური ძალ-  
გიც? მან მოახსენა, ერთს კაცი ვერას მოინდომებს,  
რა გინდა ბნელი საქმე იყო, არა ვქნა? ზაზა ჩემმა  
ბევრი რამ საქმე შეუკვეთა, და რაც უთხრა მოს-  
ტანი, მოუტანა, საქნელი უქმნა. მეცმე უბრძანა, ინ-  
დოეთს წასვლა მინდა და მალე მიმიყვანო? მან კაც-  
მან მოახსენა, მე ამ სანთლის მსახური ვარ, და ესე-  
ბი შემიძლიან, და სხვა უდიდესი საქმე, და ებ თემზე  
ტარება მაგ მაშინს საქმეა და წესი, ჩაიცვი, ფერხი  
ქვეყანასა ჰკარ, და სადაც გინდა მისვლა, მისვალ.  
ქუდი თავს დაირქვა, სსსანთლე უბეს ჩაიდვა, მაშინ  
ჩაიცვა, ფერხი მიწას ჰკარა, ინდოეთს მივიდეთ, და  
წუთვე მივიდა მეგობრის კარზე. მაშინ რა მაშინსა  
და სსსანთლის და ქუდის საქმე სცნა სამივე, მოვლო  
ყოველი ქვეყანა. ამ თემს დიდი მძლავრი მეფე ჯდა,  
მიუსივს სსსანთლის მონა, იგი მეფე მოწყვიტა და  
თვით დაემკვიდრა. მეფემ ეს თქვა. მათმა ტყუილმა  
კამაგიჟა, მრავალი სხვა ასეთი ტყუილი ითქვა, ვერც  
დავისწავლე და არც მეფეთ წინაშე მოახსენებელია.  
წამოველ მუნით და მოველ თემსა ეკლათისასა. ვე-  
რას ღონით ჰური საჰმელად ვერ ვიმოვნი, ძუნწი,  
უღთონი, და გონი კაცნი ყოფილან. ორი დღე მშიე-  
რი ვიარე, მეცმე ეს ღონე მოვიგონე, ყვავს ჯოხნი  
შევტყორცე, მხარი მოვტყებ და უბეში ჩავისვი, ვა-  
ხსავლებდი, მით მისნობა დავიწყე. მოვადებ ერთს

სახლსა, მარტო დიაცი იყო, კარი არ გამოიღო, სახლად არ შემიყვანა, დამე შესწრა, ღონე მომწყდა, კარზე მივეყრდენ. დიაცმა ცეცხლიდამ ფუნთუშის ჰური ამოიღო, კიდობანში ჩადვა ცოტა ხანი გამოვიდა, მის სოფლის მამასახლისი მოვიდა, დოქით ღვინო და ერთი ნამზადი ბატი მოიტანა, ღვინო და ბატი საჩემელში შედო. დასდეს, მცირე იალერსეს, კარზე ერთი ცხენოსანი კაცი მიადგა. რა ცხენის ხმა ესმათ, მამასახლისი, გოდორი ედგათ, მას ქვეშ შესო, დიაცი მიწვა, მე ყოველივე ვნახე. ეს კაცი თურმე მის დიაცის ქმარი იყო, საქმეზე წასულ იყო და არ მოელოდნენ. მოვიდა, მე მკითხა, ვინა ხარო; მოვახსენე, ღვთის სტუმარი ვარ მეტქი და სახლში არა ვინ მამიშვა მეტქი. კაცმა დაუძახა, დიაცმა ხმა გვიან გასცა, ვითამ მძინარობა შეიფერა. ცეცხლი აანთო, შემიყვანა, ორნივე მშვიდნი ვართ. ცოლს საჭმელი სთხოვა, ცოლმა სუსვით ორი მჭადი მოუტანა და მოსცა, საჭმელი ვინ მომცა შუადამეაო. მე ყვავი უბეში მიჯდა, მკლავი მოუჭირე და დაფანხავლე. მან კაცმა მკითხა, რა არიო. მე უთხარი მისანი ყვავია და ყველას სცნობს, ამისი ენა კარგა ვიცი მეტქი. იამა მან კაცსა და წლის მოსავლისა მკითხა, ყველა კარგა უთხარ. მერმე დაფანხავლე და მკითხა, რა თქვაო. უთხარ, ეს თქვა მეტქი, მჭადს რათ სჭამს, კიდობანში ორი თეთრი ფუნთუში ძეგსო, ის ჭამეთო. მერმე ბატისა უთხარ და იგიც ამოვადებინე; კიდევ დაფანხავლე, ღვინოც ამოვადებინე. კაცმა ცოლი დატოქსა, თუ ეს გქონდა, რატომ არ მოგვართვიო.



მან თავის გამართლება დაიწყო, სამსობლეს მივი-  
დოდი, ნუსლად მინდოდა და უვაფი კიდევ დავახს-  
ვლე, მასწინძელმა მიიხრა, რა თქვაო. მე უთხარ, ეს  
თქვა მეტი, თქვენ რომ სმად სხედხართ, და მშიერი  
მამსახლისი გოდორ ქვეშ სის, უგატრად რატომ  
დაწიებით, მასტა ღზინი უჩვენეთო. მამსახლისს რა  
ესმა, გოდორი თავს კარდაიფლო, კარში გამოვარდა,  
კაცი თან გამოჰყვა, მე ჩემს გზას მივმართე.

მიველ ქვეყანასა უცხოსა, უცხო რიგი და წესი  
ჰქონდათ. შეველ ქალაქად, მშიერი ვიყავ, ხუთი ბის-  
ტის ხორცი მინდოდა მეუიღნა, მათ კაცთ ეს მიზა-  
სუქეს, შენ უცხოს თემის კაცსა ჰგეგხარ, თორემ  
მაგდენი ხორცი მიმინოს ვერ კმა ეყოფისო. ერთი  
მათი უხუცესი კაცი იყო, რქოს სელზე ჯდა, მას-  
თან მიმიყვანეს და ეს სიტყვა აცნობეს. მან ჩემი სა-  
დაურობა მკითხა, მე ცოტა რამ უამბე და უხცო ვარ  
მეთქი. მან მითხრა, კარკს ვისმე გამსგავსე, მე ძე  
არა მუავს, უმკვიდრო ვარ, ერთი ასული მივის, იგი  
შეირთევ, და ჩემი მონაგები და მამული შენ დაი-  
მკვიდრეო. მე დავჯერდი, ვნახე, მისი ქალი მეტად  
შვენიერი იყო. შემართო, ქორწილი მიყო, თვით შინ  
დაჯდა, მე მას სკამზე დამსვა, ხორცის სეიდვის სა-  
ქმე მე მაურგებინა. რა ათი დღე გამოვიდა, ქალი და-  
სნეულდა და ოთხს დღეში მოკვდა. მომკაზმეს უც-  
ხოს შესამოსლითა, რაც უკეთესი ჰქონდათ, შემმო-  
სეს ჰატიოსანი თვალითა და მარგალიტითა, ძვირ-  
ფასეები მეცვა, მეცა და მას მკვდარს ქალსაც. მე უთ-  
ხარ, რასა იქო, უნდა ვსტიროდე, თავი დავაკლა და

თქვენ მამკანსეთ; მე არ ვიცოდი რას მიპირობდენ. მათ მითხრეს, ჩვენი წესი ეს არის და ასე უნდა ვყოთო. მოიღეს ქოსი, ტახლაკი, დაფი და დაფი დაფი ჭკრეს და ღვინით მკვდარიც წაიღეს, მეც თან გამატანეს. მაღალ გორასზე დიდი ციხე იყო, იქ ავიდნენ, ციხეში ერთი დიდი ღრმა აკაღდამა იყო, მას ორი უტევეანი განი ჭქონდა, მკვდარი ჩაიტანეს, მეც ჩამსვეს. შვიდის დღის ნუსლი ჩამატანეს, კიბე აგრეფაიტანეს, დაფრნი მუნ მარტოკა. ავდექი მივიარ მოფიარე, ვნახე, ეს აკაღდამა სრულ მის ქალაქის სისაფლაო იყო, და რაც მაგ ქვეყანას კარგი და ჰატიოსანი იარაღი ან სამკაული იყო, იქეყრა. ქალისათვის საქალო იარაღი ჩაეტანებინათ და ვაჟისათვის სკაცო, დიდად გამიკვირდა. ოთხი დღე დაფუავ, ქოსისა და დაფისა ხმა მომესმა მოფიდნენ, თურმე ერთი დიდებული კაცი მომკვდარ იყო ახალ საქორწილევი. მკვდარიცა და მისი ცოლიცა ჩემთან ჩამოსვეს, შვიდის დღის ნუსლი მას ჩამოატანეს. ქალი შეჭირვებული იყო, თვარა უზომოდ კეკლეუცი იყო, რომე სიმწყაფრემ მისმა გამაკვირვა, და კიბე აიღეს და იგინი აგრევე წავიდნენ. ვკითხე მას ქალს, ეს რა არის, რასათვის ასრე გვიყვეს მეთქი, მე ჩემი ამბავი უთხარ. მან ქალმა მიპასუხა, ამ თემს ესრე წესობს, თუ ცოლი მოკვდება, ქმარი თან უნდა ჩაჭყვეს, და თუ ქმარი მოკვდება, ცოლი უნდა ჩაჭყვეს; შვიდის დღის ნუსლს მისცემენ, და მერმე უნდა ზედ დააკვდესო, მის უკან აღარ უნდა იცოცხლოსო, ვედარც დღე და ნათელი ნახოს. მე დიდად დამიძიძიდა და გულთა ვეტყოდი,

ვამე ჩემი ყამი უსახლოდ მივლია, მე ცოლს რას ვა-  
ქნევდი ან დიდებს, თუ ასე ადრე დამშხამდებოდა.  
ბევრი ვიზრუნე, მაგრამ ღონის მოშეება არას მარ-  
გებდა, მას ქალს სხვას საუბარს მოუეგვ, ამას ვეტყო-  
დი, ვინც მოკვდა, რა სარგებელი ხვდა, ხედავ, რამ-  
დენი მკვდარი ძვეს სულობით წამსდარი, მე და შენ  
ღმერთს შესაყარად უნდოდით, და აწ გულის ნებს  
ვეწით მეთქი. ამგვარი რამე შეუმრავლე, გავი-  
ტკბენით, და რა შევრიგდით, ვნახე ძღვარბი, შემო-  
ვიდა ციხე თურმე შემოეთხარა, მიწა სოლად შემოე-  
ხვრიტა, მკვდრის ხორცს შემოსჩვეოდა საჭმელად.  
რა იგი ვნახე გავინარე და მას ქალს უთხარ, აწ ღმერთ-  
მან დაგვიხსნა ჯოჯოხეთისაგან მეთქი, მუნ მრავალი  
აბრეშუმის თოკი ეყარა, მოფქებნე სოროს ჰირი და  
მხე მოუდგი. შევიპყარ ძღვარბი, უგანას ორსავ ფეხ-  
ზე თოკი მოვადი და მიუშვი, შევიდა სოროსა, გა-  
მოფხიე, ძღვარბმა მიწას ფეხებით ბღუნა დაუწყო.  
ამ გვარი ბევრჯერ ვქენი, ასე გამოთხარა, რომ ჩვენ  
გავეტეოდით, დაუწეე მიწას ყრა, სორო გამოფსწმინ-  
დე, რაც ორთავ თვალმარგალიტი და ოქრო გვეზი-  
დებოდა, ავიკიდეთ და გამოფსქვერით. გამოფედით,  
ღღისით დამაღვით ვიყავით და ღამე ვიარებოდით,  
ერთი კვირა აგრე ვიარეთ, მეჩმე ორი ცხენი ვიყი-  
დეთ, შევსხედით და სისატანის ქვეყნას მივედით.  
ვნახე, ერთი კაცი დიდად უსახოდ დიდი წინ დამხვდა,  
მკითხა, ვინ ხარ, სად მიხვალ. მე შიშით ხმა ვერ  
გავეც, მან შემატყო შეშინება და აგრე მითხრა, ნუ  
გეშინიან, არას გავნებ, ამ ქალს თუ მე მამცემ, შვი-

ლები შეგიტკებო, თუ არა, ქალსაც წაგართმევ და ბევრსაც გცემ. მე ჩემს თავს უთხარ, თუ მშვიდობით გადაჩქები, სხვაც დაუსართე მეტი, მივეც იგი ქალი, იამა, განეწყო უბეს ჩამისო და წამილო. მისი სიდიდე ამისგან კიდე რაღა გითხრა, რა მთას ავიდა, ორნი დიდნი კაცნი შუღლობდენ, ჩემს უფრო იყვნენ, თვარა მისოდენი არ იყვნენ. ამასე შეტილებულ იყვნენ, ერთს ზურგო ღვინო ჰკიდებოდა და აღმართში დამძიმებოდა, მეორე მოსწეოდა და ეთქვა, თუ გემძიმება, მე ამკიდე, მთამდი ამკიდე, ავიტან, და მუნ ერთი ხლავი მაქნევინე. მას ღვინის ჰატრონს ეთქვა, თუ მთამდი ამიტან, ხლავსაცა და ხლეუხსაც გაქნევისებო. რა წვერზე ასულ იყო, რუმბისათვის ჰირი დაეღვა და ღვინო სულ ერთ ხლავად შეესვა. ღვინის ჰატრონი ეშუღლებოდა, სულ რათ შესვიო, და იგი კაცი სხვასაც სთხოვდა, დამპირდი, ხლავი შეესვიო, და ხლეუხად აღარ მერგოყო. ამ ცილობასე ამ კაცმა აღარც ერთი აუბნა, ორივე შეიპურა, ერთი ერთს მოგვში ჩაისვა, მეორე მეორეში. მივიდა შინ, ცოლი მოეკება, დიდობასე კეკელა ქალი იყო, უთხრა, მოგვი გამხადეო, განადა ერთი კაცი ჯდა, მეორე განადა, მეორე ჯდა, მე უბით გამომიყვანა. მოიწონა თავი და ცოლს დააქანა, ჩემისთანა კაცი გინახავსო, და იგი ქალი რომ წამართო ცოლს მისცა. თურმე თავისი ცოლი მოტაცებით მოეყვანა, და მისი სმშობლო არ ენახა, მან ქალმან უთხრა, მამა ჩემს ვერ ედარებიო. იწინა მან კაცმან და აგრევე უბეში ჩამისვა და წავიდა სიმამრის სახვად. მისი სიმამრის სიდიდე

ამასე მეტა რაღა გითხრა, უნას სწევედა და მისი სარ-  
წყავი რუ რომ მიაქვდა მას, მისმა სიძემ შიგ გასვლა  
მოინდომა, ცხენის კაცამდის წყალმა მოგვიტაცა და  
წავვილო. რა სიმამრთან მიგვიტანა წყალმა, ამოჭკრა  
ზარი და ცხენი და კაცი აიღო, და მშრალზე დასო,  
ჭკითხა, ვინ ხარო. მან მისი ამბავი უამბო, მან კაც-  
მან უთხრა, ახა ვაგლახთა ჩემი სიძე ეოფილ ხარ, კი-  
ნაღამ მოგკალო. გააშრო, დასვა, წუთი გამოხდა,  
ცოლი მოუვიდა, სადილი მოუტანა, სადილი ვსტა-  
მეთ, მეც მავატიებდენ, მათის ქვეყნის თაგვის ოდე-  
ნი თუ ვიყავ. მერე სიდედრი შინ წავიდა და სიძე  
იწვია, წაიყვანა, იგი დიაცი უცხენოდ მივიდოდა, მათი  
სასურსლე გოდორი ზურგთ ეკიდა, და სიძე ცხენს  
მიაქენებდა, და ვერ მიეწია. სიდედრმა მოიხედა, სი-  
ძე დავარდნილი ნახა, დადგა, აიყვანა ცხენით, გო-  
დორში ჩაისვა, აიკიდა და წავვიყვანა, მივიდა შინ,  
კარტა დაგვხვდა. რა დაღამდა, ერთი ცალთოვანი კაცი  
მოვიდა, თურმე მის დიაცის არშიეი იყო. ზანადამ  
ვლა დაიწყო, დიაცი სიძის სირცხვილით არ გავიდა,  
მას კაცს გუღმან არ მოუჭირვა, ჩამოვიდა, მისი სი-  
ძე აიოვალწუნა და დიაცს კოცნა დაუწყო. სიძემ იწ-  
ყინა, მას სახლს სვეტნი გამოუყარა დასაქტეველად, და  
თვით კარი გაიარა, სახლი აღარ დაიქტა, და გამო-  
გვიდგა, ჩვენ ვიარეთ. ნახა, ერთი კაციო ტერცეს  
სთესევედა, საივარცხავი იუხსეებს და თან ფარცხვიდა,  
კალთას ტერცვი ეყარა, თითო მუქას ჰირში შეიყრი-  
დის და იტყოდა, ეს ჭოო, და თითო მუქას დასთეს-  
დის და იტყოდის, აჭა ეს, ან ჭოო და ან არაო.

იგი კაცი მას შეევედრა, ერთი ცალთვალე კაცი მომ-  
დევს და მიშველყო. მან კაცმა ცხენიანად აიყვანა და  
ყალთაში ცერცვში ჩაისვა, ჰირში რომ ცერცვი ჩაი-  
კარა, ცხენ კაცებიანად თან ჩაგვიტანა. ერთი ქვევითი  
კბილი მოტუხილი ჰქონდა, იმაში ცხენი უკუაყენა,  
მოჩნა. მოვიდა, მან ცალთვალმან კაცმან ჰკითხა,  
მან უთხრა, აქათ არ გამოუვლიათ. გაბრუნდა, წავი-  
და, მან კაცმან კალთა ინახა, აღარ ვიყავით, სინანუ-  
ლი შექნა, ჩანთქმა ეგონა. შიგნიდამ გამოსძახა კაც-  
მა, აქა ვარო, და ვცოცხალ ვარო; გამოგვიყვანა და  
ქვეყანაზე დაგვსვა. მერმე შეევედრა კაცი იგი. ეს  
ერთი კბილი რას მოუტუხიაო. მან კაცმან თავისი ამ-  
ბავი უამბო და უთხრა: ჩვენ თორმეტნი ამხანაგნი  
შევიყარენით, ყველა ჩემს უახოვნე იყო. წავედით  
სამეკობროთ, ავვიდგა ქარი და ბუქი, მინდორი დიდი  
იყო, და სახვეწი არსად გვაქენდა. ვნახეთ, ერთი ხმე-  
ლი კაცის თავი ეგდო, ესრეთ დიდი იყო, რომ ჩვენ  
თორმეტნი დავეტიენით და მცირე გავისვენეთ. თურ-  
მე ერთის მწყემსისათვის მგელს თიკანი მოუტაცია  
და მას მოდევდა, ხან ჯოხი ესროლა და ხან ქვა. რა  
ჩვენთან მოვიდა, ესრე დიდი კაცი იყო. აიღო იგი  
თავი, ჩვენ თორმეტნი შიგ ვისხედით, შეგვტუორცა  
მგელსა, და მგელს რაღა კითხი უნდა, თერთმეტი  
ჩემი ამხანაგი მოკვდა და მე ეს კბილი მაშინ მამტყუდაო.  
მასცა გაუგვირდა მათი სიდიდე და ძალი, თორემ მე  
რომ გამგვირგებოდა რა საუცხოვო იქნებოდა. წა-  
მოვიდა, ცოლთან მოვიდა და უთხრა, ყველას მარ-  
თაღს მეუბნებია; მე ერთი ჯოხი მომცა, სამოსე-

ლი შემოსა, ნუზლი მომცა, და ინდოეთამდინ მი-  
მიყვანა, არაფინ რა გაწყინოსო, და მეტე დაბნრუნდა.  
მიველ ინდოეთს და მრავალი უცხო რამ ვნახე, ანუ  
სახე, ანუ ხილი, ანუ ჰირუტევი, ანუ მეფინველი,  
მაგრამ მისის მოხსენებისათვის სიტყვა გაგძელდება  
და მეფეს თავი შეეწყინება. მრავალი უცხო მოთა-  
მასე მოვიდა ხელმწიფესთანა, და სამის კაცის თამა-  
შობა დიდად მეუცხოვა და გამიკვირდა. ერთი კაცი  
მოვიდა და დადგა, ორმოცი მისი შაგირდი მოი-  
ყვანა. ერთი ავიდა, მას ოსტატს ერთი ფეხი მარ-  
ჯვენას მხარზე დაადგა, მეორე მარცხენაზედ, დაადგა  
მას ზედა სხვა ატრევე, მას ზედ სხვა, ორმოცნივე  
ერთმანერთზე შედგნენ, არც ერთი არ ჩამოვარდა,  
არც გადრკა, და არც ქვევითმა კაცმა მათი სიმძიმე  
შეიძინია. და ატრევე ხან სულა დაიწყო კაცმან მან,  
ხან დაჯდის, ხან აღდგის, ბოლოს გაიბინა, შეხლტა  
და კაცნი გარდამოყარნა, არც ერთი ზურგზე არ  
დაეცა, ყოველივე ფეხზე დადგნენ. მოვიდა მეორე  
მოთამაშე, ხენი მეფინვლად გაეთაღნეს, და მის  
მეფინველის მსგავსად მხარნი და ფრთენი გაეწყვნეს:  
შეისხა იგი, დაიწყო ფრინა, ხან მთაზე გავიდის და  
ხან მინდვრად ჰაერში ფრინევიდის, რომ ყოველს კაცს  
მეფინველი ეგონა, მისი ფრინვა არწივს არ ძალუცს.  
მოვიდა მესამე მოთამაშე და ერთი ხანდაკის გორ-  
გალი მოიტანა, ერთი წვერი ხელთ დიაჭირა, და  
გორგალი ჰაერში შეაგდო. წავიდა გორგალი, გაი-  
შალა და ჰაერში აღარ გამოჩნდა, მან მოთამაშემ კა-  
ნათს დასწივა, ვერ ჩამოიღო, კიდევ დაზია, არ იქნა.

თქვა: გავალ ამ თოკზე, იარა, ავიდა ჭაერში, მოთამაშე დაიმალა, აღარ გამოჩნდა. რა ცოტა ხანი გამოხდა, ერთი კივილი კიჟინა შეიქნა, თოფის სროლა და გრიალი, კაცი გასემდებოდა; ჭაერიდამ ზოგან კაცის თაფი ჩამოვარდა, და ზოგან მოკვეთილი ხელი და ფეხები, და ზოგან გაკვეთილი კაცი. ვნახეთ, ეს ჩვენი მოთამაშე შუა გაკვეთილი ჩამოვარდა, ეწყინა მეფესა და ყველას დაგვიმძიმდა. მოვიდნენ მის მოთამაშის ცოლი და ორი შვილი, ცეცხლში შევიდნენ, ვითა ინდოთ წესია; რა მცირედი ხანი გამოხდა, მოთამაშე ჭაერიდამ გამოჩნდა, თოკზე ჩამოქვია. უთხრეს. ეს საქმე და ცოლისა და შვილისა დაწვა მან თქვა: მე არცარა ომი მინახავს, არცარა ყიჟინა მსმენია. მეფემ სამძიმარი უთხრა და სამეფო სამოსელი შემოსა, სიასამური ტყავი წამოასხა. მოვიდა თავანისსაცემლად. ერთი კალთა გაიბერტყა, ცოლი ცოცხალი დაადო, მეორე გაიბერტყა, შვილები დაყარა. გაუგვირდა ყოველსა კაცსა, ამისებრი მოთამაშე არავის უნახავსო, მრავალი უძღვნა და გაისტუმრა. წამოველ მუნით და მოველ ქვეყანასა თუნიჯარის. მრავალი ტილისმა და გრძნება იცინ. ასეთ ჭკუათ მეოფელი კაცი არ მივა, მათი რამ გაიგოს. ქველთაგან ვისმე ერთი კლდე გამოქვრიტა შიგ დიდს მთაში, და შიგნით კამარებით ერთის დღის სავალი შეუკრავს ბნელითად, და ერთი დიდი რკინის კარი შეუბამს, და ასეთი ტილისმა დაუცს, წელიწადში ერთხელ გაეღება, ექვს ყამს ღია არის, და მერმე ეგრევე დაიხშვის. შიგ ტყვიის ქარტების წიგ-



ნი შეუერთავს, და ზედ არაბულად ტილისმანი და გრძნებანი დაუწერია. ვისაც მისი სწავლა უნდა, ერთის წლის ნუსხლს და მის სანთელს გზასა იქს, და მას კარზე დადგება რა გაელება, შევა, წლამდი შიგ უნდა იყოს, მონახოს, რაც ძნელი ტილისმა უნდა, ჰბოებს და გარდასწერს, რაც გრძნება უნდა მუნ შეიგნებს, და წელიწადზედ, რა გაელება კარი, გამოფა, და რაც უნდა, იქს. აწ მე მუნ ვიყავ, და ამბავი მოვიდა, და მე კი თვალთ არ მინახავს.

ერთს ექიმს ერთი შაგირდი გაეწვართნა, თუჩმე ის ექიმიც მას საგრძნეულში ყოფილ იყო, და შერმე იგი შაგირდიც შესულ იყო და მას უფრო უცხოები ესწავლა. მისმა ოსტატმა შეიტყო, გაწერა და მოსაკლავად წავიდა, რომ ცუდს საქმეს იქსო. რა მივიდა, უამბეს, შენი ოსტატი მოვიდა და გიწყრებაო. ეს შეშინდა, ტრედად იქცა და გაფრინდა, ოსტატი შავარდნად იქცა და გამოუდგა. რა მოწვენას ლამოდა, ჩინეთის მეფე ნადირობდა, და გვირგვინად იქცა და თავს დაედგა. შეექნათ სიხარული, რომ ზეცით გვირგვინი მოვიდაო. ოსტატი მეჭიანურედ შეიცვალა და მივიდა. მეფე სმად ჯდა, უცხო ხმები დაუკრა და ტკბილად იმღერა. ჰკითხეს, სადაური ხარო. მან უთხრა, საიდანაც გვირგვინი მოვიდა, მეც მუნებური ვარო. ეს უფრო გაიხარეს. მეფეს აფიცრა მეჭიანურემ, რადგან ორნივე ერთის ადგილიდამ მოვსრულვართო, მაგ გვირგვინისათვის მაკოცნინეო. მეფემ რა კოცნა ბრძანა, გვირგვინი ბროწეულად იქცა და ჩამოვარდა, დაეცა, და გასქდა, და განიბნა.

მეტიანურე მამლად იქცა და მარცვალს კენკა დაუწყო. გასტერდენ ყოველნი კაცნი. ამ ბროწეულის ქერქი-დამ კაცი გამოძვრა, შეიქეს მუხლს მოქვია, მიშველე, ხეში ოსტატია და მკლავსო. შეიქნა კითხულობა, მამალიც კაცად შეიცვალა, შეიქემ ეველა შეიტყო. მას აქიმს აღოქმა დაადებინეს, რომ კვლავ გრძნება აღარ ჰქნაო.

რს ლეონ გრძლად ამბავი დასრულა, სხვის ამბის თქმა აღარ დაატალა რუქამ, და მოახსენა შეიქესა: დღესა აქამომდე ავით მიქნია ქიშპობა ლეონისა, რადგან ესეთი მტოდინარე, და ამდენი კარგის საქმის სწავლული, და ამდენი თემის მსახავია, ეს შესანახავია, და ნურც მოიშორებთ, რაც თქვას, ქნაც ძალუცს, აქ გამოაჩინა.

თქვა ჯუმბერ არაკი: ერთი კაცი დია გლახაკი იყო, დღე ყოველ ღმერთს გამდიდრებს სთხოვდა და ესევე წებოდა. გამოჰხდა ხანი, და ამ კაცს მუცლის ტკივილი დაემართა ესომ შეწუხდა, მიწას გლეჯა დაუწყო. რა მიწა მოგლიჯა, ერთი ქილა ფლური გამოჩნდა. რა მას კაცმან ფლური ჰპოვა, ღმერთს მადლი მისცა და თქვა, დიდად მოწყალე ბძანდები, მაგრამ ვინემ კაცს სისხლს არ დაათევინებ, არას მისცემო. ესე არაკი ამისთვის მოგახსენე, რომ ლეონ ვიდრემდის სამჯერ ოთხჯერ სიკვდილად არ წააყენე, არ მოქმარე, და აწ წყალობა უყავო. ლეონ უთხრა ჯუმბერს: ძეო შეთვისაო, ერმა ხარ და მოხმარებს ჰგონებ, თვარა აწ დამკლას სრულიად, და მტერი რა კაცს მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების დამით გაუსრულებს მტერობას.

თქვა არაკი: ივენენ ორნი მტერნი, არ იქნა, ვერა დააკლო რა მან კაცმან მის მტერსა. გამოხდა სანი დამოუფრდენ, დიდათ გაიწვენენ, წავიდნენ გზასა და ოთხნი ამხანაგნი სხვა გაიტანეს, მივიდნენ ერთის კაცის სახლში, დადგნენ, ეს სტუმრები გაღმართ დაწვენენ, და სახლის ჰატრონი მისიხ ცოლით გაღმართ დაწვა. რა ცეცხლი დასეღდა, აიჰარა ეს კაცი, დიაცმა დაიძხას, ქმარი წამოაყენა, კაცი იგი გაიჰარა და მუწვე თავის ლოგინში ჩაწვა. ადგა სახლის ჰატრონი, მივიდა, ეს სტუმრები დაჩხრიკა, ყველას ხელი ჩაუყო რბეში, სხვით ვერაში იცნა, და შემცოდეს გული რბგერდა, ზედ ქუდი ნიშნად დაადვა, ცეცხლს ავანთებ და ამ კაცს ვიცნობო. იგი კაცი ვირემ ცეცხლს აანთებდა, მან კაცმან ქუდი თავისგან აიღო, და მას ძველთაგან მტერს და ახალს მოუვარეს დაადვა, მას გულით ეძინა, ვერა შეიგნა რა. ცეცხლი აანთო, მას საბრალო რბრალო კაცს ქუდი აძევს, მან მისი რბრალობა არ იცოდდა, შემცოდე იგი ეგონა, დაჭკრა თავში ცული და მოკლა რბრალო და დაუნაშავებელი კაცი. ყოველი მტერი ასე უზამს, თვარა რით მომეხმარა, გრძნების ქმნა და ეშმაკობა შემომითქვა.

თქვა კიდევ არაკი: იყო ერთი მოცლილს უსაქმო კაცი, არას ნივთისაგან საქმარი არა იცოდდა რა. შემოვიდა გულშივა დაუწყო მიწას თხრა და ნიაგება. სამს ოთხს თვეს მის მეტი არცა რა საქმე ჭქონდა და არცა რას ისაქმებდა. მოუვიდა კაცი მოურავისა, სამკალად იწვიეს და არ წავიდა, სამუშაო შინ მსქესო, კარ რად ვიმუშაოო. მოუვიდა მეზობლის კაცი, მა-

მა მოჰკდომოდა, და იწვიეს, მოდი მიტირე და ალა-  
ზიც მიტამეო. არც მუნ წავიდა. მოუფიდა სხვა მასწვე-  
ვარი მექორწილისა, და ავრე უიხრა, ძლივ ერთს  
საქმეზე შევემართე, ვირემ გაფასრულებდე და ამის-  
გან მოვიცლიდე, არც სეიეზე წავალ, და არც სატირ-  
ლად მტალიან, და არც ღზინს გზახაო, და რა დავა-  
მთავრებო, მას უკან ყველას ვიქო. მის მსგავსად,  
ვიდრემდის ჩემის საქმისგან ეგ არ მოიცილის, მაგას  
არცა რა ქორწილისა, არცა რა ვაებისა, არც მეივისა  
და ერისა, არა უნდა რა, და მას-უკან სხვას რასმე მოი-  
გონებს, თვარა ჩემის მეტი საწუხარი და საღზინო  
მაგას არა აქვს რა. თქვა რუქამ: არა ახალი საქმეა,  
ძველთაგან თქმულა, ანას კაცს კარგის მოქმედები-  
სათვის კარგი არ უქნია, და მის მაგიერ ავი მიუგია,  
თვარა ლეონ რას შემტერება. ერთი დაკარგული კაცი  
არის, შეეწუნარებინა და მოვიდა, მეივს გაფაწეკუ, და  
დიდი წყალობა მიანიჭა, აწ მე რას მივირებს.

თქვა არაკი: ერთი კაცი მოვიდოდა გზასედ,  
ნახა, ერთს ძეძვს ცეცხლი შემოჰტეხებია და ზედ გვე-  
ლი გასულა, წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და  
წივის. ნახა მან კაცმან, შეეწეალა და თქვა, ამ გველს  
მოფარჩენ, მაღლია ჩემთვისაო. მივიდა შუბის წვერი  
მიუშვირა, გველი ზედ შემოეხვია, მხარზე შეხლტა  
და ეელს შემოეფლარტა, მაგრა მოუქირა. ჰკითხა  
მან კაცმან, რა გაწყინე, რატომ მიხამ, სიკვდილს  
მოგარჩინეო. გველმა უიხრა, კარგისთვის კარგი  
არა ვის უქნია და მე ასრე გიყაო. კაცი შეეხვეწა, ამ-  
დენი მაცალე, იგი ტანდარი დგას, მუნამდის მივიდე.

და მას ვჭკითხოთ, ხემის ცოდვით ხემატ ხმა ანოი-  
დოს და დაგიშალოს, გამიშვი, თუ არა, რაც გინდა  
მიყავ. ცოტა მოუფლანა გველმან და მივიდნენ ჭან-  
დართან. ჭკითხა მან კაცმან, ეს გველი სიკვდილს მო-  
ვარჩინე, აწ ასე მისამს. მან ჭანდარმა აკრე უთხრა,  
ამ ცხელს შინდარში მარტო მე ერთი ხე ვდგევარ,  
მგზავრი, თუ არ ხემ ჩრდილზე, ვერსად განისვენებს,  
მოვლენ, მოიგრილებენ და ვარჩდილობ, მერმესტო-  
ებს დამანტვრევენ, ზოგს დასწვენ, და ზოგს გო-  
ლოფებს აკეთებენ, და იტყვიან, ეს რა კარგი ხეაო.  
კარგისათვის კარგი არავის უქნია, მოუჭირე გვე-  
ლოო. მოუჭირა გველმან ეელსა, კიდევ შეეხვეწა კაცი  
გველსა, ცოტა მოუშვიო, აკერ ხარი სძაფსო და მას  
ვჭკითხოთ. წავიდნენ, ხარს ჭკითხეს. ხარმა უთხრა:  
მოვხნავ, დავიარცხავ, გავლეწ, საფხულ სამთარ  
სულ კაცისათვის ვმუშაობ, დამაწვენენ და დამკვლენ,  
როდესტუმარი მამივიდაო. კარგისათვის კარგი არა-  
ვის უქნიაო, მოუჭირე გველოო. მოუჭირა ეელს,  
შეეხვეწა, კაცი ცოტა კიდევ მატალოო, აკერ მეღა  
არის და მასტა ვკითხოთო. მივიდნენ, მეღას ჭკითხეს,  
კაცმან თავის საჩივარი უთხრა, და გველმან ხისა და  
ხარის მოწმობა მოახსენა. მეღამ უთხრა გველს, ეელ-  
ზე შემოჭხვევიხარ და ისე სჩივიო, როგორ იქნე-  
ბაო, მოუშვი, შენც დაინიქე ამ კაცსავითაო. რა გვე-  
ლი შემოეშვა, დაბლა ჩამოვიდა, დაჭკრა მეღამ ტოტი  
თავში, და გველი მოკლა, და თქვა გველის სამარ-  
თალი ეს არისო. და მერმე მან კაცმა ის მეღა არ  
დაინდო, და შუბის შეცემა მოინდომა, კარგი რამ

ტყავი აქვსო. შეუტყო მეღამ და გაექცა, და თავს აბრალა, დავაშავე, მოვარჩინეო. აწ შენც, ლეონ, მას გველსავით გამოგიყვანე, მარნობ და რა ვჭქნა. აწ ლეონს სიტყვა ხამს.

თქვა ლეონ არაკი: ერთი გლახა კაცი მოვიდოდა გზასა, ნახა ორი გველი, ერთი შავი და ერთი წითელი, იბრძვის, და შავი ერეოდა თქვა მან კაცმან, ამ წითელს გველს ეჭირება მოხმარება და მოვექმარებიო, მოვიდა შავს გველს ჯოხნი დაჭკრა და მოკვლა. მოვიდა წითელი გველი, თავი ადგილსედ დაუკრა და კალთას კბილით მოეკიდა და გასიდა. მიჭყვა ეს კაცი, ერთს კლდის ქვაბში მიიყვანა, ეგზომი განძი აჩვენა, შეფეთ არა ჭქონდა, და განძლიერდა კაცი იგი. რუქავ, როგორც კაცი შესა ხარ, ის შენი ნათქვამი გველი შენისთანა ყოფილა, თვარა კარგისათვის ავს ვინ უზამს კაცსაო.

თქვა რუქამ არაკი: ერთი გლახა კაცი თავის სახლსა ჯდა და ინატრა, ღმერთო, ხუთასი ფლური მომეც და თუ ან ერთი აკლია, არ ვინდომებო. ერთი მდიდარი კაცი თურმე ხანსე იარებოდა, მან გაუგონა და თქვა, მივიტან და გამოვცდიო, კაცი ეს რასა იქსო. წავიდა, ხუთასი ფლური დათვალა და ათი დააკლო, დაბეჭდა, ხანიდამ ჩაუგდო. დათვალა კაცმან მან, და ათი აკლდა, და თქვა, ღმერთო, შენმც კურთხეულ ხარო, ერთი მარხილიც გებოძა, იმასაც დავიმაღლებდი, არამც ეს დაგამწყურალოო. ჩამოვიდა იგი მდიდარი და უთხრა, შე გამოგცადე, ჩემია, მომეც, წავიდლოო. მან შორს დაიჭირა, შენთვის არ მითხოვ-

ნია, ღმერთსა ვთხოვე და მომცაო. შეიცილნენ და უადთან სსნივლელად გაიწიეს. მან გლახამ უთხრა, შე ანა მაცვია რა და შენ კარგად მოერთულ ხარ, ეგ შენი ტყავი კაზა მათხოვეო. მან კაცმა ამდენს სიკეთესედ ისიც დაამატა, ითხოვა ჩაიტვა და წავიდნენ უადთან, ინივლეს, მეტმე მან გლახა კაცმა თქვა, ეს ასეთი მაცილებელი კაცია, თუ ამ ტყავ კაზასაც შემომეცილებს, ნახავთო. მან კაცმან უთხრა, ახლა არ გათხოვეო. ამაზედ უადი გაწეა, მრავალი ჯოხი ჰკრეს მდიდარს კაცს და გააძეს. ასრე კარგის ჰსურტი უეო, კიდევ გაძარცვა და ათრეფინა. კარგისათვის კარგი არავის უქნია, ნუ ამბობ.

თქვა ლეონ არაკი: ბაღდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო და კაის ცხენს ძვირ ფასად იუიღდა. დაფარდა მისი ხმა, ერთმა არაბმა ერთი ცხენი მოიყვანა, ორიათას მარხილად დაათასა. ხალიფამ მაშინვე მოუტანა, მან არაბმა უთხრა, ერთს ძაძაში ჩამიყარეო, თვარა რით წავიღოო. ჩაუყარეს და მისცეს. მოჰკრა არაბმა ვერცხლს ხელი, ცხენს გარდაჰკიდა და შეკდა, გააქენა ცხენი. გამოუდგნენ სულ ხალიფას ჯარი კაის ცხენებით, გზა და კვალი ვეღარ გაიგნეს, მობრუნდნენ დაღონებულნი. მესამეს დღეს არაბი მოვიდა, ცხენი მოიყვანა, ჰკითხეს, რატომ ჰქენო. მან მოახსენა, შორს ვიდექ, სავიღარი არა მეფა რა, ვეცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი, წავიდე და ახლა ცხენი მომიყვანიაო. მეტმე უთხრეს, ვინლა მოგდევდა, ცხენი რადლა მოგეფანდა. მან გაიცინა და უპირობა უხრახა, კარგის ჰსურხად ეგ მექნა, ღმერთი

რას მიზემდაო. თუ არაბმა იცის კარგისათვის კარგი, სხვას კაცს ვის არ ეცოდინება, ან ავს ვის იქს, თუ არ ღვთის შემცოდეო. თვარამ მისთვის მას კაცს რა კაი უქნია, ან მას რა კაი უეო. ღმერთის მისთვის წაურთმევიას, და ამ საბრალო კაცისათვის მიუტეპია.

თქვა რუქამ არაკი: ერთი კაცი კარგი ჭბუკი მოვიდოდა და ხმალიც კარგი ერტუა, ყოფელი საჭურველი კარგი ჭქონდა, ცოლი თან მოჭყვანდა, დია ღამაზი და კარგი ქალი. გაიარა ცხა და მიხვდა ადგილსა სამეკობრესა, ხუთნი ამხანაგნი იყვნენ და ბევრს კაცს აზიანებდენ. იგი ჭბუკი უცნაური იყო და უფიქროდ მივიდოდა, ვიდრემდის ხელი არა სტატეს, ვერა შეიტყო რა; გაძარცვეს, ხელნი შეუკრეს და წაიყვანეს. ერთს მათგანს ამხანაგს მისი ხმალი თურმე მოეწონა, მალვით უთხრა, ამ შენს საჭურველს და სხვას ქონებას შენ გაგაყოფინებ, შენი ხმალი წილად მე მამახვედრე და შენს ცოლს მოგცემ და გაგიშვებ. მან კაცმა ფიცი მისცა, თუ მე გამაყოფინებ, ჩემს ხმადს შენ მოგახვედრებ. წაიყვანეს, ერთს სამზირადს ადგილს ციხე იდგა, მუნ დაესადგურათ, მუნ ათი კაცი სხვა მხარ შეკრული იდგა და ნაძარცვეი აურებელი. მან განდობილმა ამხანაგმა ასე თქვა, ეს დღევანდელი კაცი სულის კაცსა ჭკავს და მოდი ამას გავაყოფინოთო, ნება დართეს სხვათაც და ხელი გაუხსნეს. დაუწყო ყოფა მან კაცმან, და ერთ წილად თავისი ცოლი დასვა და ერთ წილად ერთი ფარი, და ზედ შიშველი თავისი ხმალი. ანაზდად დაავლო ხელი, უწინ, რომელსაც ხმალი უქადა, სცა მას და მოკლა,



ერთი სხვა მოკლა, სხვანი გაექცნენ. მუნ ხელ შეკრულნი ახსნა, ხმლები მისცა, გამოუდგა, ვეულა დახრტეს. მან კაცმან თავის ცოლი წაიუფანა და თავისი სჯულებელი, სხვა მათ კაცთ მისცა, შე ეს შეუოფაო. რადგან მან ერთმან ამდენი სიკეთე უყო, რომ ესდო სული გაუხსნა, გააყოფინა, ცოლი მისცა, ეს მას სიკვდილს რასლა ემართლებოდა. კარგისათვის კარგი არ ოდეს ქმნილა, რასაც შენ არა სტუეი, და ახლა არ იგონებ. ლეონ უთხრა, კარგა ჰქენი, მას კაცს მათზე ავის ქნა დაუწუნე. ცოლი წაართვეს, გაძარცვეს თავი დაიხელთა და ის მოკლა, ავად უქნია. შე მასცა უძრახავ, უწინვე რასათვის ისრე ლაფლად დარჩა, თუმცა უკანისაც არა ექნა რა, შენებრი კაცი იქნებოდა.

თქვა არაკი: ბონლისა მთის ძიწსა, გვის ვარდსავალსა, ერთი კარგი ფუნდრუკი აქმენათ და მუნ ერთი შეფუნდრუკი იდგა. ასეთი კაცი იყო, რომ რაც მოგზავრი გაიფლიდა, მას ღამეს სმადლოდ ასვის, აჭამის, ცხენის ქერი და ბზე მისცის, ფასი არ აილის, შეორეს დღეს გაისტუმრის. ერთი დიდი ქარავანი მოვიდა და დადგა, მას ღამეს კარგა დახვდა, ასეთი თოფლი მოვიდა, მთა შეკრა, ველარ გარდავიდა, მას წამთარს მას ფუნდრუკში დარჩა. მან შეფუნდრუკემ არა რა დაახანჯვინა, სულ კაცთათვის და აქლემთათვის თავისი ხარჯი მისცა. გაიწყუნენ დიდფაჭარი და შეფუნდრუკე, და ჰკითხა შვილი გუაფსო. შეფუნდრუკემ უთხრა, არა მუაფსო, თურმე არ უჩვენა, კეთროფანი იყო, და ამ ჩემს სტუმარს არ ეწინდლოს, ჩემი ღვინი აღარ

იაშებაო. მინამდი შვილი კარში აღარ გამოუტყვა, ვირომ ვაჭარი არ წავიდა. გასათუხუელი მოვიდა, მთა გაისხნა, ეს დიდი ვაჭარი წავიდა და მადრიელი იყო, და ნაცვალს ზასუხსაც ცდილობდა. მეძმე შეუუნდრუკემ შვილი გამოუშვა, შემოსწერა შვილი და უთხრა, მე მანც გძულვარ და აქადგან წავალო. გამოუდგა უკან ქარავანს და მოეწია. ჰკითხა დიდ ვაჭარმა, ვინ ხარო, მან უთხრა მე შეუუნდრუკის შვილი ვარ, შესამაზე უშვილობა გითხრა, ნახვას მოინდომებსო, გონჯიაო, აღარა იაშება რაო, ახლა მეც შემოვსწეერ და წამოველ, სადმე ან ვიშველებ და ან დავიკარგებო. მან ფატი უთხრა, თუ რამ გეშველებს, გიშველიო, წაიყვანა და წავიდა. მივიდა შინ, აქიმი მოაყვანინა, ვერა ღონე დაუდვა. ერთმა აქიმმა უთხრა, ერთს კაცს რომ ერთის ვაჟის მეტი არა ჰყვანდეს, ორის წლისა იყოს, ლამაზი და კარგი, მამამან სეზით მისცეს, დაკლას და მისი სისხლით შებღალოს, მით მოჩსებაო. დაღონდა, ამას ვინ მისცემდა, თურმე მას ვაჭარს ჰყავს ამისთანა ვაჟი, მის მეტი არა ჰყავს რა. ესე თქო, თუ ეს ჩემი შვილი არ დავჰკლას, მამ მამისა ამის ნასიკეთარნი რით გარდავიხადო. ცოლი სხვაგან გაისტუმრა მოტყუებით, თითონ დარჩა სახლში მარტოკა, დაკლა თავისი შვილი, და მისი სისხლით შებღალა, მაშინვე მას კაცს ხესავით ქერქი გასძვრა და მოჩხა. მკვდარი შვილი აკვანში ჩააწვინა და ზეწარი წახურა, იქ მას ვაჭრის ცოლს მუცელმა და ძუძუმ წვა დაუწყო, მოიჭრა, ქმარს უთხრა, ძუძუ მეწვიან მარტვილს თუ არა სჭირს რაო. ქმარმა უთ-

ხრა, რა სჭირს, კარგად სძინავსო. მივიდა, დედამ  
ძუძუ მისცა, მარტვილმან წოვა დაუწყო. ამოიყვანა  
კარგად შეოფი, დედას სიცილი და ფოფინი დაუწყო,  
ეელხედ ოქროს სალტესავით ახნდა რამე. ქმარს დაუ-  
ძახა, ეს რა არისო, ქმარმა ღმერთს მაღლი შესწირა  
და ცოლს ყოველი ყოფილი უთხრა. შენ რომ ამ-  
ბობ, კარგისათვის კარგი არა ვის უქნიაო, აჭა ნაკვე-  
თიტ ნახე, რა გამოიმეტა წამლად და ღმერთმა წყა-  
ლობა უყო. ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი  
ჭკონია, თვარა რა სიტყვაა.

თქვა რუქამ არაგი: იყო ერთი გლახაკი, წავიდა  
სამწიროდ, დაჭყო ერთი წელი, და ცხრა ფლური  
მოიღვაწლა, და წლის გასრულებასე წამოიღო, წა-  
მოვიდა თავის თემსა. რა ქალაქს მოახლოვდა, მდი-  
ნარე იყო, და გაშიშვლდა, დაებანა, და ტანს ჩაიცვა.  
წამოვიდა, ფლურები მუნვე დარჩა. მოაგონდა ფლუ-  
რები და აღარ ჭქონდა, ღმერთს აღთქმა დაუდვა, თუ  
გი ჩემი ფლურები ვზოვო, ერთი შენს სახელზედ  
გლახაკს მივსცეო. მივიდა, საცა ტანი ებანა, მუნვე  
ჭზოვა. წამოვიდა ქალაქად, ერთი გლახა ჭზოვა, უთ-  
ხრა თავისი ამბავი, ასე აღთქმა დამიძს და აჭა ფლუ-  
რიო. იგი გლახა ორსავე თვალთ ბრმა იყო, ასე უთ-  
ხრა, რადგან ღვთისათვის შეგიწირავს, ცხრავე მო-  
მეტ და მე, რომელიც მნებავს, მას გამოვარჩეო. და  
ენდო კაცი იგი, და ცხრავ მისცა, და მან ბრმამ  
ცხრავე ჯიბეში ჩაიდვა. მან კაცმან თხოვნა დაუწყო,  
გლახამ სახილი შექნა, მიშველეთო, ეს კაცი რას მი-  
ზირებსო. მოწამე არა ჭყვანდა, წაართო მან ბრმამ

ფლურები. დადონდა საბრალო კაცი, თან გაჭყვა, ამ ჩემს ფლურებს რას უნამსო. შევიდა ეს გლახა თავის სახლში, ერთი ქილა ამოიღო, სულ ფლური ეყარა, ისიც სედ დააყარა და უთხრა, ჩემო ხუთასო ფლური, ეს ცხრაც შემოგმატეო. სამჯერ შეაგდო ქილა და დაიჭირა, მეოთხედ რა შეაგდო, მან კაცმან ჭაერში ხელი მოჭკრა და დაუძალა. ექება ბევრი, მაგრამ სადღა იზოფიდა. გამოფიდა, დაიწყო ტირილი, მოვიდა სხვა უსინათლო კაცი და უთხრა, რა გატირებსო. უამბო მისი ამბავი, ასე ხუთასი ფლური დაჭკარგე. მან მეორემ ბრმამ უთხრა, აგრე უნდა ფლურის შენახვაო, ამ ჩემს მრუდს ჯოხში შვიდასი ფლური ძეგს, სადაც დაფაგდებ, ვინც აიღებს, მევე მომიტანს. უწინდელმა ბრმამ სთხოვა, მიჩვენეო, ეს საბრალო კაცი იქ იდგა, მან გამოართვა, რა დაგვიანდა, თხოვნა დაუწყო. მან უთხრა, რა მოგიციაო. ამაში შუღლი გამოერიათ. ერთი სხვა უსინათლო ბრმა კაცი მოვიდა, ჭკითხა რა გაშუღლებსთო; მან მისი უთხრა და მან მისი ამბავი. მან მესამემ ბრმამ უთხრა, ვაი თქვენს ჭკუასა, რა კარგა შეგინახავსთ ფლურები, ამ ჩემს ძველს ჩოხაში ათასი ფლური ძეგს, სადაც დაფაგდებ მევე მომცემენო. საბრალო იგი კაცი მუნვე დგას, ესმოდა, წავიდა, თაფლი იყიდა და ჩოხასედ შესცხო, ფუტკარი დაეხვია, ბრმამ ჩოხა გაიხადა და გაფინა, ისიც მან კაცმან წაიღო. შექნეს ამ სამთავ ბრმათ ტირილი და ყვირილი, ეს საქმე სამეთოდ გახდა, მეფემ კაცი დააძახა, ვინც ჭქენით, მოდით, მე მიაშბოთ, თვარა სულ ამოგწვეტო. იგი საბრალო

კაცი შეშინდა, მივიდა და ყველა მოახსენა, ასრე კარგი უყავ და სიკეთის მაგიერი ეს მიყო. მან შეიკემა ესე უბრძანა, რადგან კარგისათვის კარგი არა ვის უქნია, ას ასი ფლური შენ სამლოცველოდ მიეცი, და სხვა შენი იყო. უთხრა ლეონ, ეგ კარგისათვის ავი ვახუნი არის, მას საბრალე კაცს დვთის აღთქმა გარდუხდება, ბრმა დახარბებია, სამთავ უსამართლოებით ნაშოვნი ჭქონათ და დმერთს სულ იმ საბრალესთვის მიუცია.

თქვა არაკი: იყო მაგისტროსი ერთი, დია კარგი დასახელოვანი ჭახუკი, უმა კეისრისა, და გაგწავნა კეისარმა მოციქულად საფრანგეთს, დია ქველის მოქმედი კაცი იყო, უფროსად ფარულად იქმოდის. წავიდა, რა გზა გაფლო, ნახა, ერთს ადგილს ერთი შიშველი მკვდარი გდია, და წავლო ვატარა ადგილი, მოსამსახურეთ უთხრა, თქვენ წადით, მე ნუ შელითო. რა ისინი გაიცილა, მობრუნდა, ტანთ გაიხადა, ორი ჰერანგი ეცვა, ერთი მას მკვდარს ჩააცვა, აგრეც მსახურთ მოეწია, მოვიდა ქალაქსა ერთსა, ნახა ფლოლორტი მწვირე დგას, და შიგ საზყარი გლახა ეგდო, არცა ვინ ამომეყვანი ჭყვანდა და არცა ვინ მიმცემი რისამე. თვით მაგისტროსი ჩამოხდა სასედრით და ამოიყვანა საზყარი, ხმელზე დასვა და ერთს ფლურიც მისცა. წავიდა საფრანგეთს, ჩაჰდა გემში, ჭაუღელდა ზღვა, გემი დაემსხვრა და მაგისტროსი უფსკრულში დანთქა. მოუხდა კაცი ერთი, მოჭკრა ხელი, და ხმელზე გაიყვანა და უთხრა მაგისტროსსა: მე ის გლახა ვარ, შენ რომ წუმპით ამომიყვანე, მე მის მა-

გიერ, ეს მიქმნიაო. ყოველი კეისრის ბრძანებული  
აღასრულა, მობრუნა, მოვიდა კოსტანტინოპოლედ,  
მოედანზე ცხენი გამოატყენა, წაექცა ცხენი, წვივი  
სრულებით დაუღეწა. გამოფარდა მეფე და სულ ჯარი,  
აიყვანეს მაგისტროსი, შეიყვანეს, დააწვინეს, მკურ-  
ნალი დააყენეს, ვერა უწამლეს რა. მაგისტროსს ერ-  
თი გულითადი მონა ჰყვა, სულ საწოლს უწვის, იგი  
შეუეენა დასტაქართა, ჩემთვის რას იტყვიანო. და-  
სტაქარნი გავიდნენ, მონა გაჰყვა, დასტაქართ ოქვეს,  
ხვალ მოვიდეთ, თუ მუნელი მოგვატყრევიანო, უწამ-  
ლოთ და კიდევ მოძრება, თვარა არ მოძრება და  
ხელს სუ მიჭყოფთო. მოვიდა მონა და ყველა უმბო-  
რა მაგისტროს მოისმინა, ასე თქვა: მე ცალფეხს სი-  
ცოცხლეს, მოკვებდე, დია მიჯობსო, მრავალი იტი-  
რა და მიეძინა, და მონა იგი ფეხთ უწვა. შუალამისს  
შემოვიდა კაცი ერთი სარკმლიდამ, თეთრი ჰერანგი  
ემოსა, დაუჯდა, მაგისტროსი მოიკითხა და ფეხის  
ამბავი ჰკითხა. მერვე უთხრა, მიხვეუე ფეხი, რა რი-  
გად გაქვსო, გაუხსნა და უბეთ ერთი მოთხე ედვა,  
ამოიღო. შიგ წამალი რამ ედვა, ამოიღო, თითი და-  
წო და ფეხი დაუხილა, უთხრა, გაიძარო, არ მოე-  
ხსნა და გააძვრევიანა. ფეხი კარგა დაიძრა. მეორე კი-  
დევ წასცხო წამალი და უთხრა, ადექ მომეყრდენო.  
მაგისტროსმა კიდევ უარი თქვა, და არ მოეშვა, აღა-  
დგინა, და მიეყრდნა. დააწვინა და მესამეც წასცხო,  
და უთხრა, ადექ, წავლე, მოძრინო. გაიარა, მთელი  
კაცი შეიქმნა. უთხრა: მე იგი მკვდარი ვარ, შენ რომ  
გზახე მსახე და ჰერანგი დამხურეო, მე მის სიკეთი-

სათვის, ეს ჰას-უხი მიქნიაო. აწ ძმაო, რუქავ, დიდმა იცის და მცირემ კარგისათვის კარგი ჰას-უხი, კლასკამა და ვაჭარმა, მკვდარმა და საზუარმა ეს ქნა, და შენ რად იტყვი, კარგისათვის ავსა, და მაგიერის უქნელობასა.

თქვა რუქამ არაკი: მეფე იყო ანაკოთისა, მრავალი ერი მოხებდა, და ყოველი კაცი უფვარდა. ერთგულისას ამას იტყოდა რა გინდ ბევრი ვაწყინო, ისევე ერთგული ბუნება აქვს და არ დამთმობსო, და ორგულს ეკოდენს. წყალობას უსამ, გავიერთგულავეო. გამოხდა ხანი, ორგული არ გაუერდგულდა, ერთგულიც გაუორგულდა. მტერნი აუხსდნენ, მეფე თაკის სამკვიდროსე ვედარ დადგა და სხვას თემს იფლტოდა, თან ორივე გარდაჭევა ერთგულიცა და ორგულიცა. რა დიდად გაუჭირდა ხან სიგძისაგან, თურამ ორგულს უბრძანის სამსახური, აყვედრის, რა მეწყალობება, სახლი გაუშვი, მამული და შენ განღავარ, აწ კიდევ აქა იქი ტანტალს არ მაჯერებო. რა ერთგულს უბრძანის უთქმელად ყვის. გამოხდა ხანი და უფრო გაუგრძელდა საქმე, რომ აღარა ხსნა იყო. მოახსენა ერთგულმა, გარდამოვარდნილი ხარ და განძი გამოგელია, აღარა გეშოება რა, მე გამოვიდე, და ხემის ფასით სხვანი დაარჩინე. შეწყობდა მეფე და უარი უთხრა, ღონე აღარა ჰქონდა რა, გაყიდა ერთგული, და მისი ფასი იხმარა. მან ერთგულმა რა თავი გაიყიდა და გაშორდა, გამოიპარა და პატრონთან მოვიდა. რაოდენჯერ გაუჭირდის, მართ სამჯერ თავი გაიყიდა, და გამოიპარის, და პატრონთან მოვიდის.

ქამთა ვითარებისაგან მეფე იგი მამულსავე თვისსა მოვიდა და გამოედა, მას ერთგულს ნამსახურს ალარა ჰატივი მისცა, და მისი მამულიც მიიღო, და ორგულს ბევრი შემატა, რომ ეს მხნე და გამრჯელი კაცი იყო, და შენ უღონო და გულ დედალი კაცი ხარო. ამისთვის სცან, რომ კარგისათვის კარგი არა ვის უქნია. უთხრა ლეონმა რუქას, რამცაღა გითხრა, ესრე შმაგ ხარ, მეფეს ჰირის ჰირ ეტყვი, კარგისათვის კარგი არ ძალ გიცს და ავისათვის ავიო, მე შენ დღეის წაღმა აღარას გეუბნები, თავმან მეფისამან.

მან სიტყვით მდიდარმა, ამბავ ტკბილმა, ენა მრავალმა, ვეზირმა სედრაქ დაუწყო წვრთა რუქასა და ეტყოდა: რუქავ, მე რა ამალეებულისა და ღრუბელთა უმაღლესისა ხელმწიფებისა სავარჯელ ქვეშ შემოსრულვარ და შენ შემისწავლისარ, ძმასა და შვილს ორთავ მირჩევნისარ, და არც შენგან უკეთესი მეგობარი მყოლია. ამას გეტყვი და გასწავლი, რა კაცი კაცს გაუმტერდება, სიქიშვე ველარს დაანახვებს, თვარა შენგან მართებული არ არის, რასაც კაცისათვის ავი და ბოროტის მთქმელი იყო, ყოველს კაცს სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა გაუმტერდე, ველარ შეიძლო, დაძახუნდები. არის ინდოეთს მფრინველი ერთი, რომელსა თათვალს უხმობენ, მითნობს უფროა, და მფრინველს ნადირობს, თუმცა მოხდა. რასაც დღეს მფრინველი ვერ ინადირა, მივა და გუმინდელს ნახვამს ძვალს აიღებს ნისკარტითა, და უკანით შეიტყობს, თუ სრულიად მეტია, არ ჩანთქავს, იცის, რომ ვერ მოვიდნობო. და თუმცა დაატყობს, რომ მოვიდნობო.



ჩანთქავს; და თუმცა ვერ შეიძლება შთაზნთქმას და არ დაეტყვას, აგრევე დასდებს, ვერ მოვიდნობო, და არც ხელ ჭყოფს ჭამად. თუმცა მივრინვლებმა ეკოდენი იცინა და გონი აქვსთ, წინასწარ გამოიკითხვენ საქმესა, შენ ხომ კაცი ხარ და შეიქვს წინ აღზრდილი, რად იქ უგვანსა, რად არ დაადუმებ ცუდის საუბრისგან ენსა. კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოების, გზაზედ ცუდად არ იშოების, იათად ვერ ვინ იყიდის. ამხანაგი ცხე წყლიანია, ზღუდე მადლია, სიმაღლე დაურღველია. ამხანაგი ღვინი ივრიადი, სინაზრულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია. ამხანაგი გულთ ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია. ამხანაგი მტერთათვის მასიანებელია, მოყვარეთათვის საიშედოვნო, უხცოს თანა გამოსახენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურესა. ამხანაგი მარტოათვის ზმის გამცემია, ჯარათათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია. ამხანაგი ჭირში მომხმაროა, სნეულებში შეკურნალია, სიკვდილში თათვის წამგებია. ამხანაგის უკეთესს შენ რას იშოვნი, რად გძულან, რად ეშუფელი, რად ეკამათები. მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობას და ძმობას გაჭეროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს. ამხანაგში თუ არ სიყვარული, სიქიშუე არ არის.

უთხრა რუქამ არაკი: ინდოეთს არის სულიერი ერთი, რომელსა სამანდარს ეძახიან. სადაც სააკურე ენთება, ან აბანოს სახმილი, ან საკირე, მას ცეცხლში იქნება და მუნ იშვება, ცეცხლის სიცხე არჩენს. რა ჩეცხლი მოაკლდება მეტის სიგრილისგან, მუნე-

ბური მეფე მისს ტყავს შეიმოსს სიგრილისათვის. მას ეგეთი აგებულება აქვს, რომ ტყცხლი თუ მოაკლდა, მოკვდება დასხვას სულიერს თუ ტყცხლი მიესლო, დასწავს. რა რიგათაც სხვა და სხვა რიგი აგებულობის ჰატრონი მფრინველია, აგრევე სხვა რიგისა კაცია. შენ მაგ ბუნების ჰატრონი ხარ, რომ ყოველი კაცი გიყვარს, და მე ყველანი მოჟლან. მე კი არავინ მოჟლს, მაგრამ ყველას ამსუედ კოჟლვარ, მეფის ერთგული ვარ, მე მის მეტი არა ვინ ვიცი, და არცა ვის ვეიყრები. ვირემ მეფე ცოცხალია, არცა ვინ მინდა, და თქვენ ყველანი სხვასა დაკვრით, სხვა რიგს ჰკრავთ, თვარამ მე ვისზე რა დანაშაული მაქვს, რაც ცუდად არ ამიმტერდით.

თქვა არაკი: იფსენ სანნი ამხანაგნი, ერთი დიაკარგი და ბატონის ერთგული და ყოფლის კაცის შეუცოდარი, მართალი და მართლის მოქმედი იყო, და ორნი მტყუარნი და ორგულნი. იგი ორნი ამხანაგნი ორგულებაზე აწვევდენ მას ერთსა, და იგი ერთი ეტყოდა, ნუ, ძმაო, არა სჯობს, ჰატრონის ორგული ღმერთსაცა სძულს და კაცთაცა და ნუ ბოროტებთო. იგინი გაუმტერდენ და ჰატრონთან შეასმინეს, ცდილობდენ და არ შეიბესლა, და ღამე თოკი წაუჭირეს და დაახვეს. თქვენც აგრე მიზირებთ, განა ვერ ვხედავ, ამხანაგს რომ მიქებ, ამხანაგი ესეთი მინდა, ჩემის ნებისა და ჩემთვის კარგის მოქმედი, კეთილის მყოფელი, უზიანო, მეიყვითან კადნიერად სიკეთის მოქენე, არა მოოფარი ქიშვი, მტერი და წახდენის მცდეელი, ღმერთმან ეგეთი ამხანაგი თქვენ

მოგეტყვოს, თქვენ მე ამხანაგები შეეგხართ, ან რომელიმე ამხანაგობას მიჰპირებთ.

თქვა ვეზირმა არაჰი: ერთი გლა' აჰი კაცი მივიღოდა გზასა სედა და ერთი ქილა ერბო ჰქოვა, აილო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარსე შეიღო. დაიწყო გზა გზა სვლა და გულთა ამას უბნობდა: აწ გამდიდრება ჩემი მოინება ღმერთმან, ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარხილად გავჭყედი, მით თორმეტ სამამლე ვარის ვიყიდი, მოვიყვან, დავსრდი, დავჭყედავ, და ვასუქებ და თითოს თითო აბასათ დავჭყედი. მეჩემ მით საეშკე გოჭებს ვიყიდი, და ვასუქებ, დავაკრატავ და ოროლ მარხილად გავჭყედი. მეჩემ მით სახარე ხმოებს ვიყიდი, ხარებს დავსრდი, მოვხნავ, დავთესავ და აშენებული შევიქნები, და ამ გულის თქმასი შეშა აუღვა და ქალაქს გასასყიდლად წამოიღო. ერთი ხიდი დახვდა თქვა მან კაცმან, აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავსტეო, შესძახა ჭერიო, დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანსი ხიდზე დაჭკრა, ქოთანსი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულის თქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა. შენც შენის გონებით ბეჭრს რასამე ზრახავ და გამდიდრდები, მაგრამ ასეთი რამ გაგიზრახავს, რომ ღუთის ძალით შენს თავსაც მოშლი, არამც თუ განზრახული გაათაო.

უთხრა პასუხი რუქამ არაჰი: ორი დავროში მოვიდა ისპანს, შაჰსთან მივიდა. ჰკითხა შაჰმ, მრავალი თემი მოგივლია, რა უფრო უცხო გინახავსო. მან დავრიშმა მოახსენა, მრავალი უცხო მინახავს, მაგრამ ძოღან ღამ აქ საკვირველი რამ უცხო ვნახეო, არას

ადგილს არ მინახავსო. რა შუა ღამე შეიქნა, მოვიდა ერთი ასეთი მფრინველი, ერთი ფუნდრუგი მისის კაცებითა, აქლემითა, ადგილითა, სასლებითა, გლავნითა სრულდებით აიტაცა და წაიღო. გაწერა შაჭი და გააძო, ასეთი ტყუილი რა სათქმელია, ფუნდრუგი და მისი გარეშამო მფრინველმა აიტაცა და წაიღო. მივიდა გაწბილებული დაფრიში და ამხანაგს ყოველი უთხრა. აკინა ამხანაგმა და ეგრე უთხრა, საშოვარს მოველოდიო, და შენ მაგისთანას ტყუილით გამოძიებული მოხვალო; ფუნდრუგის ალება რამ გათქმევინაო, ან აქლემის ატაცებასა ვიტყვოდი ან ცხენისასაო. მეწმე მან დაფრიშმა თქვა, წაკიდე ამ ჩემს ამხანაგს ტყუილი გაუმართლოო. მივიდა, შაჭიმ დაფრიში ნახა, ჭკითხა, მრავალი თეპი გინახავს და რა უფრო უცხო გინახავსო. მან დაფრიშმან მოახსენა, ბევრი რამ უცხო მინახავს და გუშის წინ რომ აქ უცხო ვნახე, იმისთანა არა მინახავს რაო. რა მამლის ყივილი შეიქნა, ჭკერიდამ ხან აქლემის თავი ჩამოვარდა, ხან ფეხი, ხან ცხენის ნაწევები, ხან აგურის ნატკეხი, ხან ალიზის ნაღეწი, გათეხებამდინ. ძილი არ მომსგლიაო. შაჭის გაუგვირდა და თქვა, თურმე აგი გუშინდელი დაფრიში მართალს უბნობდა და გავაძეო, მრავალი მისცა და ის ტყუილიც დაუჯერა. თქვენც სამთავ ჰირი შეკვირავსთ და რომელიც ტყუილს იტყუია, მეორე ასეთს სიტყვას მოახსენებთ, რომ მეივეს დაჯერებინებთ და მე კი წამასდენტ.

თქვა ლეონ არაკი: ერთი კაცი ყანას მკიდა, ნახა, რი გველი თამაშობდა, ერთმა გველმა მეორე და-

წვინა და განეშორა, თვით წრე შემოაფლო და წავიდა. მივიდა ერთი სხვა გველი, დანახა წრეს შიგნით ერთი გველი წევს, წრე აღარ შეშალა, შეიკუჩხა შეხლტა, წრეში ჩახლტა, გველი მოკლა და ისევ გადმოხლტა და წავიდა. მოვიდა მეორე იგი გველი, ნახა თავისი ტოლი მოკლეული, მას კაცს ცხენისათვის ბაღახი გაეთიბა, ხორმად შეკრა, შიგ შეძვრა და დაიშალა. მას კაცმან რა მუშაობა გაათავა, თივა აიკიდა, შინ წაიღო. მას დამეს გველი გამოძვრა და სულ ჯამ ჭურჭელი დაუშხავა და თივაშივე დაიშალა. მეორეს დღეს მათ გველთ ამბავი მან კაცმან ცოლს უამბო. რა გველმა მის კაცის უბრალობა შეიგნა, გამოძვრა და რაც ჭურჭელი გესლით დაუშხავა, სულ ჰირქვე დაარქო დაკარი გაიარა. შეიგნეს მათ ცოლ-ქმართ, რომ გველი თან მოჭყოლოდა, და ახლა უბრალობისათვის ჭურჭლის დაშხამაც აცნობა და წავიდა. ძმარეუქავ, დია კაი კაცი ხარ და მას იქმოდე, უბრალოდ, თუ გველი ცდილობს, არა აწეინოს რა, შენ რომ ადამის ტომი ხარ, ჩვენ შენთან შეცოდება არა გვიცხარა, და ნურც აგრე გესლით დაგვშხამავ, თვარა უბრალოდ დმერთი არ მოიძულებს, და არც შენის გულისს უსამს.

უთხრა ჰასუხად რუქამ არაკი: სამნი ძმანი იყვნენ, ორნი ბორბოტნი და ხარბნი და ერთი მარტალი და ღვთის მოსავი გაიყარნენ, ავნი ძმანი ერთად დადგნენ, და კარგი ძმა ცალკეიმ გააძეს, წავიდა კარგი ძმა, ნახა, ერთს ადგილს ერთი დიდი ქილა ფლურნი ჰოვა, ერთ გზობით ვერ ზიდა, წამოვიდა შინ მას

ღამესა, ცოლს უთხრა, ამ ადგილს ფლურები ვნახე და ხვალ წავალ, საკიდარს წავიყვიან და მოვიტან. თურმე ძმანი ერთად უმზირდნენ, წავიდნენ, დახარბდნენ მასვე ღამეს, ხვალ ჩვენმა ძმამ არ დაგვასწრასო, ლამპარი ანათეს, ნახეს, ქილა სრულობით გველითა და ღრინაკალით სავსე ეჩვენა. მათ ძმათ ესრეთ თქვეს, ჩვენმა ძმამ გვიღალატა, ეს უნდოდა, ჩვენთვის ესმენინა, მოვსრულ ვიყავით და გვენახა, და ეკბინა, თვარამ რა ჩვენს სვეერვაში თქვა იგი ამბავი. პირს მაგრა მოჭკრეს ორთავ ძმათ, აიკიდეს, ესრეთ თქვეს, მას ჩვენს ძმას ჩვენი სიკვდილი უნდოდა, და ჩვენ ცოლ-შვილით დავხოცოთ. წაიღეს ქილა და ბანდიამ ჩაუგდეს. თქვეს, ქილა გატყდება, გველი და ღრინაკალი სახლს მოიტყავს და ყველაყას დახოცს. შეარეს დღეს კაცს გაეღვიძა, ნახა, გუშინდელი ფლურები სახლში უგროვია. მათ ძმათ მისი წახდენა მოინდომეს, დმერთმან ფლურები შინ გაურჯელად მიუტანა. თქვენც ჩემს ამ რიგად რასმე ცდილობთ, მაგრამ დმერთი თქვენის ნებისას არ მისამს, იცოდეთ.

თქვა ჯუმბერ არაკი: იყო ისპანს ერთი საბრალო კაცი და ჭყვა ცოლი ერთი, ფლიდი და გრძსეული, რომ იმისთანა არ იქნებოდა. ქმარს სხვა რიგად ახედებდა. მუდმისად ყურანს იკითხვიდა, დღევ ხუთს ლოცვას არ დააკლებდა, ნასვამის წყლით ხელს არ დაიბანდა, სულიერობას ჩემულობდა. თქვა მან კაცმან, რადგან ცოლი ასეთი მლოცავი მყავს, მეც ქალბალას წავალ და ოწნივ დაუცადებელად სამოთხეში შევალთო. ერთს დღეს ქარავანი გადგა ბაღდადისაკენ

და კაცი თან გაჭყვავა. ქალაქს გარეთ ქარავანი ახლო დადგა და მან კაცმან ასრე თქვა, რადგან ესე ახლოს დგანან, ამას ღამეს შინ მივალ და დილას ადრიან ამათვე მოუსწროფო. მის ცოლს ქმარი მისი წასული ეგონა და ღზინად დაჰკადა, ღვინოს სმიდენ, კაცი იგი კარს მიადგა, ნახა, დათვის ტემა, როკვა და სიმღერა იყო. მან კაცმან უჩუმრათვე გაიარა და ასე წავიდა, მათ ვერ აგრძნეს რა მისი მისვლა და წასვლა, და ქარვანსავე მიეწია, და წაჭყვავა. წავიდნენ ბაღდადს და მუნ მერწყულად დადგა, დღივ და ღამ წყალს ზიდევდა, მით ფუულს შოობდა და იზრდებოდა. ბაღდადის ქალაქში ერთი ქურდობა შეიქნა, სხელი დაუთხრელი არ დარჩა, აზრდა ქალაქი იგი. შეიქნა ჩივილი, იწყინა ხალიფამ, და შეიპყრნა ბაზრის მტველნი, და უბრძანა, თუმცა მპარავნი არ მიპოვნოთ, ვფიცავ თავსა ჩემსა, მუცლებს დაგიპობ ყოველთავე. წავიდნენ კაცნი იგი და ესე ღონე მოიპოვეს, იგი ისპანული კაცი შეიპყრეს. მან კაცმან ჰკითხა, რად შემიპყრათ, რა შეგცოდე? მათ უთხრეს ამ ქალაქის განძი სულობით მოიპარეს და შენ უნდა მოგკლათ, მპარავნი შენ ხარო. მან კაცმან ვედრება დაუწყო, ერთი კვირა მატალეთ, თუმცა ქურდი ვერ ვიპოვნო, მაშინ მომკალითო. მათ თავსდები სთხოვეს, მას ვინ უთავდებებდა, ღმერთი მისცა თავდებად და წავიდა. ორი სანძი დღე იარა, ნახა მათი სკულის თავი, რომელსაც ხადრს ეძახიან. მოვიდა, წინარე ოცნი კაცნი მოვიდოდნენ, ცოცხით გზას მოჰკვიდენ. ჰკითხა მან კაცი, ვინარი კაცი ესე, ანუ გზას რასათვის მოუ-

გვიანო. „უთხრეს ამ ქვეყნის რკულის თავი ესეთი ღირსი და წმიდა არის, რომ ამისი ლოცვით დგას ეს თემი, და წვიმაც და მოსავალიც ამისის ლოცვით მოვა.“ თქვა შერწყულმა კაცმა. „აჲ ამ ქალაქის მომთხრელი ქურდი ეს არისო. მის სადრის ჯარში აერია. მოვიდა სადრმა ხილითა ნახა, გამობრუნდა, სადგომს მოვიდა. ის კაცი უცნაურად შინ შეჭყვავა, ერთს სამალავს ადგილს დაიმალა, რა დაღამდა, კაცნი დაითხოვეს, და მის სახლის საფენელი წამოკეცეს, კარი ახადეს, თურმე მის ქვეშ სახლი აკლდამად იყო, და მის ქალაქის ქონება შიგ იდგა. მუნით ათორმეტნი ქურდრი კაცნი ამოიყვანნეს, ღვინო ოქროს სურებით მოიტანეს და სმად დასხდენ. უბრძანა სადრამა, ძმანო, ახლა რას მოინადირებთო? მათ მოახსენეს. „სამი სალაროს მეტი აღარ არის, და იმთაც წამოვიღებთ, ერთი ხალიფასია, ერთი ვეზირისა და ერთი ნაზირისა. ამაღამ ნაზირს ვეწვიო.“ მათ ქურდთ მათი საქმე აუარეს. კაცი იგი გამოიპარა, მათ ბაზრის მცველებს ყოველივე უთხრა, მათ არ დაუჯერეს, და მან კაცმან უთხრა, აჲ შე მომეუკით, და თვალთ გაჩვენებო. რა სადრი გამოვიდა და ხალიფა ნახა, დაბრუნდა და მოვიდა, ორნი კაცნი თან შეჭყვენენ, და მასვე სამალავში დაიმალნენ, სანათურით უმზირეს. მას დამესაც ნახეს, ვეზირის სალარო გატეხეს. წავიდნენ ხალიფას აფიცეს მოუკლავისათვის და რა ფიცი გამოართვეს, მოახსენეს. ეწეინა ხალიფას, და მოახსენეს. „თუმცა თავს დაიმდაბლებთ და სამოსელს შეიცვლით. თვით თქვენს ბედნიერს თვალს ვაჩვენებ“



ნებთო.“ ხალიფამ სხვა შეიმოსა და გაჭყვა, მათ მასვე ადგილს დაიმალნენ, რაც ენახათ, ყველა მარტალი იყო, და მას ღამეს ხალიფას სალარო ინადირეს. წამოვიდა ხალიფა თავის სახლს, მეორე დღეს სადრი მობძანდა. ხალიფამ უთხრა სარდს, რომ დღე ყოველ ჩემს სანახავად გაიჩვენებ, მეც რატომ არ მიწვევ ხოლმეო. სადრმა დაუმაღლა და ხალიფა იწვია. მოვიდა, სადილი მოართვეს. მეუკემ სადილათ ღვინო ითხოვა, სადრმა შორს დაიჭირა, ჩემს სახლში ღვინო როგორ გაახსენებინეო, მერმე ხალიფამ ქურდობის უთხრა, ამისთანა მპარობა შეიქნა, რა უნდა ვქნაო. სადრმა მოახსენა, შენის უღონობით არისო. ხალიფამ საიენი წამოკეტა, კარი იპოვეს და კაცნი გამოასხეს. შერცხვა სადრსა, გამოართვეს და რაც ეკადრებოდა უყვეს. მერმე ჰკითხეს მას ისპანელს საბრალო კაცს, რით იპოვნეო, როგორ შეამცნიეო. მათ თავისი ცოლის ამბავი უამბო და მის გამო ვსცნაო, რომ ესეც მასავით ფლიდი იყო და მით ვპოვეო. შენც მის კაცის ცოლისავით ფლიდი ხარ და მეყვეს შენს სიკეთეს აჩვენებ, აწეც არ იყო. შენს საქმეს ბოლოდ სცნობენ.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი: ერთი კარგი აქიმი იყო, სნეულთან რა მივიდის, სნეულის პატრონი ჭიქით მას შარდს მიუტანდის, და რა ნახის, სენი ჰსცნის, წამალი მისცის და განჭკურნის. ერთი სნეულის ამბავი მოუვიდა, ჭიქა გაგზავნა, შარდი ითხოვა. მუნ სნეულის სანახავად ორნი მისნი ამხანაგნი იყვნენ, მათ სნეულის შარდში ორთავ თავიანთი შარდიც აუ-

რის, მას ჭიქაში ჩასხვს და გაუგზავნეს. ნახა აქიმ-  
მა, გაიტინა და თქვა; მე გაუკიტხავარ, მაგრამ იგი  
სწეული ორ კვირაში აღდგება, ამ ერთის მოთელის  
კაციც ცოლი ორსულად არის, ყრმასა შობს, და მყო-  
რე მრთელი კაცი სამ დღეში დასწეულდება, და სწო-  
რამდინ მოკვდება. მოვიდა ეს ამაგი, და ყველა ატრე  
იქნა. თქვენც მასავით ერთ აზრსე დგეხართ, მე უგუ-  
ნური ნუ გგონივარ, ვერა შევიგნა რა, რაც თქვენ  
ჭიქნათ, თემმა ჭსტნას.

თქვა ვეზირმა არაგი: ერთი კაცი იყო საბრალე  
და მართალი, ერთი ანჩხელი ცოლი ჭყვა. ეს კაცი რა  
პურს აიღებდის ჭამად, მდინარის პირს დაჟდის,  
ზოგი თვით ჭამის და ზოგი მდინარეში ჩაყარის.  
გამოხდა ხანი, მდინარიდან ერთი კაცი გამოვიდა და  
უთხრა. „ესოდენი ხანია, რომ შენი საზრდოთი ვი-  
ზრდები და მზრდი, აწ პირში თითს გამოგავლებ და  
ყოფლის სურვილის ენას ისწავლიო, ამას შემოგზღავ,  
და თუმცა ეტყვი ვისმე, მაშინვე მოჭკვდებიო უცი-  
ლოდ.“ გამოავლო თითი და მდინარეში ჩავიდა და წა-  
ვიდა. მოვიდა კაცი იგი, სოფლის პირს დაწვა, სა-  
ბძელსედ ყვაფი შემოჟდა, მისი ბახალა თან მოჭყვა.  
ბახალამ დედან უთხრა, კაცი მკვდარია, წავალ და თვა-  
ლებს ამოვსჭამო. დედამ უთხრა, ნუ შვილო, აღამის  
ტომი ხრიკიანია, არ შეგიპყრასო, ბახალამ უთხრა,  
მივალ ფეხზე ნისკარტს დაჭკვრამ, თუ გაიძრა, გაჭ-  
ფრინდები, თუ არა და გულზე დაჭკვრავ, და შერმე  
თვალებს დავთხრო. კაცს ყველაყა ესმოდა. ჩავიდა  
ბახალა, ფეხზე ნისკარტი დაჭკრა, არ გაიხუჩუნა;

მერმე მუხლზე და რა გულზე დააჯდა, მოუჭირა ხელი და შეიპყრა. ბახალამ დედას დაუძახა, მიშველეო. დედამ უთხრა. რა ვჭქნა, გიშალე და არ დაიშალე. ახლა მაგ კაცმა თუ ჩემი ენა იცოდეს, მალე მოგარჩენ, მაგრამ რა გიშველოო. მან კაცმან დაუძახა ყვავს, რა გინდა, შენი ენა ვიცოო. ყვავს იამა, წაუძღვა, ერთს კაცს მრავალი განძი დაეფლა, აჩვენა, და თავისი ბარტყი მოაჩინა. წამოვიდა კაცი იგი, შინ მოვიდა, ერთს დღეს საცალა ლოცვა მოუნდა, ცოლმა დაუნია წაყვანა, და აღარ დაიშალა. ერთი კვიციანი მაკე ცხენი შეუკაზმა, დიაციც ორსულად იყო, შეჯდა ერთი მარტვილი უკან შემოისვა, საგზალი გარდიკიდა და წავიდა, რა პირთ შაღმართ შეუდგეს, კვიცი დაფარდა, და დედას დაუძახა, მომიცადეო. დედამ დაუძახა, მე ერთი მუცელში მიძეს, და სამი თვისის ნუხლით ზურგთ მკიდა, თუ მე ვიარები შეს რა დაგემართა, რატომ დაფარდიო. მან კაცმან რა მოისმინა დიდათ გაიცინა. ცოლმან უთხრა, რაზედ იცინი, მითხარო. მან უთხრა, ვერ გეტყვიო, ცოლი არ მოეშვა, ქმარმა შეჭფიცა, თუ ვთქვი, მოვჭკკდებიო. არ იქნა, ცოლმა დია შეაჭირვა. ქმარმა უთხრა, არ დამეხსენ, წავიდეთ, ვილოცოთ. შინ მოდი, ჩემი აღაპისა და სუდარის საქმე გაშირიგე და გეტყვიო. დიაცს იამა, სწრაფით მივიდა, ილოცა, გამოხრუნდა აღაპი და სუდარი დაუმზადა და ოქმა დაუყინა, და მას კაცს ერთი ციბა ჭყვანდა, ტირილით კარში გამოვიდა, კარზე მამალი დახვდა, ჭკითხა ციბას, რა გატირებსო. მან ყოველი უთხრა, პატრონს დიაცი მი-

კლავსო და ის მატრიკებსო. მამალმან უთხრა, შედი; შენი ჰატრონი გამომგვარეო. ვირემ კაცი გამოვიდოდა, სოფლის დედლები სულ შემოიგროვო, მამალი შუა დადგო, კაცს უთხრა, რატომ იკლავ თავსო. მან უთხრა, ცოლი არ მეშვება და რა ვჭნაო. მამალმა მას ქათმებს რაღაცა უთხრა და შემოურბინა, ყველა გაინახნენ. მერმე კაცს უთხრა მე სამოცი ცოლი მყავს ვინძლი უჩემოთ ერთმა საკეხგი აიღოსო, და შენ ერთი ცოლის ხელით ჭკვდებიო, კაცმა ჭკითხა, მაშ რა ვჭნაო. მამალმა უთხრა, ერთი შინდის ჯოხი მოსკერ, რა გითხრას, თქვიო, მიდექ, ეგოდენი სცემე, რომ მიაძვედარო, და აღარ გკითხავსო. დაუჯერა მამალსა. რა ცოლმა თქმა უთხრა, მანამდი სცა. ვიდრემდის სულობამდის მიაგდებდა, და მოჩნა კაცი სიკვდილსა. მის მსგავსად ვიდრემდის შენთვისაც ჯოხს არ მოსკრიან, შენს მანკიერს ენას ვერავინ დაადრუმებს.

უთხრა ჰასრუხად რუქამ არაკი: ერთი თხა და ერთი მელი დამობილდნენ; და საზიაროდ ყანა დათესეს. რა ამოვიდა, დია კარგი ყანა მოვიდა, მომკეს, გალეწეს და დანიავეს, ხვაფი ცალკერძო დააგროვეს და ბზე ცალ კერძო. მელამ უთხრა თხას, ხვაფი მე და ბზე შენაო. თხამ უთხრა, არა სამართალი ეს არის ორივე შუა გავიყოთო. მელამ უთხრა, მაშ მე წავალ, ბიძა ჩემს მოვიყვანო და მან განგვიყოსო. ვირემ მელი ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა, ცხვრიდამ ორი დიდი ქოფაკი მოიყვანა და ბზეში დამალა. მოვიდა მელი, ერთი ასეთი მკელი მოიყვანა, თხას შიშით

თვალთ დაუბნელდა. უთხრა მგელმა თხსა, ჩემს დის-  
წულს რატომ აჩივლებო. თხამ უთხრა, მაშ რადგან  
მოწმად მოჭყოლიხართ, მეც მამა ბიძანი აქ მისა-  
ფლავიან, მის საფლავზე შედექ და ისუდე, და მარ-  
თალი მოწამე იქნებიო. მგელმა რათხის შეჭმა მოი-  
ნდომა, წამოხლტენ ძაღლები, მედი და მისი მო-  
წამე ასე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს, არამც  
თუ წლეული ემოვნა. თქვენ რომ ორი სამი გაბიძა-  
მამიდაებული ხართ, თუ ერთი მისთანა მომხრე მეც  
მეყვანდეს, შინდის ჯოხებს არა და უხნის ჯოხებსაც  
გაკითლი, მაგრამ მარტოკამ რა ვჭქნა.

თქვა ლეონ არაკი: ერთი უცხო მუშა კაცი იყო  
სოფელსა ერთსა, და ქონებისა მისისა რიცხვი არ  
იცოდა. დღეს ერთსა დააძახეს კაცი, ვინც მოვა ჩემ-  
თან, რომ ჩემ ბედთან გაგზავნო და ჩემი ამბავი  
მიუტანოს, ას ფლურს მივსცემო. არა ვინ გამო-  
სჩნდა. შუადღისას დააძახა კაცი და ოცი ფლური უქა-  
და, არა ვინ იპოვა. საღამოს ერთი ფლური უქადა,  
ერთი გლახაკი კაცი გამოჩნდა, მე წავალო. კაცმან  
მან არა რა იცოდა, არც ვაჭრობა, არ მუშაობა; ორ-  
ძალი კარგა იცოდა და უკრეფდის ხოლმე და იმღერ-  
დის, გაგზავნა მან კაცმან კაცი მეორძალე და ასწავა,  
მას ადგილს მრავალნი კარავნი დგანან და მუნ კაცნი  
ურიცხვნი, და ერთი დიდი კარავია, მუნ მყოფი კაცი  
მე მგავს, და ესრე მუშაობს, ოფლი ჩარეცხს. მას  
ჩემ მაგიერ უთხარ, ღმერთმან მადლი მოგანიჭოს,  
ხუთარ იჭირვი, მე სამყოფი მაქვს, აწ შენც მოი-  
სვენე და მეც მომასვენეო. ერთი ფლური მისცა და

წავიდა. მივიდა, ადგილი იგი ჰპოვა, კაცი იგი ნახა, დაბარებულნი უამბო. იამა კაცსა მას და მადლი უთხრა. მას ღამეს გაანსვენა. მეორეს დღეს მან კაცმან თვისი ბედი იკითხა, უთხრეს მას, ასკილის ძიწს მეორდალე კაცი რომ ჰქონის, იგიაო. მივიდა მუნ და მშვიდობა უთხრა, ჰკითხა ჩემი ბედი შენა ხარო? მან უთხრა მე ვარო. უთხრა, დილაზე ასი ფლური რომ მიქადეს, რად არ მაცნობიე? ბედმა უთხრა, მაშინ ორდალი განიტყუდა და ვაწებებდით. კაცმა უთხრა, ოცი ფლური რომ მიქადეს, მაშინ რას იქმოდით? ბედმა უთხრა. ახალ ალყას ვაბამდით. კაცმა უთხრა, საღამოს ერთს ფლურზე რაღას იქმოდით; ბედმა უთხრა მაშინ გაუმართო და გაშოვინიეო. მან კაცმან ორდალი სთხოვა, მეც დაუკრაო. გამოართო, და ჰკრა თავში და თავზე დააღწა. ბედმა უთხრა, რას მირისხდებიო, რაც მე ვიცოდით, შენც გასწავლეო, და მეტი რა მექნა, შეუძლებელს დმერთიც არ მოუდებს, არამც კაცთა ჰქონ ესე. აწ შენს უამხანაგობას ჩვენ რას გვაბრალებო. ჩვენს ბედს სიმარტოე სძულს და მოყვასნი უყვარან, და შენი ბედი შენისთანაა; და არც მას სჭირს, შენც იმას გაძლევს.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი: იყო მეფე ერთი და აქვდა წაღკოტი, ვითა შევენდა. მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფესა, ვარდას შიგან ბუღბუღს ბუღე დაუცნ. მეფემ უბრძანა, არ შეჩჩეს ბუღბუღს მაგისი ქნა. გამოხდა ხანი, მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფესა, ბუღბუღმა ბარტუნი დაჩიკნა, მოვიდა გველი, ბუღბუღიც შეჭამა და ბარტუებიცა, უბრძანა მეფემ,

არც გველს შეჩქეს მაგისი ქნა, მოვიდა და მოახსენა მეხალემ: შამხსა ვთიბდი და გველი შემომაკვდა, ნამგლით დაფსჭერ. უბრძანა მეფემ, არც შენ შეგჩქეს. მეფემ დაითხოვა კაცი და ჯალაბეურათ წალკოტში ლხინ მოინება. მეხალე ერთ ხეზე გავიდა და დაიმალა, სცხეს ხადუმთ, ჰპოვეს და მეფეს მოჰგვარეს. მეფემ სიკვდილი ბრძანა, მეხალემ მოახსენა, ვით ჩვენ არ შეგვჩქა ბრძანებისაებრ შენისა, აღარც შენ შეგჩქეს სიკვდილი ჩემიო. გაეცინა მეფეს და აღარ მოჰკლა.

ღვთით იმედი მაქვს, არც თქვენ შეგჩქესთ ჩემი წახდენა, თვარა ჩემს საქმეს მე ვხედავ, რაც მცნან თავსაო.

თქვა ჯუმბერ არაკი: იყო ერთი წმინდა კაცი განშორებული, მოინება სოფლად გამოსვლა, გამოვიდა, მოვიდა ქალაქსა ერთსა, შევიდა კაცისა დიდებულისსა. ღია კარგა დახვდა, ვითა მართებდა, გაასვენა, ერთი რვის წლის მარტვილი ჰყვა და უხაროდა. გამოხდა ყამი, კარზე ტირილი შემოესმათ, მკვდარი მიაქვნდათ. უთხრა მამამან, გადი შვილო, მკვდარი მიაქვთ, ნახე წარწყმდა თუ ცხონდა. გავიდა მარტვილი და მოვიდა, მოახსენა სიხარულით, ცხონდაო. მეორეხედ სხვა მკვდარი გამოატარეს. გაგზავნა კიდევ, მარტვილი მეჩემე მწუხარებით შემოვიდა, ეს კი წაწყმდაო. თქვა მან განშორებულმან, მე ორმოცი წელი უდაბნოში ვარ და ანგელოზი საზრდოს მიზიდავს, მე ვერა ვსცნობ, ვინ ცხონდა, ვინ წაწყმდა, ამ მარტვილმა ვით სცნაო. უთხრა მარტვილმა, წმინდას ამით ვიცნობ, ვინცა ვინ ერი მისდევს, მას ყური მიუგდევ. წელან მას ამბობდენ, კარგი და ღირსი

იყოფო, უწყინარო, ღვთის შანებელი, და ვიცი ცხო-  
ნებულია, საქმით შეეტყობა. ახლა ამას ყველანი უჩიო-  
დენ, ავი, უწყალო და უსამართლო, მტუენი იყო, ღვთისა არ ეშინოდა და კაცისა არა რცხვენოდა, ამით  
ვიცი, კაცი მისის საქმით იცნობებაო. ახლა შენც  
გეტყობა შენი სიავე სიტყვით და საქმით, მრავლის  
ავის მოქმედი ხარ და ჩვენც შეგვიტყვია.

უთხრა ჰასრუხად რუქამ არაგი: ერთი კატა დაია-  
რებოდა, ნახა ერთი ძუ ლომი მომკვდარი და ერთი  
ღეკვი დარჩომოდა. წაიფანა და ზრდა დაუწყო. რა  
გახარდა, დიდი შეიქნა, დაიწყო ნადირობა და ნადი-  
რის ჭამა. დღეს ერთსა ნადირი ვერ იშოვნა, თვისი  
გამზდელი კატა მოინდომა შესაჭმელად, კატამ რა  
შეიტყო, ხეზედ გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთ-  
ხრა, ჩემო დედის უსაყვარელესო და დამარჩენელო  
გამზრდელი, ყოფელი შენი ზნეობა რომ მასწავლე,  
კვ ხეზედ გასვლა რად აღარ მასწავლეო? კატამ უზა-  
სუნა, ეს ჩემთვის შევინახეო, რა ასე გამიჭირდებო-  
და, მომხმარებოდაო. მე ჩემი ცოდნა თუ რამ ვიცო-  
დი, შენ გასწავლე, და მე ჩემთვის აღარა შევინახე რა,  
აწ არ ვიცი ხელთა გეყვარ, და ბევრს ავსაც მიხამ.

თქვა ვეზირმა არაგი: ორნი კატნი იფხენ ქა-  
ლაქსა ერთსა, ერთი წამდაწუმ სულ ტიროდა და ერ-  
თი სრულობით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერა-  
ვინ ნახევდა. ჭკითხეს მტირალს კაცსა, ავზე და კარგ-  
ზე, საცინელზე და სატირელზე, სულ რატომ სტი-  
რიო? მან ეგრე თქვა, რა ვჭქნა ეს სოფელი მოკლეა,  
ყველა კაცი ამ საწუთროს საქმეს შვრებთან, საუკუ-



ნო სასჯელი დაუფიწყებიათ და ზით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს აშენებენო. მერმე მას მოცინარს ჩაცს ჭკითხეს, შენ რა გაცინებსო? მან ესრე თქვა, ეს სოფელი მოკლეს, ყოველნი გაცნი ავს შერებთან, გარგს არ იქმენ. ყოველს გაცს უქადაგე, ვერა დაფაჯერებინე რა, და აწ სიცილს ძალი მივეც, მეც რომ ზრუნვით თავი მოგიკლას, რას მარგებს, ან რა მათი სარგებელიაო. მის მსგავსად შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე, ჩემი ვერა მოგასმინე რა, ახლა მეც სიცილს ძალი მივეც.

უთხრა ჰასუნად რუქამ არაკი: ორნი მწევარნი ნადრობას დადიოდეს ერთს მინდორში, ნახეს, მეღას თაგვი შეუპურია, და ხან გაუშვებს, და ხან დაიჭერს, ხან ჭაერში შეაგდებს, ათამაშებს. მიეპარნენ და მელი შეიპურეს. უთხრა მელამ ძაღლებს, ჩემი დღენი ხომ მოვიდა, დმერთმა ჩემი თავი თქვენ მოგცათ, სადა წაგივალ, ამ მინდორს ხედავთ, ამდენი შემიხვეწიეთ, თქვენც იცით, როგორც ჩემი გვარნი თაგვის მტერია, გამიშვით, ერთი თაგვი დავიჭირო, ვათამაშო, მერმე, რაც გინდა მიუაფითო. მოტყუდნენ მწევარნი, გაუშვეს, მელამ თაგვი დაიჭირა, ათამაშა, შეაგდო, დაიჭირა, ათამაშა, ხან აქით ათამაშა, ხან იქით. თურმე ახლო სორო ჭქონდა და მიგ შევარდა, და მოუსხდნენ მწევრები, და უთხრეს, მელამ, გამოდე ერთი თაგვი ათამაშე, ის ხომ დიდად გიყვარსო და მერმე შედიო. მელამ უთხრა, შარშან რაც ვათამაშე, ისიც მიმძიმს, არა თუ ახლა გამოვიდე და ვათამაშოო. შარშან რაც მეუბენ და შენი ვისმინე,

ისიც დიდად მიმძიმს. თუ დაშეხსნებოდე, არცა რას  
ახლა გეუბნები.

თქვა ლეონ არაჰი: ერთი გლახა კაცი იყო, ერთი  
მჭლე ვირი ჰყვანდა, გაიპარა ვირი, წავიდა მთაში გა-  
სასუქებლად, გასუქებული მუნვე პატრონთან მოვიდა.  
იამა პატრონს დიდად და ცოლს უთხრა, საფუძვლი  
აჭკიდე, წადი წისქვილში დაფუძვიო. ცოლმა უთხრა,  
თუ ჩვენს ვირს იმდენი ჭკუა ჰქონდა, მთაში მჭლე  
წავიდა, გასუქდა და მოვიდა, მაგას როგორ ვერა იქს,  
უკაცოდ დაფუძვას და მოიტანოსო. დაუჯერა ცოლს,  
ვირს ჯოხი დაჭკრა და ვირი გააძო. წავიდა ვირი,  
ვინცაღა კაცმა წაიყვანა, ვინ იცის. გამოხდა ერთი  
კვირა, ვირი აღარ მოვიდა, წავიდა ვირის პატრონი,  
მივიდა მეწისქვილეს ჰკითხა, ვირი გამოგვზავსე შენ-  
თან საფუძვლითა და რა იქნაო. მან ჰკითხა, ვინ გა-  
მოატანეო. ვირის პატრონმა უთხრა, ჩემი ვირი ასე  
ჭკვიანი იყო, კაცი არ უნდოდაო. იგი მეწისქვილე  
ხრიკიანი რამ იყო, მის კაცის სიბრძივე შეიგნა, მის  
ზემთ ერთი ქოსა მეწისქვილე იყო ღია ეშმაკი,  
მასთან მისწავლა, აქ ჯერი არ ერგო და მასთან  
გავგზავნეო. იცოდა, რომ ის ისე უცხოს ტყუვილს  
ეტყუდა. მივიდა მას ქოსა მეწისქვილესთან, ეგელა  
უთხრა. მან აგრე უთხრა, აქ მოვიდა, დაფუძვა, მე ისე  
ჭკვიანი ვირი არ მინახავს, ერთი შავჯორღოსანი ოქ-  
როთ აკაზმული კაცი მოვიდოდა, მისი ჯორი ფუძვი-  
ლით იყიდა, შენი ვირი ზედ შეჯდა, ზანგას ჩავიდა,  
მუნებური ყადი მომკვდარ იყო და ყადათ შენი ვირი  
დასვეს, იქ მონახეო. მან კაცმან დაუჯერა, ზანგას

ჩავიდა, ნახა, ყადი შავ ჯოჯოსა ჭის, ოქროთ აკა-  
ზმულს, მის კაცის სიტყვა ენიშნა, შავი ჯოჯო იყო.  
უთხრა ყადს, მე ვერ მიცნობო. ყადი რას იცნობდა,  
პასუხი არ გასცა. მეორე უთხრა, ჩემი ვირი ხარ, რად  
გამპარტავებულ ხარო. რა ეს ისმინა, მრავალი სცეს,  
თავი გაუტეხეს და გააძეს. რა ყადი ტარულასთან მი-  
ვიდა, მოვიდა იგი კაცი და იხივლა, ეგე ჩემი ვირია,  
საფქვავე შავ ჯოჯოში მიუცია, გამომეპარა და აქ ყა-  
დათ დამჯდა. ყადმა თქვა, რას ამბობს, ვერაფერ  
მიცნობთ, მამა პაპანი ჩემნი აქ დაბერებულან, რად  
არ გააძებთ შავ კაცსო. მან კაცმან ასრე თქვა, მო-  
სამართლენო, ეგ ყადი ნახეთ, ჩემს ვირს შიგნით  
ბარკლებზე ორგნითვე დადი აზის, თუ ეს ნიშანი  
ჭქონდეს, ჩემი ვირია, მომეცით, და თუ არა და  
ვსტყუიო. ყადს ქარი სჭირდა და ორსავე ბარკლებ-  
ზე დუგუნი აჯდა შიგნით, რა ნიშანი ნახეს, გა-  
მტყუნდა ყადი, სამართლით მისი ვირი შეიქნა. მის-  
ცეს მას კაცსა, მეორე ყადი შეეხვეწა, შენც იცი, რაც  
რეგვენობით არ მედავები, ჩემთან ხელი არა გაქვს,  
მაგრამ ამ ჯოჯოს თავისი აკაზმულობით შენ მოგცემ,  
შენ ვირს ხომ ესესჯობს და ნულარ მარცხვენ. მისცა.  
ქრთამად ჯოჯო და წავიდა იგი კაცი. ეს ხომ ყველა  
კაცმა იცის, შენც მას უგუნურსავით რაც ცუდათ არ  
ედეგი, ჩვენში შენ საქიმპარი საქმე არა გაქვს რა და  
ჩვენც ქრთამს მოგცემთ, და მოგვეშორე, გეხვეწებით.

უთხრა პასუხად რუქამ არაგი: ერთი კაცი იყო,  
ერთი დაღლეტილი ვირი ჭყვანდა, წაიყვანა და საძო-  
ვარზე დააბა, თვითან მიღმა დაჯდა და ყურები დაუ-

წყო. მოწიდა კატკაჭი, ზურგზე შეაჯდა, დამხალს ხორცს გლეჯა დაუწყო, ვირი დაბმული ვერ აეშვა და ტლინკვა დაიწყო. რამდენჯერ ვირი ტლინკს შეჭყრიდა, მისი პატრონი კაცი სიცილით ბრუნდებოდა. ტყიდან ერთი მგელი უყურებდა და თქვა, მე თუ მას ვირთან მნახვენ, ამ სოფლის კაცი და ძაღლი სრულებით მე გამომეკიდება, და აგერ ვირი, ლამის, კატკაჭმა შეჭამოს და პატრონი ხარობსო. იმისი არ იყო, რა მე ხმას ამოვიღებ, ყველანი პირს შეჭკრვენ და მე გამომეკიდებინ, თვარა უმისოდ თვით გაერთებულან და რას ხრიკს ლამიან, ჩანს.

თქვა ჯუმბერ არაკი: ორნი ამხანაგნი წავიდნენ ნადირობად, ნახეს, ერთი მაწოვარი დათვი მოვიდოდა. იარეს და მისი სორო ჰპოვეს, თქვეს, მის სოროში მის დათვის მოყვრები იქნება, იგი გამოვიყვანოთ. ერთი შიგ შევიდა და მეორე გარეთ დადგა, ნახა, დათვი დაბრუნებულ იყო და მოვიდა. მეორე ამხანაგი შეშინდა და ხეზე გავიდა, დათვმა სოროში შესლვა მოინდომა, მან ამხანაგმა თქვა, თუმცა დათვი სოროში შევა, მას ჩემს ამხანაგს ხომ მოჭკლავსო. დათვმა რომ წელს წინათი სოროში შეყო, ჩამოვიდა ხილამ მეორე ამხანაგი, დათვს კუდი მაგრად დაუჭირა, სოროს პირს ორნივე ფეხნი მიაჭირნა. დათვმა ყვირილი შეჭქნა და მიწას ბრდღუნა და უწყო, სორო სულ მტვრით აავსო. მან შიგნითმა ამხანაგმა დაუძახა, ნუ ამტვერებ, მტვერმა დაგვარჩო. გარეთმა ამხანაგმა უთხრა, თუ კუდი ხელთ არ მეჭიროს, შენ მტვრის მოდენას მაშინ ნახავო. მეც თუ ამათი კუდი ხელთ

არ მეჭიროს, და შენზედ შოუშვებდე, შენს ყოფნას  
ესენი მოგახსენებენ და მოგახსენებენ.

უთხრა ჰასრუხად რუქამ არაკი: იყო ფაზვანშაჰ ერ-  
თი დიდებული და ხათუნად ჰყვა ქალი ერთი შვენიე-  
რი. ეყოლა ვაჟი შვილი და რა მოიზარდა, მამა დე-  
დანი ათამაშებდენ. ცოლს მარტვილი სთხოვა და რა  
მიადლია, ხათუნს ფათერაკი დაემართა. იწყინა დიდად  
ფაზვანშამ, და ცოლიც გააგდო, და შვილიც თან  
გატანა მარტო უკაცოდ, და მან სხვა ხათუნი დაი-  
სვა. წავიდა ხათუნი, სამკაული დამალა, ერთი ძონძი  
შეიმოსა, და ერთს მეწისქვილეს შეეწყო, ერთი მის  
ტოლი ყრმა მას მეწისქვილეს ჰყვანდა და ორნივე  
ერთად იზრდებოდენ, და თამაშობდენ. მეწისქვილის  
ქე მცირეს წისქვილს აშენებდის, ღარს და ბორ-  
ბალს აკეთებდის, ვითა მამა ჰასრუხად წესია; ხათუნის  
ქე ტახტს ჰკრეფდის, ზედ დაჯდის, მე დამიხრქე და  
შემომიფულო, ყრმობითგანვე ისე იყვნენ. რა ჩვიდ-  
მეტის წლისა შეიქნა, მას მეწისქვილესთან კარგი  
ადგილი ხეხილხარი იყო, ფაზვანშაის სპასალარი თე-  
მის ასაწერად იარებოდა, მუნ მოვიდა და დადგა.  
ნახა ყრმა იგი და მოეწონა, იკითხა და მოახსენეს,  
ერთი საბრალე დიაციის შვილიაო. სპასალარმა დიაცი  
და მისი ქე თან წაიტანა, მან ყრმამ ასე შეაყვარა  
თავი, თავის ქეს იგი ერჩია, და დიდს პატივს უყოფ-  
და. დღეს ერთსა ჰკითხა შვილმა დედასა, ვინა ვარ,  
ან ვისი ქეო. დედამ უთხრა, შაის ქე ხარ და ასე მო-  
მიხდა, მისთვის მეც გამომძიო და შენცაო. შვილმა  
უთხრა, თუ სხვა არ შეგიცოდებია რა, მაგისი ად-

ვილი არისო, დედამ შეჭვივცა, სხვა არაო. გამოუღო დედას სამკაული, ოქროზე გაყიდა, დასხა ოქრო-მჭედლები და სულ ოქროს ხორბალი გააკეთებინა. წავიდა ბაზარში, ყასაბს მეწვრიმალეს და მეპურეს, სუფევლას ხორბალი დაუწინდა, სამს დღეს უკან ფას მოგიტანო, სასმელი საჭმელი იყიდა და სპასალარს გაუმასპინძლდა. რა დრო გავიდა, ხორბალი აღარ დაიხსნა, მოვიდნენ ვაჭრები და ხორბალი მოუტანეს, ფასი სთხოვეს, მან შორს დაუჭირა, მე ფასი ვინ მომცა, ჩვენს ქვეყანას მაგას ვსთქვამთ, მოვმკით და მაგას გავჭვიდით, მე სხვა არა მაქვს რაო. წავიდნენ ვაჭარნი და ყაზან შაის შესჩივლეს, უხმეს მას ყრმასა, ჰკითხეს, მან იგივე თქვა. ყაზან შაიმ ყოველი ხორბალი მოაღებინა წინ და დაიგროვა, ჰკითხა მას ყრმასა, აქაც მოვა ამისთანა ხორბალიო? მან მოახსენა, ყოველგან მოვაო. მაშინვე ბალი დააბარვინა და უნდა რომ დათესონ, მოახსენა, აგრე არ უნდა, ასეთი კაცი იშოეთ რომ ფათეკაკი არ დამართოდეს, თორემ არ ამოვაო. შეიქნა მოკითხული ვის არ დამართია ფათეკაკი, ვერავინ ჰპოვეს. მოახსენა, თქვენ ხომ არ იკადრებდითო. მან უთხრა, მე წელანაც დამეძარტაო. მეცმე მოახსენა, რა სირცხვილია, შინ მოიკითხეთ, და ხათუნმა თავი დაიმდაბლოს და დათესოსო. შევიდა ყაზანში, ვერც მუნი პოვა, მოვიდა, უთხრა, რა ვჭქნა, არ იშოებაო. მეცმე ყრმამ უთხრა, მაშ დანაშაული რა იყო, ან დედა რათ გამიგდე და ან მე რათ გამაგდე, თუ სხვა კი არავინ იპოებოდა. რა შეიგნა მისი შვილობა, ეელს მოეხვია და დედა

მისი აგრევე ხათუნად დაისვა და შვილი შვილად. ან მეც თუ მაგის მეტი შეტოდება არა მაქვს, რომ კარგ სიტყვას ვარ და ვასუხს მოგცემ, მაგასე რათ მამისევე მაგ კაცთა და გამალახვინებ. მითხარ, უთქმელი და უსიტყუო კაცი ვინ არის.

თქვა ვეზირმა არაკი: იყო მეფე ერთი და რა მოიწია დღე სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ქსა თვისისა და უთხრა, სხვას ანდერძს არას გეტყვი, ოღომც ეს ათაო, ქოსა კაცი შენს სპარძანებელში ნუ გინდაო. მოკვდა მეფე, და გამეთდა ძე მისი, ასე სძულდა ქოსა კიცი, მის სხსენებელს ვერა ვინ ასენებდა. დღესა ერთსა ერთმა ქოსამ ყვავილი მოუძღვნა. იწინა, მიუსია ხელარგროსანი კაცი, ეკოდენი სცემეს, შებნდა, შეეტოდა მეფეს და თქვა, ნუ მოჭკლავთ, ბრალა, ერთს სხლში შეიყვანეთ, ეგება არ მოკვდეს და გააძეთო. მზვარეულთ უხუცესმა წაიყვანა, ქოსა ეშმაგურობით იქმოდა და მოჩნა. ასეთი სჯმლის კეთება დაუწყო, მეფე მის მეტს აღარას სჯამდა. შეუყვარდა მზარეულთ უხუცესს და ავატივა. დაიწყო ამხანაგებში ჭანდრაკის მღერა და კარგადაც იცოდა. მიიყვანა ვეზირმა, მღერა დაუწყო, მასცა აჯობა. ქოსის ქებამ მეფემდის მიაწია. მიაყვანინა მეფემან ვეზირს და მას ჭანდრაკი ამღერა. აჯობა ვეზირსა და დიდად შეუვიდა მეფეს. გამობდა ხანი, მას ვეზირს ვეზირობა წაართვა და ქოსას მისცა. ასეთი ყმა შეიქნა ქოსა, მის უგითხავად სქმეს არას იქმოდის. მოუხდა მტერი. ველარ გაუმაგრდა, რაც ეზიდებოდა ორს ცხენს, თვალი და მარგალიტი აჭკი-

და, ერთზე თვით შეჯდა, ერთზე ქოსა შესვა და გარდაიხვეწნენ. მივიდნენ სხვის სამეფოსა, ვეზირმა ურჩივა, შენ ყმაწვილი კაცი ხარ და მე მოხუცებული ვარ, აქ რომ შენ ბატონობა სთქვა და მე ყმობა, არამც სირცხვილი იყოს და პატივი არ დაგვდვანო. თუ დამიჯერებ შენ ჩემი ყმობით გამოაცხადე თავი, და მე შენ ბატონათ გამოაცხადე, უფრო პატივს დაგვდებენ. მეფემ უთხრა, ეგეც აგრე იყოს, რასაც კაცს ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დამართობიაო. ვიცი თ შენ მას ქოსსავით ქოსა ხარ, და კარგ სიტყვას და ენაწას, ასეთსაც იტყვი, კაცი დააჯერო, მას ქოსსავითაც გინდა ჭქნა, თუ დრო დაიქც.

უთხრა პასუხად რუქამ არაჰი: ერთი მეზადე იყო, მოსავი ღვთისა და მრავალი კაცი, ვინც მასთან მივიდის, ხილი მიართვის. ერთი ბროწეული გამოწურის, რა გინდ დიდი ჯამი ყოფილ აყო, ერთის ბროწეულის წვენით აავსის, და მას ასმიდის. დღეს ერთსა მეფე ეწვია სხვის ტანისამოსითა, მეზადემ ვერ იცნა და ხილი მიართო და ბროწეული გამოწურა. გაუგვირდა მეფესა, ერთის ბროწეულისგან ეგოდენი წვენი აქვს, მე რატომ ჩემნი მოხელენი ცოტას მომიღებენო, მათ მოვჭკითხაო. მეორეს დღეს კიდევ მოვიდა მეფე და ბროწეული გამოაწურვინა, მცირედ წვენი გამოვიდა, ჭკითხა მეზადეს, გუშინ მრავალი წვენი გამოვიდა, ახლა რა დაემართაო. მეზადემ უთხრა, ძმაო, ჩვენი მეფე აქამომდე გულ-ხსნილი და უხვი კაცი იყო და მით დიდი გამოსავალი ჭქონდა, ახლა თურმე გულში ზრუნვა რამე შესვლია და იმი-



ტომ მოაკლდაო. მეფემან ჰსცნა მისი გულის ზრახვა და წავიდა. თურმე ჩემს მოწყალეს მეფესაც თქვენის გესლოვანის ენისაგან ჩემზე გული გარეგნისა და მით მეუბნებით მაგრიგად, თვარა ვერ მეტყუოდით.

თქვა ლეონ არაკი: ერთი კაცი მივიდა ყასახთან, უთხრა, ძმაო ფასი მზა არა მაქვს, ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასს მოგცემო. ყასახმა უთხრა, შენ არ გეკადრება, სისხლიანი ხორცი გეჭიროს და მიხვიდოდე, სადგომს მიდი, ერთის მონის ხელით შენის თმის ბეწვი გამომიგზავნე, ვინიშნებ და გამოგიზავნიო. წავიდა კაცი იგი და ერთის მონის ხელით თმის ბეწვი გამოუგზავნა ნიშნად, აჰა ბეწვი და ხორცი გთხოვიაო. ყასახმა უთხრა, ვაჟო, თვით აქ იყო, წვერი და უღვანოც ზედ ესხა, არამც თუ ერთი თმის ბაღანი, და ერთი გამოსაცოხნიც არ ვაჭამე, ახლა ერთის ბაღნით ბევრი რათ გაუგზავნაო. შენც ისე როტავ. მეფის შვილი და ვეზირი რომ შენთვის კარგნი იყვნენ, მაშინ როდის იყო მეფე შენზე გულტკბილად, რომ ახლა ესენი გემდურჩიან, მეფე შენზე გულგარეყენილად არ იყო.

უთხრა ვასუხად რუქამ არაკო: იყო სოფელსა ერთსა ხევი ერთი კლდიანი და ხრამი ღრმა ჩასასვლელი. მთანი მოსდგმიდენ, მუნ ხიდი იდვა და მის თემის კაცნი მასზე გადიოდენ, დანიმკვიდრეს ქაჯთა და მასზე მავალ კაცთა ზოგს ლოდს ესროდენ, ზოგს ეფეთებოდენ და შეშლიდენ, შეწუხდა თემი და მეფე მის ადგილისა, მას ადგილს ვერა უწამლეს რა. მოახსენა ერთმა კაცმა, მე თუ მიბრძანა, მე გამსახრო.

დაუმადლა მეფემან და წაჴიდა კაცი იგი, ორი ორ-  
ძალი წაიღო, ორი ხირაული, ერთი ქიშა ღვინო,  
ერთი ქიშა სძილო წამალი და ორი ფიალა, და ერთი  
ღორის ჯაგრის თოკი. მივიდა მას კიდესე, ერთი  
ხირაული მიღმართ გაჴინა, ერთი ორძალი და ერთი  
ფიალა და სძილო წამალი მასკედ დადგა. მოღმართ  
სხვა ხირაული გაჴინა, თოკი ქვეშ დაიდვა, ზედ და-  
ჯდა, ღვინო მოიდგა, ორძალს კვრა დაუწყო და ზედ  
ემღერებოდა. ღვინოს სმიდა და მარტოობის ლექსს  
იტყოდა. ნახეს ქაჯთ ეს საქმე, ორნი იყვნენ, მო-  
ვიდოდენ, მას ხირაულსე დასხდენ, მათცა სმა დაუ-  
წყეს, და ორძალს კვრა. უყო სძილო წამალი და ორ-  
თავ დაქძინა. ადგა კაცი იგი, ორნივე ქაჯნი იგი ხი-  
რაულში გახვიან, მაგრა ღორის საბლით შეჭკრა და  
მეფესთან შეკრული მიიყვანა. მათ ქაჯთაც გაეღვიძა,  
ჭკითხა მეფემან, თქვენა ხართ ქაჯნიო. მოახსენეს,  
ჩვენა არა ვართო. ეს თქვენი კაცი ყოფილა ქაჯიცა  
და ეშმაკიცა. მის მსგავსად, თქვენ ხართ ყოფლის  
ავის მქნელი და თქვენ ახდენთ მეფის გულსა, თვარა  
ჩემი უზომოდ მოწყალე ბრძანდებოდა.

თქვა ჯუმბერ არაკი: ერთი გლახაკი კაცი გამდი-  
დრებულ იყო და თვისის შვილისათვის ერთის მდი-  
დრის ქალი ითხოვა. მან მდიდარმა თქვა, უარე უთ-  
ხრა დამემტერება, და მივსტე, არ იქნება, ამას ვე-  
ცდები მიზეზით მოვრჩეო. უთხრა, თუმიცა ეგ შენი  
შვილი ერთს წელს სიგლახაკეს იწყებს, და კარდაკარ  
მავალი და მთხოვარი შეიქნება, მივსტემო. რა მისმა  
ძემ მოისმინა, დაიწყო წლამდინ სულა და კარდაკარ

თხოვნა. რა წელიწადი გასრულდა, კიდევ სთხოვა. მეჩემე უთხრა, თუმცა ახლა მავლობას და თხოვნას მოიგვეთს, მივსცემ, თვარა მავალს გლახაკს როგორ მივსცემო- რა მას მავალს გლახაკს ესმა, შორს დაიჭირა, ერთს წელიწადს ძლივ ვისწავლეო, როგორღა მოვიგვეთოო. მან თხოვნა არ გაუშვა და მან ქალი აღარ მისცა. აწ შენც მაგ ჩხუბიანსა და ავ ენას ნახევეი ხარ და არას მიზეზით არ მოიშლი; რადგან წლის ჩვეულება ძნელია და მას ვერ აუკვეთია. შენ ხომ შენი დღენი მაგ საქმეში დაგიღამებია, და შენ როგორ მოიშლი.

უთხრა ჰასუნხად რუქამ არაკი: იყო ერთი მოურავი, ღია კარგი კაცი იყო, მაგრამ მისი სახელი კაცნი გაუმტერდენ, შეასმინეს მეფესა და მას წაართვა მოურავობა და სხვას მისცა. ახალი იგი მოურავი ავი კაცი იყო და ბევრი ძალი უყო, დაღონდნენ იგი კაცნი და თქვეს, ეს ხომ არ ძაღვიც, მეფეს კიდევ სხვა მოურავი გამოავსთხოვოთ და აწ რა ვჭქნათ. შეიყარნენ კაცით დედაკაცმდის, და ათსავ თითებზე სანთლები დანთეს, და ბაზარსა და ქუჩებში სვლა დაიწყეს. იგითხა მეფემან, რას ეტარებინაო. მათ მოახსენეს, მაშინ რომ მოურავი გავაძეთ, მას ვუძებთო და ვერ გვიპოვნიაო. მე ხომ თქვენ კიდევ გამათაკეთ, და ვიცი თქვენის ნებისა დამემართება, მაგრამ თუ სანთლით არ მომნახოთ შეიტყობთ. მიეპყრა ყური მეფესა, ხან იტინოდის, ხან იამის, და ხან გაწყურის, და არ გამოიჩინის სიყვარულისა მათისათვის, და დაეცო, რომ ბოლოდ რუქასედ ავ-გულ ქმნილ იყო.

თქვა არაკი: ერთი მოღვრი იდგა ადგილსა ერთსა, და შვიდი რვა ძაღლნი ეხვეოდენ, სჭამდენ მოღვრსა, და იღრინებოდენ, და შუღლობდენ, და ჰკბენდნენ ერთმანერთსა. ნახეს მგელი მომავალი, მათ შუღლი, ღრენა და კბენა გაუშვეს, და ყოველთ ერთად შეუტოვეს, და მგელი გააძის, მოიქცეს და მასვე მოღვრსე ისევ შუღლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ნახევდენ, მას ერთ-პირ დაუხდიან, და მეორე აგრევე შუღლობდიან. აჰა თქვენც ან დღე იცოდეთ ან ღამე მტრისა გააგდევით, ან ჩემი რამ იურვეთ, და მეორე კიდევ იუბენით და იკამათეთ.

თქვა ვეზირმა არაკი: იყო ბურსას დიდებული ერთი დიდ ვაჭარი, მდიდარ, ღვთის მოყვარე, ბედნიერი, და რასაც სახლში იდგა, კედელში ერთი ჰალაო ერჭო. მოვიდის მტრედი და მას ჰალაოსე ბუდე გააკეთის, და ჩუნდები გამოჩიკის. დღესა ერთსა ნახსა ქარავანი დიდი და მიაგება კაცი, მოიყვანა და სალო დააყენა. მას ქარვანის უხუცესი ყრმა კაცი იყო, ინდოეთით წამოსული დიდ ვაჭრის შვილი, და მამას ასი აქლემის საზალსე დარჩინი და მიხაკი გამოკრანებინა, და ასრე დაემცნო, ერთს კაცს მიჰყიდე, და ერთი რიგი ფასი აიღე, ან ავლური, ან სულ მარჩილი, და ან ასლანი. მან ვაჭარმან ესე ყოველი უთხრა, თქმა მამის, ბრძანებას ვერ გარდავხდებო, და ესოდენი ვის ექნება, ესრეთის რიგის ფასით იყიდოსო. და მან ბურსელმან კაცმან უთხრა. მე ვიყიდი, რომელი ფასი გინდაო. მან იდოელმან ვაჭარმან გამოსცადა და უთხრა, სრულებით ასლანი მინდაო. ბურ-

სელმან ვაჭარმან უბრძანა მსახურთა, მისის ფასისა სულ ასლანის ვეცხლი შეკრეს. მეჩმე ინდომ თქვა, არა, ეგ არ მინდა, სრულებით მარჩილი მინდაო. დაცალეს მისი ტვირთები, და მარჩილით ააფსეს. მეჩმე ფლური მოინდომეს. ამიტომ სცდიდა, მისი საქონელი უნდოდა შეეტყუო, რაერთის მქონებელიაო. ბურსელს ვაჭარს ახანოს აშენება უნდოდა, კირი დაწელილი მზად ჰქონდა, და რა რომ ინდოელი მოვიდა, მაშინვე ის ასი სავალზე დარჩინი მინაჰი დაანაფინა და მას კირში აარევიან: ახანო ააშენა და მაში ახანა, მრავალი აჩუქა და გაისტუმრა. ინდოელი ვაჭარი წავიდა დიდად გაკვირვებული მისის სიმდიდრისაგან. გამოხდა ხანი და ტრედმან რიგი გარდიცვალა, მას ვალაოზე ბუდე აღარ გააკეთა და აღარც შემოვიდა სახლსა. თქვა მან ვაჭარმან, დღეს ვნახე ჩემი ბედი უკუღმა დაბრუნდაო, ქონებიდამ დაფიცლებიო. ვაჭრობიდამ ხელი აიღო, სალაროები დაბეჭდა, გლახური შეიმოსა, აღარც ცხენზე შეჯდა და წავიდა ქვევითი. მრავალი იარა, და დაშვრა მეტად, და მიეგდო ერთსა ადგილსა. მოვიდა სოფლის ხვასტაგი და ერთმან ვირმან ზედ ვაჭარზედ გადაილაჟა. მან დიდ ვაჭარმან თაფი არ მოარიდა, თქვა, ვიცი, ბედი უკუღმა დაბრუნებული მაქვსო და ესეც შევირაცხო, თვარა განა სხვას ადგილს ვერა ჰპოებდა, ჩემთვის არ გადავლაჯებიაო. ზე ადგა და წავიდა, მუნამდე იარა, ინდოეთს მივიდა. დაიწყო გლახაკურად სვლა, ბაზარში ვიდოდოდა და ხანა მისმან, ბაზართ მჯდომმან, იცნა და ორი ფლური საგლახაკო მისცა და მოხანა უთხრა,

ჩვენს სადგომს მიიყვანეო: რა დაღამდა, მოვიდა, ჭკითხა, რა დაგმარებიაო და რა მოგიხდაო. მან ყველა უამბო. რა მართალი შეიგნა, მივიდა, მამას უამბო, დიდად გაიხარა და დიდის პატივით შეიხანა. აყოფებოდა მუნ, თურმე ღმერთმან მისი სასჯელი და ეგოდენი ჭირი შეუწირა, და ბედი წაღმავ დაუბრუნა. მას სახლში სადაც იდგა: ერთი პალა იყო შემოვიდა ტრედი და პალაზედ ჩვერცხი დადო, შეიგნა მან ვაჭარმან მისის უკუღმართის ბედის წაღმართობა, და გამოეთხოვა მასპინძელს, მივიდა შინ და ეგრევე ვაჭრობა დაივიწყო. მაღალ ხელმწიფევე, თვით უძლეველმან თავმან თქვენმან უწყის, მე ვითარი ამხანაგი და მოყვასი ვარ რუქასი, მაგრამ ვიცი, ბედი უკუღმა დაბრუნებია, უშლი, ვასწავლი და არ ისმენს, თვარა მე ან ერთთან და ან მეორესთან სასამეტნაო სამტერო სამოყვრო რა მაქვს.

თქვა მეუემან არაკი: იყო ერთი მეფე, მოსამართლე, მოწყალე და მდიდარი, ურიცხვი საქონლის მქონებელი. დაბერდა და ერთი შვილი ჭყვანდა კარგი მეფობა მას მისცა და უთხრა, შვილო ჩემო, ჩემ მაგიერ შენ იმეფე და, ვირემ მე ცოცხალი ვიყო, ჩემს სალაროს ხელს ნუ მიჭყოფ, და რა მოგუჭკედე, ჩემის სულისათვის გლახაკს მიეცე. უსმინა შვილმან, და ესეთი სამართალი და სიკეთე გამოიჩინა, მამა ყოველთავე დააფიწყა. და კარგად დაიწყო მეფობა. დღისით ცხენს არ შეჯდის, ღამით შეჯდის, წავიდის და ლამპრები უგან მიიდევნის, წინ არ გაიმძღვანის; უგვირდა ყოველსა კაცსა, და ვერვინ იკადრა მოხსე-

ნება. იკითხა მამამან მისმან შვილისა, ვითარ მეფობსო. მათ ყოველივე მოახსენეს, მეფობისა ქება და ღამე სიარული. მოიყვანა მეფემან და უთხრა, შვილო, შენი დიდი ქება მესმის და ღამით თუ სვლა გიყვარს, ღამჰარი წინ წაიძღვარო, ის უმჯობესია, უკან ტარებასაო. შვილმა მოახსენა, დღეისამდინ ვერ შემოგკადრე, თვარამ მისთვის ვჭქენი ეს საქმე, საღაროც თქვენსაჲ სიცოცხლეში წინ წაიძღვაროთ და გლახაკს უბოძოთ, ისი სჯობს, თვარა მას უკან გაცემული უკან მიდევნებული ღამჰარი იქნებაო. იამა მეფესა და ყოველივე გასცა, დაუმაღლა შვილსა და თქვა, ყოველივე კეთილი სიცოცხლეში ჭქნას, სჯობსო, და სიკეთის ქნას დაეშუროს. სედრაქ, განა მე არ უწყვი, მაგრამ მაგ რუქას ესრე ჰგონია, ჯერეთ ესრე სჯობსო, მერმე სიკეთეს ვიქო. ეს კი არ იცის, სოფელი მოკლეა და მოუსწრობს, აჲ ნაქნარი და კაის უქნელი რჩება და მერმე ველაჩას წაიძღვანს აჲ ქნარის მეტსა.

თქვა ვეზირმა არაკი: ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჭამა ენება. იხვი ეგრევე უნებელი ცოცხალი ეპყრა, ზეიღამ მონადირისაგან შეშინებულმან ერთმან კაკაბმა ჩამოუარა, ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო, იგი იხვიც ჭანგიღამ დაეხრწია და წაუვიდა, ველარც კაკაბს მოეწივა, და ორივე დაეკარგა. ახლა თქვენმა რუქამ რომ ავკაცობა გაუშვას და სიკეთეს გამოუდგეს, მას ველარ მოეწივა. და ისიც დაეკარგება, და მას ქორსავით დაემართება, და საბრალლო შეიქნება.

თქვა მეუკემ არაკი: ერთს მთაში მომცრო წვიმის მდგარი გუბე დარჩომილ იყო. მივიდა ერთი ინვი და ჩაჯდა, და იყოფოდა. ერთი მეფარი დაქმობილა ინვისა და ერთად იყვნენ, და რაც გაეწეობოდა, შეექცეოდნენ. რა მზე გაცხელდა და ზაფხულმან სითბო მოუმატა, წყალმან კლებს შექნა. ინვმან უთხრა მეფარს, მოდი, ადგილი ვიცვალათო. მეფარმან უთხრა, შენ აქა იქი თრევეს ჩვეულ ხარ, მე სამკვიდროს ვერ დაფუტეებო. ინვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა, მეფარმან სამკვიდრო არ გაუშვა. ცოტას ხანს უკან ინვმა თქვა, წავალ ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქსო. მოვიდა, გუბე გამხმარ იყო, მეფარი მომკვდარ იყო, უთხრა, ძმობილო, მაგისტანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიანო. რადგად რუქა აგრე ავის საქმის ქნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჭეუებით, კარგი ქენით და მაგას იმ ყვარსავით დაემართება.

თქვა ვეზირმა არაკი: იყო ერთი მეუკე სახელვანი, მოწყალე და ძლიერი, ჭყვა აქიმი ერთი, რომ სენი უგურნებელი ვერ მოურჩებოდა. ორი დიდებული დასნეულდა მეფისა სასტიკითა სენითა, ერთი ესრე შეკრულიყო მუცელში, ათხუთმეტს დღეს ერთხელ ვერ გავიდის, და ერთი ასე გახსნილიყო დღეში ორმოცჯერ იყვანდის. დიდად დაშვრა მათ აქიმობაზე და ვერ მოარჩინა. ჭკითხვიდა მეუკე მათ ამბავს მრავალ გზის. დღეს ერთსა მოეხვია აქიმი მეუკესა მუხლსა და მოახსენა, თუმცა რისხვა გნებავს ჩემი, მომკალი, და თუმცა წყალობა ეს მითავე, მათს აქი-



მოხას მომარიდუ ერთისათვის ამაზე ვაღამებ დღე-საო, ცოტად გავიდეს, და ერთისათვის ამაზე ვათვე ღამესა, როდეს მეღიწისოს მისი გასვლა, ჩემის სიმ დიდწისათვის მეუფეს ვევედრები და ცნოვნებისათვის ღმერთს. ამაზე დაფასრულე ჩემი ხვეწნა, და რით უნდა ან ერთსაცარი ვეღიწსო.

ჰე მეუფო შენც შემევედრე, და მათს უბნობას და მათში გართვას გარდამარჩინეო.

თქვა მეუფემან არაკი: იუვნენ ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა ერთი ცოლ-ქმარნი, დიდად მოყვარულნი. ქმარი ბაზარში ჯდის სყიდვად რაოდენის რისამე, და თვალ აგნა ქალმან ვინმე. იგი მრავალ ჯერ გარ უარდის და ვერ აგრძნა მან კაცმან ტრფილება აშიყისა მისისა. მერმე ქალმან მან თიალა ერთი აავსო წყლით, და თურცელი ჭანდრაგისა ზედ დაბურა, და წინაშე ღაუღა. კაცი იგი გაჰკვირდა, და ვერა შეიტყუო რა, და დასნეულდა. უთხრა ცოლსა, ერთმან ქალმან ესრეთ მიქნა, და მასუკან ავადა ვარ, მე ველარ ვკეთილობ. ცოლმა უთხრა, ქალი იგი შენი ტრფიალი ყოფილა და მით დასნეულებულ ხარ, თავს რად მოიკლავ, წადი მის ქალისა თანა. ქმარმა უთხრა, არ ვიცი სად არის. უთხრა ცოლმან, სადაც სხლის წინ ჭანდარი იდგეს და ჭანდრის წინ აუზი იყოს, მუნ მოხანხე და ჰპოებო. წავიდა ქმარი მისი და ადგილი იგი ჰპოვა, კარი დახშული იყო და არ გააღეს. მივიდა, ცოლს უთხრა. მის კარიდამ შენი მისვლა არ ნებავეს, სხვის კარით მიდიო. წავიდა კაცი იგი, სხვის კარით შევიდა, მას ქალს შეეყარა, და ილხინეს, და

იმუსაიბეს. მოვიდეს ბაზრის მცველნი, და მათ ქალ  
უმათ კარი დაუჭირეს, მრავალი ქრთამი აძლივეს და  
თავი ვერ დაიხსნეს. მან კაცმან ერთს ერთი ფლური  
მისცა. თავის ცოლთან გაგზავნა, ჩვენ ესრეთ მო-  
გვევლინაო. იგინი ბაზრის მცველთ წაიყვანეს, სავა-  
ტიმროსა დაბნეს, ენებათ მეორეს დღეს უადის მო-  
ხსენება, და დახრცა მათი. მან კაცის ცოლმან ერთი  
წიგნი დაწერა უდთან, შენ სმართლანო მსაჯულო,  
შენს ღროში ცოლ-ქმარნი ერთმანერთის ყოფნისა-  
თვის, ვის გაუგონია, შეიპყრან და დაატყვევეონო,  
ვის უამად ქმნილაო. და თვით ზეწარში გაეხვია, სავ-  
დაც ქმარი დაბმული და იგი დიაცი იყო, მუნ მივიდა,  
მეპატრიმკეს შეეხვეწა, ვალი მართებს, მას კაცს ჩე-  
მიო, და მუნ შემეშვიო. რა შეუშვა ზეწარი მას დიაცს  
წამოასხა, გამოუშვა და თვით ქმარს მოუჯდა. რა  
უადს მისი წიგნი მიუვიდა, დია იწყინა, გაგზავნა  
კაცნი და მის წინ ჰყრობილნიც და შემპყრობელნიც  
მიიყვანა. მათ შემპყრობელთ ფიცეს, ესენი ერთათ  
იყვნენ და შევიპყრობითო. მან ქალმან ესე უთხრა, მამა  
ჩემია, ამ კაცის ჩემთვის მოხრეული და მენიშნე ეს  
კაცია, მათ ჰკითხეთ, თუ მე ამ კაცის ცოლი არ ვიყო.  
სხვას კაცთან იიწყინეთ, თვარა ჩემ ქმართან ყოფნას  
ვერა საქმით ვერ მოვრჩებიო. წყ სედრატ მეც მიმ-  
ძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება, მაგრამ ესრე ვხე-  
დავ, ვერც შენ გარდაჩები ამ საქმესა უფათურაკოდ,  
ვერც მე, და ვერც სხვა ვინმე.

894.63

m522

Handwritten text in a cursive script, likely a name or title.

Handwritten text in a cursive script, possibly a signature or a short note.

Handwritten signature or name in a cursive script.

Handwritten text in a cursive script, possibly a name or title.

Handwritten text in a cursive script, possibly a name or title.

Handwritten text in a cursive script, possibly a name or title.

Handwritten text in a cursive script, possibly a name or title.

Handwritten text in a cursive script, possibly a name or title.

Handwritten mark or signature at the bottom right.

5 C

W. J. ...  
... ..

... ..  
... ..  
... ..

... ..

File  
6261

...

894.63

m 522